



1399

ყ-44

ფსიქოლოგიური ბიბლიოთეკა:
სახელმძღვანელოების სერია

1

ჯემალ
ყვავილაშვილი



ფსიქოლოგიის
შესავალი

159.9
y-44



ფსიქოლოგიური ბიბლიოთეკა:
სახელმძღვანელოების სერია.

საქიპო

ჯემალ ყვავილაშვილი

ფსიქოლოგიის შესავალი
(სავანი, მეთოდები, დარგები)

საქიპო
სახელმძღვანელოების სერია
ფსიქოლოგიის ბიბლიოთეკა
№ 2908

თბილისი
2003

„ფსიქოლოგიური ბიბლიოთეკის“ რედაქტორი: შალვა აბზიანიძე

რედაქტორები: შალვა აბზიანიძე
ლია ყვავილაშვილი

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის
ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ რეკომენდირებულია
დამხმარე სახელმძღვანელოდ*

ნიგნი გამოდის TEMPUS/TACIS-ის პროექტის,
№ CP-20018-98, ფარგლებში.
„სოციალური ინოვაციის საერთაშორისო ფონდის“
მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „ნეკარი“, 2003

ISBN 99928-58-83-4

სარჩევი

1. ფსიქოლოგიის საგნის გაგების ეტაპები	4
2. რას შეისწავლის თანამედროვე ფსიქოლოგია?	29
3. ფსიქიკურ პროცესთა კლასიფიკაცია	37
4. ფსიქოლოგიის მეთოდები	41
5. ფსიქოლოგიის დარგები	58
6. ფსიქოლოგიის შესწავლის მნიშვნელობა	76

1. ფსიქოლოგიის საბნის გაგების ეტაპები

ყველა მეცნიერებას თავისი შესასწავლი საგანი გააჩნია და ბუნებრივია, რომ ამით დავიწყეთ. რას შეისწავლის ფსიქოლოგია, რა არის მისი კვლევის საგანი? ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოთა დიდი უმრავლესობა ამ კითხვაზე პასუხს იძლევა: ფსიქოლოგია არის მეცნიერება ფსიქიკის შესახებ. „ფსიქე“ კი ბერძნულად სულს ნიშნავს. ამის გამო, ხომ არ შეიძლება ფსიქოლოგიის საგნად სწორედ სული მივიჩნიოთ? მაგრამ ცხადია, რომ სიტყვის მხოლოდ ეტიმოლოგიის¹ მოშველიება ვერ დაგვიდგენს თანამედროვე ფსიქოლოგიის კვლევის საგანს. იმის მიხედვით, თუ როგორ არის გაგებული ფსიქიკის რაობა, ფსიქოლოგიის საბნის საკითხიც განსხვავებულად წყდება. მოკლედ განვიხილოთ ის ძირითადი ეტაპები, რომლებიც ამ საკითხის გადამწყვეტამ განვლო.

მეტაფიზიკური ფსიქოლოგია. მეცნიერული აზროვნების დასაწყის ეტაპზე ფსიქოლოგიის საკვლევ საგნად, მართლაც, სული იყო მიჩნეული. იგი წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც გარკვეული სახის *სუბსტანცია*,² რომელიც იმყოფება სხეულში. რით განსხვავდება ცოცხალი (სულიერი) არა ცოცხალისაგან, ე.ი. უსულო საგნისაგან? იმით, რომ ცოცხალ სხეულში არის სული, რომელიც აცოცხლებს სხეულს. როდესაც ადამიანი იძინებს, მაშინ სული დროებით სტოვებს სხეულს და იწყებს მოგზაურობას (ასე აიხსნებოდა სიზმარი), ხოლო როდესაც ადამიანი კვდება, სული სამუდამოდ სტოვებს ადამიანის სხეულს. სულს განიზილავდნენ როგორც უზილავ (შეუგრძობად) სუბსტანციას, რომელიც მატერიისა და ენერჯიის მსგავსად უნდა ინახებოდეს. სწორედ ასეთ წარმოდგენას ეყრდნობოდა რწმენა სულის უკვდავების (მოუსპობადობის) შესახებ: ადამიანის სიკვდილი არ ნიშნავს მის მთლიანად მოსპობას; ამ დროს ილუპება მხოლოდ მისი ფიზიკური სხეული, სული კი სტოვებს ადამიანის სხეულს. თუ რა ემართება ამ უკანასკნელს სხეულის და-

¹ ეტიმოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის განვითარებას, განსაკუთრებით მის წარმოშობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას, აგრეთვე მის ნათესაურ კავშირებს სხვა სიტყვებთან.

² სუბსტანცია (ლათ. substantia - არსი, საფუძვლად მდებარე რამ) ფილოსოფიური კატეგორიაა, რომელიც აღნიშნავს ცვალებად მოვლენათა უცვლელ საფუძველს, ძირითად საწყისს, რომელიც არც ისპობა და არც წარმოიშობა. მაგალითად, სუბსტანციას წარმოადგენს მარად მოძრაი და ცვალებადი, მაგრამ მოუსპობადი მატერია. ზოგიერთის აზრით, სუბსტანციად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ენერჯიაც, რომელიც არც წარმოიშობა და არც ისპობა, იგი მხოლოდ გარდაიქმნება ერთი სახიდან მეორეში.

ტოვების შემდეგ, ამ კითხვაზე, როგორც ამას ფილოსოფიის და რელიგიის ისტორია გვიჩვენებს, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არასოდეს არ არსებობდა. ასე მაგალითად, ქრისტიანული რელიგიის თანხმად სიკვდილის შემდეგ სული მიდის სხვა სამყაროში (სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში), ხოლო ბუდას მოძღვრების მიხედვით კი იგი გადადის ახალდაბადებულ ბავშვში.¹ რადგანაც მეორე სახის შეხედულება (რწმენა) პირველთან შედარებით უფრო ნაკლებად ფანტასტიკურად გამოიყურება, რომელიც საყურადღებოდ მიაჩნიათ ისეთ დიდ მოაზროვნეებს, როგორიც იყვნენ პითაგორა, პლატონი, ჰიუმი, კანტი, ფიხტე და შოპენჰაუერი, ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება, თუ ორიოდ გვერდს მაინც დავუთმობთ მის განხილვას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სულის გარდასახვის მოვლენა, რაც ინდურ ფილოსოფიაში *რეინკარნაციის* სახელწოდებითაა ცნობილი.²

დავინყოთ იმით, თუ რამდენად დასაშვებია სიკვდილის შემდეგ გადარჩენის შესახებ ლაპარაკი. ჩვენ ყველა ვხედავთ, თუ რა ემართება ადამიანს სიკვდილის შემდეგ, რომ მასთან ჩვენი ყოველგვარი კონტაქტი გამორიცხულია და რომ მისი უსიცოცხლო სხეული (გვამი) მხოლოდ გახრწნისთვისაა გამზადებული. ყოველივე ამის შემდეგ რომელ გადარჩენაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? ცხადია, რომ სიკვდილი უნდა იყოს ყველაფრის დასასრული. მაგრამ ჩვენ ასე იმიტომ ვფიქრობთ, რომ ადამიანს ვაიგივებთ მის ფიზიკურ სხეულთან, ე.ი. მიგვაჩნია, რომ ადამიანი - ეს არის მხოლოდ მისი ფიზიკური სხეული (ორგანიზმი), რომლის დალუპვაც სიკვდილის შემდეგ უნდა ნიშნავდეს ადამიანის მთლიანად დალუპვასაც. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ადამიანი არ არის მხოლოდ მისი ფიზიკური სხეული, რომ იგი შედგება კიდევ სულისაგან (ე.ი. მატერიისაგან განსხვავებული სუბსტანციისაგან), მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სხეულის დალუპვა სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს სულის - მატერიისაგან განსხვავებული რეალობის - დალუპვასაც.

ასეთ მოსაზრებას შეიძლება ლოგიკური საფუძველი მოეძებნოს, თუ დავუშვებთ, რომ სული როგორც მატერიიდან (სხეულისაგან) განსხვავებული სუბსტანცია, რომელიც იმყოფება სხეულში, ამ უკანასკნელს საჭიროებს, როგორც გარკვეულ აპარატს (მაღალი

¹ საინტერესოა, რომ ქართულ ენაში ადამიანის სიკვდილს აღნიშნავენ სიტყვით - გარდაიცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი კი არ მოკვდა, კი არ მოისპო, არამედ სახე იცვალა, რაც ზოგიერთის აზრით გარკვეულწილად მიუთითებს სწორედ სულის გარდასახვაზე.

² აღსანიშნავია, რომ რეინკარნაციის მოვლენამ მხატვრულ ლიტერატურაშიც ჰყოვა თავის ასახვა. იხ. მაგალითად, ჯექ ლონდონის ნაკლებად ცნობილი რომანი „მორჩილების პერანგი“, ანდა ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ტკბილი დუღუკი“.

ორგანიზებული მატერიის სახით) გარემოსთან ურთიერთობისათვის. და თუ ეს აპარატი ილუპება (მწყობრიდან გამოდის, ფუჭდება) - ეს სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს სულის დალუპვასაც. უბრალოდ მას ამ აპარატის გარეშე უკვე აღარ შეუძლია გარემოსთან ურთიერთობის დამყარება, რამეთუ იგი (სული) თავის თავს გარემოში ამჟღავნებდა მხოლოდ ამ აპარატის საშუალებით. სწორედ ამიტომაც არის, რომ ამ უკანასკნელის დაზიანების შემთხვევაში სული ვეღარ ახერხებს ჩვენთან რაიმე კონტაქტის დამყარებას.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ შემდეგი ანალოგია. ვთქვათ, რადიომიმღებით ისმენთ რაიმე გადაცემას. რადიომიმღებში შემოდის ჩვენთვის თვალით უხილავი რადიოტალღა, რომელიც თავის თავს სწორედ ამ აპარატის საშუალებით ამჟღავნებს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ეს აპარატი დაზიანდა (მაგალითად, დაიშხრა). ამის შემდეგ ჩვენ გადაცემას ვეღარ მოვისმენთ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროს რადიოტალღაც მოისპო ან დაზიანდა. ცხადია, რომ ამ უკანასკნელს არაფერი მოსვლია. უბრალოდ იგი ახლა თავის თავს ვეღარ ამჟღავნებს (ვეღარ ამჟღავნებს ჩვენთვის), რაკი აპარატი, რომლის საშუალებითაც იგი თავის თავს ამჟღავნებდა, დაზიანებულია.

ახლა რაც შეეხება რეინკარნაციის შესაძლებლობას. როდესაც მე შეუბნებთან, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემი სული გადავა ახალ დაბადებულ ბავშვში და მე არსებობას განვაგრძობ ამ უკანასკნელის სხეულში, მაგრამ ისე, რომ არაფერი მეცოდინება (მეხსომება) ჩემი ახლანდელი ცხოვრების შესახებ (ისევე როგორც არაფერი არ მახსოვს ჩემი უწინდელი ცხოვრებიდან), მაშინ რა აზრი შეიძლება ჰქონდეს საერთოდ სულის გადარჩენის შესახებ ლაპარაკს, რამეთუ ის ბავშვი შეიძლება იყოს სულ სხვა პიროვნება. მაგრამ ასეთი მოსაზრება მთლად გამართლებული მაინც ვერ იქნება, რაკი აქ ერთმანეთთან გაიგივებულია ჩემი „მე“ და ჩემი მეხსიერება. უხეშად რომ ვთქვათ, მეხსიერება შეიძლება შევადაროთ ჩანთას, რომელშიც ინახება ჩემი შთაბეჭდილებები, და ჩანთის დაკარგვა, ცხადია, არ ნიშნავს თავის დაკარგვასაც. ადრეულ ბავშვობის ხანის გარდაც,

¹ თუმცა ზოგიერთის აზრით, გამონაკლისის სახით, იშვიათ შემთხვევებში მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეხსიერებაში შემორჩენილი რაიმე შინაარსის გადატანას. ამის დასადასტურებლად ისინი მოუთხოვენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სრულიად უცხო ქალაქში ყოფნისას ესა თუ ის ქუჩა ნაცნობად გვეჩვენება, რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ნინა ცხოვრებაში ჩვენ ვიმყოფებოდით ამ ქალაქში. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში მართლაც დასტურდება ასეთი შემთხვევები, რაც ცნობის ილუზიის სახელწოდებითაა ცნობილი და, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ისინი სულ სხვანაირად შეიძლება იქნენ ახსნილი.

აღბათ ყველას გეჭონია ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ამოვარდნილია მეხსიერებიდან (მათ შესახებ არაფერი გვახსოვს), მაგრამ აღბათ ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ დროის ამ მონაკვეთში ჩემი „მოება“ მაინც უწყვეტად გრძელდებოდა. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩემი „მე“ განსხვავებულია ჩემი მეხსიერებიდან და იგი ამ უკანასკნელზე ვერ დაიყვანება.

საინტერესოა, რომ უმრავლესობა იმათგან, ვისაც პირველად ესმის რეინკარნაციის მოვლენის შესახებ, ჩვეულებრივ სვამს შემდეგ კითხვებს: კი მაგრამ თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ რატომ უნდა იყოს ასეთი მნიშვნელოვანი ქეშმარიტება ადამიანისათვის დაფარული და მიუწვდომელი; სულის ახალ სხეულში გადასვლასთან ერთად რატომ არ უნდა ხდებოდეს მეხსიერების გადასვლაც ახალ სხეულში, ე.ი. რატომ არის, რომ ადამიანს თავის წინა ცხოვრების შესახებ არაფერი ახსოვს? რეინკარნაციის დამცველების აზრით, ასეთი მნიშვნელოვანი ქეშმარიტების (კანონზომიერების) დაფარვასა და გასაიდუმლოებას შეიძლება მოეძებნოს გამართლება: ადამიანმა რომ იცოდეს ამის შესახებ, ე.ი. იმის შესახებ, რომ სული უკვდავია, მაშინ მათ აღარ ექნებათ სიკვდილის შიში, რის გამოც შეიძლება დამყარდეს ანარქია და განუკითხაობა. ვისაც წარმოდგენა არა აქვს რეინკარნაციაზე, ანდა საერთოდ არ სჯერა სულის უკვდავების, ე.ი. გააჩნიათ სიკვდილის შიში, ხშირად მათ მაინც ვერავითარი მოსალოდნელი სასჯელი ვერ აჩერებთ დანაშაულის ჩადენისაგან და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა, ეს საიდუმლოება რომ საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული გამხდარიყო ყველასათვის.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთში მოძღვრებას სულის გარდასახვის შესახებ გააჩნია გარკვეული რელიგიური (ეთიკური) ასპექტიც. აღბათ ხშირად გაგიგონიათ ბევრის ჩივილი, რომ როგორ შეიძლება არსებობდეს ღმერთი, როდესაც ამ ქვეყანაზე ამდენი განუკითხაობა და უსამართლობა სუფევს: ხშირად პატიოსანი და კეთილი ადამიანი იჩაგრება, უსინდისო და ბოროტი კი ბედნიერად ცხოვრობს. წარმოიდგინეთ უალრესად პატიოსანი ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ სიკეთეს თესდა, განგებამ კი გააუბედურა: შეიღია შოუკლად ანდა მხედველობა წაართვა. მაშინ როდესაც ვიღაც უსინდისომ, რომელსაც ნების მანძილზე ბოროტების გარდა არაფერი უკეთებია, მიაღწია უდიდეს კეთილდღეობას. იმისათვის რათა გაგებულნი ან ახსნილი იქნეს ეს „უსამართლობა“, საჭიროა იმის დაშვება, რომ ადამიანი ბედნიერია თუ არა ამჟამინდელ ცხოვრებაში - ეს იმით განისაზღვრება, თუ როგორ საქმიანობას ეწეოდა იგი წინა ცხოვრებაში. თუ წინა ცხოვრებაში იგი კეთილ საქმეს ემსახურებოდა, მაშინ იგი ბედნიერი იქნება ამ ცხოვრებაში და პირიქით: თუ წინა ცხოვრებაში ბოროტებას სჩადიოდა, ამჟა-

მინდელ ცხოვრებაშიც უბედური იქნება.

საინტერესოა, რომ აქაც ისმის ზემოთ დასმული კითხვის მსგავსი კითხვა. თუ ეს მართლაც ასეა, ე.ი. თუ ადამიანის მდგომარეობა განისაზღვრება იმ საქმიანობით, რასაც იგი ეწეოდა წინა ცხოვრებაში, მაშინ რატომ უნდა იყოს ეს კანონზომიერება ადამიანისათვის დაფარული და რატომ არ უნდა იცოდეს მან, თუ რისთვის ისჯება?

ვინც იზიარებს აღნიშნულ შეხედულებას და სურს დარჩეს ლოგიკურად თანამიმდევრული, მაშინ მან ამ კითხვას შემდეგნაირად შეუძლია უპასუხოს: ზემოთ განხილული კანონზომიერება იმისათვის არის დაფარული ადამიანისათვის, რომ ამ უკანასკნელს საშუალება მიეცეს, შეასრულოს ნამდვილად კარგი ქცევა, ყოველგვარი ანგარების გარეშე. თუ ადამიანს ეცოდინებოდა, რომ მისი ქცევის ავკარგიანობა განსაზღვრავს მის ბედნიერებას თუ უბედურებას მის მომავალ ცხოვრებაში და ამის გამო შეეცდებოდა კარგად მოქცევას, მაშინ ეს ხომ ვაჭრული მოსაზრებით იქნებოდა ნაკარნახევი. კარგი ქცევა კი, როგორც ასეთი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ნამდვილად (წმინდა) კარგ ქცევად, როდესაც იგი უანგაროდ სრულდება.

ყოველივე ზემოთ თქმული შეიძლება ძალზე საინტერესო იყოს და ზოგს მისაღებადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ არის მეცნიერება. მაგრამ რა არის მეცნიერება და რითი განსხვავდება იგი ადამიანის სხვა სახის საქმიანობისაგან? ჩვეულებრივ მიუთითებენ სამ ძირითად მახასიათებელზე. ესენია:

1. მასში შემავალი ცოდნის სისტემატური ხასიათი (მაგალითად, ამ ნიშნით განსხვავდება მეცნიერული მედიცინა „ხალხური“ მედიცინისაგან).

2. კვლევის გარკვეული მეთოდებით სარგებლობა (მაგალითად, ამ ნიშნით განსხვავდება მეცნიერული ფსიქოლოგია „პოპულარული“ ფსიქოლოგიისაგან).

3. მხოლოდ ისეთი ჰიპოთეზების ნამოყენება, რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება მეცნიერება მეტაფიზიკისაგან.¹

¹ ბერძნულად *μετα τα φυσικα* - ფიზიკის შემდეგ (ასე უწოდეს არისტოტელეს ფილოსოფიურ თბზულებას, რომლებიც მოთავსებული იყო მისი ფიზიკის ტრაქტატების შემდეგ). მეტაფიზიკის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოდ სინამდვილის აბსტრაქციის, მხოლოდ გონებრივი ჭერებით შექმნილი კონსტრუქციები, რომლებიც ეხება *ცდის მიღწეურ მოვლენებს* და ამდენად ეყრდნობა არა ემპირიულ მონაცემებს, არამედ მხოლოდ ჰიპოთეტურ ნაწამძვრებს, ე.ი. ისეთი პოსტულატების დაშვებას, რომლის ქვეშა-რიტობის შემოწმება შეუძლებელია (ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევაში ასეთი პოსტულატი იყო სულის, როგორც გარკვეული სუბ-

ყოველივე ამის გამო ზემოთ განხილული კონცეფცია¹ რეინკარნაციის შესახებ, რამდენადაც მახვილგონიერულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ტიპური მეტაფიზიკური მსჯელობის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. რაკი ამ კონცეფციის ქეშმარიტობის არც დასაბუთება შეგვიძლია და არც უარყოფა, ამიტომაც იგი განეკუთვნება არა ცოდნის, არამედ რწმენის სფეროს. სწორედ ამიტომაც სული არ შეიძლება დაისახოს ფსიქოლოგიის კვლევის საგნად, რამეთუ იგი უშუალოდ მოცემული არა გვაქვს და მის შესახებ მხოლოდ გარკვეული ვარაუდის გამოთქმა თუ არის შესაძლებელი: უშუალოდ ჩვენ გვეძლევა მხოლოდ ისეთი სულიერი მოვლენები ანუ ფსიქიკური პროცესები, როგორცაა, სიხარული, მწუხარება, აზროვნება, წარმოდგენა და სხვა, რომლებიც შეადგენენ ჩვენი შინაგანი სამყაროს შინაარსს. ალბათ არავისთვის არ უნდა იყოს საკამათო, რომ ჩვენ მათ მართლაც უშუალოდ განვიცდით. რაც შეეხება თვითონ სულს, იგი ამ განცდათა წარმომშობ მიზეზად ითვლება და უშუალო სინამდვილის მიღმა იგულისხმება; ამდენად იგი მოკლებულია იმ აუცილებელ თვისებას, რომელიც ყველა მეცნიერების კვლევის საგნისათვისაა დამახასიათებელი - კერძოდ, სინამდვილეში უშუალოდ მოცემულობის თვისებას.² ამიტომაც სული არა ნამდვილი მეცნიერული, არამედ ისეთი კვლევის საგნად შეიძლება დაისახოს, რომელიც ემპირიული სინამდვილის ფარგლებს სცილდება და ცდილობს შეიჭრას მეტაფიზიკური სფეროს საზღვრებში. მაშასადამე, *ფსიქოლოგიის საგნად სულის დასახვა მეტაფიზიკურის და არა მეცნიერული ფსიქოლოგიისათვის არის დამახასიათებელი.*

ასე რომ, სინამეცნიერული ეტაპი, რომელზეც ფსიქოლოგიის საგნად ითვლებოდა სული, და რომელიც ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული ახალ დრომდე გრძელდებოდა, სამართლიანად იწოდება მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიად. ნაცვლად რეალურად მო-

სტანციის არსებობისა და მისი მოუსპობადობის დაშვება). ნათქვამის ნათლსაყოფად წარმოიდგინეთ ფილოსოფოსი, რომელიც ზის თავის კაბინეტში და წერს ვრცელ ტრაქტატს იმის შესახებ, თუ რა არის მატერია, რა არის სული, რა არის ლმერთი, რა არის თავისუფლება, რა არის სიკვდილი, რა არის ბოროტება და სხვა, ისე რომ გამოირიცხულია, მის მიერ გამოთქმული აზრების ყოველგვარი შემონემა. როგორც ადვილი მისახვედრია, თუ გამონათქვამების შემონემა (ემპირიული შემონემა) ან მათი ლოგიკურად დასაბუთება შეუძლებელია, მაშინ ეს გამონათქვამები განეკუთვნებიან არა ცოდნის, არამედ რწმენის სფეროს. მეცნიერება კი არსებითად მხოლოდ ცოდნაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

¹ კონცეფცია - შეხედულებათა სისტემა; მოვლენის ასეთი თუ ისეთი გაგება.
² აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვერ მივუთითებთ ვერც ერთ ისეთ მეცნიერებაზე, რომლის კვლევის საგანი რწმენის სფეროს განეკუთვნებოდეს და უშუალოდ არ იყოს მოცემული.

ცემული სულიერი მოვლენების კვლევისა, ფსიქოლოგია, ამ ეტაპზე, მიზნად ისახავდა ამ მოვლენების მიღმა ნაგულისხმევი მეტაფიზიკური არსის - სულის და მისი თვისებების - წვდომას მხოლოდ აზრითი განჭვრეტის (საეკულატური აზროვნების) გზით. ამ საფეხურზე ფსიქოლოგია ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ცოდნის დამოუკიდებელ დარგს: იგი ფილოსოფიის წიაღში ვითარდებოდა. სწორედ ამიტომაც ფსიქოლოგიის შესახებ ამბობენ, რომ იგი ძალიან ძველი და ამავე დროს ძალზე ახალი მეცნიერება არისო.

ემპირიული ფსიქოლოგია. ახალ დროში, როდესაც ფიზიკა, ქიმია და ასტრონომია ემპირიული კვლევის წიაღაგზე დადგნენ, მათი განვითარება ძალიან სწრაფი ტემპით წავიდა წინ. ბუნებისმეტყველების ამ მეცნიერული დარგების წარმატებებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ფსიქოლოგიაზეც. ცხადი გახდა, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ შეძლება ნამდვილ მეცნიერებად გადაქცევას, თუ ისიც, ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა მსგავსად, ემპირიული კვლევის ლიანდაგზე გადავიდოდა და თავის კვლევის საგნად მეტაფიზიკური არსი - სული - კი არ ექნებოდა მიჩნეული, არამედ ის, რაც უშუალოდ გვეძლევა. ემპირიულ სინამდვილეში კი, უშუალოდ მხოლოდ ჩვენი სულიერი მოვლენები ანუ ფსიქიკური პროცესებია მოცემული, რომელთა არსებობის უარყოფა შეუძლებელია, რამეთუ ჩვენ მათ უშუალოდ განვიცდით. როგორც მივუთითეთ ესენია ჩვენი გრძნობები და წარმოდგენები, აზროვნება და სხვა.¹ ამგვარად, სულის ცნება განიდევნა მეცნიერებიდან და ფსიქოლოგიის საგნად სწორედ სინამდვილის ეს სფერო, ე.ი. ფსიქიკური პროცესები იქნა გამოცხადებული.

რადგანაც ფსიქოლოგიის საგნად დასახულ იქნა რეალურად მოცემული ემპირიული მოვლენები, ამდენად ეს ეტაპი ფსიქოლოგიის ისტორიაში ცნობილია როგორც *ემპირიული ფსიქოლოგია*. ამ სახელწოდებით, ეს უკანასკნელი, როგორც „უსულო“ ფსიქოლოგია უპირისპირდებოდა მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას.

აქ შეიძლება ნამოიჭრას შემდეგი კითხვა: თუ სულის არსებობას ეჭვის ქვეშ ვაყენებთ, მაშინ, ეჭვის ქვეშ ხომ არ ვაყენებთ თვით

¹ ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, თუ რომელ პროცესებზეა ლაპარაკი. რაც არ უნდა შორს იდგეს მკითხველი ფსიქოლოგიისაგან, იგი ძალზე ადვილად შეძლებს ფსიქიკური პროცესის გამოჩვენებას სხვა სახის პროცესებისაგან. ასე მაგალითად, როდესაც მე ქვას ვაგდებ დედამინაზე, მაშინ მე საქმე მაქვს ფიზიკურ პროცესთან, როდესაც ორი სხვადასხვა ნივთიერების შეერთებით ვღებულობთ მენამე (ახალ) ნივთიერებას, მაშინ საქმე მაქვს ქიმიურ პროცესთან, ხოლო როდესაც მე განვიცდი სიხარულს (ვთქვათ, ამ ახალი ნივთიერების მიღების გამო), ამ უკანასკნელ შემთხვევაში მე უკვე საქმე მექნება ფსიქიკურ პროცესთან.

სელიერი (ფსიქიკური) პროცესების არსებობაც? ე.ი. თუ სულის არსებობას უარვეყოფთ, მაშინ ხომ არ უნდა უარვეყოფთ ფსიქიკური პროცესების არსებობაც? მართლაც, ზოგიერთმა შეიძლება თქვას: როდესაც ვამბობთ, რომ უშუალოდ ვაკვირდებით ფიზიკურ ობიექტებს (მაგალითად, რაიმე მოძრავ სხეულს), ეს გასაგებია. ე.ი. გასაგებია, თუ რატომ ვხმარობთ ამ დროს სიტყვას „უშუალოდ“: მე ამ მოძრავ სხეულს ალვიქვამ ჩემი შეგრძნების ორგანოების საშუალებით; ვხედავ მას, შემიძლია შევებო და ა.შ. მაგრამ, სულ სხვაა ფსიქიკური პროცესები! როგორ შეიძლება მათ უშუალო წვდომაზე ლაპარაკი, თუ მე არ შემიძლია უშუალოდ დავაკვირდე მათ? მაგალითად, მე არ შემიძლია უშუალოდ დავაკვირდე ახალ გაცნობილი პიროვნების ფსიქიკურ პროცესებს, თუ რაზე ფიქრობს იგი, როგორია მისი წარმოდგენები, რა ანუხებს, ან რა უხარია მას და სხვა. ისინი, რა თქმა უნდა, გარედან არ ჩანს და ამიტომაც, ვერ იქნებიან ობიექტური დაკვირვების საგანი, ისე როგორც ვაკვირდებით ფიზიკურ სხეულებსა და მოვლენებს. მაგრამ ამის გამო, არ შეიძლება მათი არსებობის უარყოფა: მე რომ გარედან ვერ ვაკვირდები იმ ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ ჩემს ახალ ნაცნობში, ცხადია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არსებობენ.¹ ისინი, რა თქმა უნდა, ნამდვილად არსებობენ, მაგრამ უშუალოდ მხოლოდ ამ პიროვნებისათვის არიან მისაწვდომი. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ მათი არსებობის ფორმა განსაკუთრებულია. განსხვავებით ფიზიკური საგნებისა და მოვლენებისაგან, რომლებიც ობიექტურად არსებობენ, და რომლებსაც ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ჩვენი გარე გრძნობის ორგანოების საშუალებით, ფსიქიკური პროცესი მხოლოდ სუბიექტურადაა მოცემული.²

¹ ეთქვათ, ჩემი ახალი ნაცნობი შეილის სიკვდილით არის დამწუხრებული. მე რომ შეთქვა მისთვის, რომ მისი მწუხარება არ არსებობს, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი რეაქცია მოჰყვებოდა ამ ჩემს ნათქვამს. არ არის გამორიცხული, რომ ჩემი ნათქვამით განანყენებული ეს პიროვნება იმდენად აღმოფოთებულიყო, რომ კარგად გამოველამდე კიდევ.

² საერთოდ რაიმე რეალობის ობიექტურად და სუბიექტურად მოცემულობის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: როდესაც ვამბობთ, რომ რაიმე ფიზიკური საგანი, მაგალითად ჩემი მაგიდა, არსებობს ობიექტურად, ჩემი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ როდესაც მე მოვეკედები და არ ვიქნები ამ ქვეყანაზე (ე.ი. როცა შეწყდება ჩემი არსებობა), ეს საგანი მაინც განაგრძობს თავის არსებობას. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ფსიქიკური პროცესის შესახებ. როდესაც მე სიხარულს განვიცდი, ეს უკანასკნელი, როგორც ვარკვეული განცდა, არსებობს მხოლოდ სუბიექტურად, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი არსებობისათვის

ეხლა მივუთითოთ იმ სამ ძირითად ნიშანზე, რითაც ფსიქიკური განსხვავდება ფიზიკურისაგან (ფიზიკური საგნებისა და მოვლენებისაგან).

1. ფიზიკური საგნებისაგან განსხვავებით ფსიქიკურს არ გააჩნია განფენილობა. რაიმე ფიზიკური სხეულის შესახებ (მაგალითად ბურთის შესახებ) შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია ასეთი და ასეთი სიდიდის მოცულობა, იმყოფება ჩემგან მარცხნივ 2მ - ის მანძილზე და სხვა, ამას ვერ ვიტყვით მაგალითად ჩემი სიხარულის შესახებ, ე.ი. ვერ ვიტყვით, თუ რა მოცულობისაა იგი, სად იმყოფება და სხვა. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ რაკი ფიზიკურისაგან განსხვავებით ფსიქიკურს განფენილობა არ გააჩნია, იგი *არსებობს მხოლოდ დროში* (ე.ი. ფსიქიკური პროცესები მიმდინარეობენ მხოლოდ დროში).

2. ამ ნიშნის შესახებ ფაქტიურად ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ. მაშინ როდესაც ფიზიკურ საგნებსა და მოვლენებს ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ობიექტურად (გარედან), *ფსიქიკურ პროცესებს ჩვენ გარედან და უშუალოდ ვერ დაუაკვირდებით*: ისინი უშუალოდ მისანვლოში არიან მხოლოდ იმ ადამიანისათვის, ვისშიც ისინი მიმდინარეობენ.

3. ეს ნიშანი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე ნიშანთან. ფიზიკურ საგნებსა და მოვლენებს, როგორც ვიცით, ვნებებით ჩვენი გრძნობის ორგანოების საშუალებით, რასაც ვერ ვიტყვით ფსიქიკური პროცესების შესახებ. ვთქვათ, მე სიხარულს განვიცდი. მაგრამ საიდან ვიცი, რომ მე სწორედ ასეთი განცდა მაქვს? განა თვალთ ვხედავ სიხარულს, ან ყურით მესმის იგი? რა თქმა უნდა, არა. ფსიქიკურის ნვლომა არ ხდება არცერთი გრძნობის ორგანოს მეშვეობით. საქმე ის არის, რომ ყოველი განცდის ფაქტი უკვე იმით, რომ იგი განცდაა, სუბიექტისათვის¹ უკვე ცნობილია. ე.ი. იგი არა მარტო არსებობს როგორც ფაქტი არამედ სუბიექტმაც იცის, რომ ის არსებობს. სხვანაირად რომ ვთქვათ, განცდა არა მარტო ფაქტია, არამედ ცნობიერების ფაქტიცაა.² და როდესაც საგანგებო განზრახვისა თუ გეგმის მიხედვით ხდება ამ განცდაზე დაკვირვება, მაშინ ამ

ჩემი არსებობაა აუცილებელი. მე თუ არ ვიქნები (არ ვიარსებებ), მაშინ აღარც ეს განცდა იარსებებს.

¹ სუბიექტი ფსიქოლოგიაში ჩვეულებრივ აღნიშნავს პიროვნებას, „მე“-ს, რომელიც უპირისპირდება ობიექტს, როგორც შემეცნების საგანს, ე.ი. ყველაფერს იმას, რაც არა-მე-ს გულისხმობს.

² როგორც უზნაძე მოუთითებს ეს არის ის მთავარი ნყარო, რომელიც ფსიქიკურის შესახებ ცნობებს გვანუდის და რომელსაც გარე გრძნობების ან გარე აღქმისაგან განსხვავებით შინაგრძნობა ან ნინა აღქმა შეიძლება ეწოდოს.

პროცესს ჩვენ თვითდაკვირვებას ვუწოდებთ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკურ პროცესებს ჩვენ ვწვდებით არა რომელიმე გარე გრძნობის ორგანოს საშუალებით, არამედ თვითდაკვირვების ანუ ინტროსპექციის მეშვეობით.

როგორც ვხედავთ, ემპირიული ფსიქოლოგია, განსხვავებით მეტაფიზიკური ფსიქოლოგიისაგან, ემპირიულ სინამდვილეს იკვლევს. ამით იგი თითქოს ემსგავსება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობა გვიჩვენებს, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ემპირიული სინამდვილის ორი სახე: ერთი, ეს ის ფიზიკური გარესინამდვილეა, რომელსაც ადამიანი წვდება თავისი გრძნობის ორგანოების საშუალებით, მეორე კი - ეს არის ის ფსიქიკური (შიგა) სინამდვილე, რომლის წვდომაც შიგა აღქმის (შინა გრძნობის) ანუ თვითდაკვირვების საშუალებით არის შესაძლებელი. ამიტომაც პირველი სახის ემპირიულ სინამდვილეს შეიძლება ეწოდოს ობიექტური, ხოლო მეორეს კი - სუბიექტური.

რაკი ემპირიული ფსიქოლოგიის თანახმად ფსიქიკური პროცესები მხოლოდ თვითდაკვირვების სფეროს შუადგენენ, ამიტომ ფსიქოლოგიის საგნად სუბიექტური სინამდვილე უნდა იქნეს დასახული, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ემპირიული ფსიქოლოგია სუბიექტურ ფსიქოლოგიად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას შემდეგ რაც ბუნებისმეტყველების მეცნიერებანი ემპირიული კვლევის ნიადაგზე დადგნენ, ძალზე სწრაფად წავიდნენ წინ და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ემპირიული კვლევის გზას დაადგა, მაინც წელი ნაბიჯებით განაგრძობდა წინსვლას.¹ ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის ამის მიზეზის გაგება არ უნდა იყოს ძნელი. საქმე იმაშია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ობიექტურად მოცემულ სინამდვილეს სწავლობენ, ხოლო ფსიქოლოგია კი - სუბიექტურად მოცემულს. ამიტომაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები თავიანთი კვლევის საგანს ობიექტური დაკვირვების გზით შეისწავლიან, ფსიქოლოგია კი, რამდენადაც იგი სუბიექტურ სინამდვილეს იკვლევს, მოკლებულია ამის შესაძლებლობას. იგი იძულებულია თავის კვლევა-ძიება მხოლოდ სუბიექტური დაკვირვების, ე.ი. თვითდაკვირვების საშუა-

¹ „ინტროსპექცია“ ლათინურად შიგნით ცქერას ნიშნავს.

² ასეთი ვითარება გარკვეული აზრით პარადოქსადაც კი შეიძლება გამოიყურებოდეს: მეცნიერების აშენება იმ სინამდვილის შესახებ, რომელიც ჩვენს გარეთაა (იგულისხმება ფიზიკური სინამდვილე), უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე მეცნიერების აშენება იმ სინამდვილის შესახებ, რომელიც ჩვენშია, ე.ი. რომელიც ჩვენთვის უფრო ახლობელია.

ლებით აწარმოოს.

ალსანიშნავია, რომ ამა თუ იმ მეცნიერების მეთოდი მჭიდროთაა დაკავშირებული მისი კვლევის საგანთან. როგორცაა საგანი, ისეთივეა მისი კვლევის მეთოდიც. რადგანაც ემპირიული ფსიქოლოგიის კვლევის საგნად სულიერი მოვლენები ანუ ფსიქიკური პროცესებია მიჩნეული, ამიტომაც მისი კვლევის მეთოდი - არის მხოლოდ თვითდაკვირვება. ამ უკანასკნელს კი სწორედ თავისი სუბიექტურობის გამო დიდი სიძნელეები ახლავს.

ჯერ ერთი, თვითდაკვირვების წარმოება ყველას არ შეუძლია. იგი მისანდომია მხოლოდ ზრდადასრულებული ადამიანისათვის და ამდენად მისი გამოყენებით მხოლოდ ზრდადასრულებული კულტურული ადამიანის შინაგანი სამყარო თუ შეიძლება იქნეს შესწავლილი.

ხშირად თვითდაკვირვების ნაკლად ასახელებენ მის შეზღუდულობას, რაკი იგი უშუალოდ მხოლოდ საკუთარი ფსიქიკური ცხოვრების წდომის შესაძლებლობას იძლევა. ასეთი შეზღუდულობის თავიდან აცილებისათვის ფსიქოლოგია ორგვარ თვითდაკვირვებას განასხვავებს: პირდაპირს (როდესაც თვითდაკვირვებას თავის თავზე აწარმოებს თვითონ მკვლევარი) და არაპირდაპირს (როდესაც მკვლევარის დავალებით სხვები აწარმოებენ თვითდაკვირვებას). ცხადია, რომ ერთადერთი საშუალება, რა გზითაც მკვლევარს შეუძლია სხვათა თვითდაკვირვების გათვალისწინება - ეს მეტყველებაა. მაგრამ სიძნელე მაინც რჩება, რამეთუ ყველას არ შეუძლია სიტყვიერად თავისი განცდების ადეკვატურად გადმოცემა.

დაბოლოს, ამ მეთოდს ახასიათებს ისეთი პრინციპული ხასიათის სიძნელეც, რომლის თავიდან აცილებაც გადაუღაახავ ნინაალმდევობას აწყდება. საქმე ის არის, რომ ყურადღების ერთდროულად წარმართვა ორი განსხვავებული მიმართულებით ძალზე გართულებულია (თითქმის შეუძლებელიც), ამიტომაც როდესაც *სუბიექტი აკვირდება თავის განცდას, ამ დროს ყურადღების გარეშე რჩება ის მიზეზი (მოვლენა), რაც ამ განცდას იწვევს*. ამის გამო განცდა იცვლება, სუსტდება ანდა სულაც ქრება, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითდაკვირვების აქტი უკვე თავისი არსებობით არღვევს განცდათა მიმდინარეობას. მაგალითად, როდესაც მე ვინმე მაბრაზებხს, თუ მე, ჩემს ყურადღებას წარმართავ ამ პიროვნებისაკენ (ე.ი. ამ პიროვნების ქცევისაკენ, რაც წარმოადგენს ჩემი გაბრაზების მიზეზს), მაშინ ჩემი გაბრაზების გრძნობა უფრო ინტენსიური გახდება. მაგრამ თუ მე ყურადღებას ჩამოვამორებ ამ ადამიანს და მივმართავ მას ჩემი საკუთარი გაბრაზების განცდისაკენ, მაშინ რაკი მიზეზი (ამ ადამიანის ქცევა) თავის შედეგს (ჩემს გაბრაზებას) ისე ველარ კვებავს, ჩემი ეს გაბრაზების გრძნობა საგრძნობლად

შესუსტდება.¹

ალსანიშნავია, რომ ამ სიძნელიდან მაინც მოიძებნა ნაწილობრივი გამოსავალი. ეს არის ე.წ. *რეტროსპექტული* თვითდაკვირვება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტი აკვირდება არა თვით განცდას, მისი მიმდინარეობის დროს, არამედ იმ კვალს, რომელსაც განცდა სტოეებს ცნობიერებაში.

ამგვარად ემპირიული ფსიქოლოგიის არსებითი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მის საგნად შინაგამოცდილების სფეროა აღებული, რაც ობიექტურად შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. ნამდვილი მეცნიერება კი თავის სიმკაცრითა და სიზუსტით უნდა გამოირჩეოდეს. სიზუსტესთან კი მაშინ გვექნება საქმე, როდესაც მეცნიერული კვლევა ობიექტური და არა სუბიექტური დაკვირვების მონაცემებზე იქნება დაფუძნებული.

ბიპევიორიზმი. ემპირიული ფსიქოლოგიის სუბიექტივიზმთან ბრძოლის პროცესში, მეოცე საუკუნის დასაწყისში, უმთავრესად ამერიკასა და რუსეთში, აღმოცენდა სრულიად ახალი მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში, რომელიც *ქცევათმეცნიერების* ანუ *ბიპევიორიზმის* სახელწოდებითაა ცნობილი (ბიპევიორიზმი წარმოსდგება ინგლისური სიტყვისაგან behavior, რაც ქართულად ნიშნავს ქცევას). ამ მიმართულების წარმომადგენლების აზრით, ფსიქოლოგიას მხოლოდ მაშინ გადავიყვანთ ნამდვილი მეცნიერული კვლევის ლიანდაგზე, თუ მისი კვლევის საგნად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მსგავსად ობიექტურად მოცემული სინამდვილის სფეროს დაესაბავთ. როგორც ვნახეთ, ემპირიული ფსიქოლოგიის თანახმად, ფსიქიკური სინამდვილე ასეთ სფეროს არ ეკუთვნის. გამოდის რომ, ბიპევიორისტული ფსიქოლოგიის თანახმად, არა თუ სული, არამედ სულიერი მოვლენები ანუ ფსიქიკური პროცესებიც კი არ შეიძლება ფსიქოლოგიის საგნად იქნენ მიჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ არამარტო მეტაფიზიკური ფსიქოლოგია უნდა იქნას უარყოფილი (დანუნებული), როგორც მეცნიერება, არამედ ემპირიული ფსიქოლოგიაც.

მაგრამ არსებობს კი ისეთი რამ, რაც ობიექტურადაა მოცემული და მიუხედავად ამისა, მაინც ფსიქოლოგიის საგნად შეიძლება ჩაითვალოს? ბიპევიორიზმის თანახმად, ასეთი რამ ნამდვილად არსებობს. ეს არის ადამიანის ქცევა - გარემო სიტუაციაზე ორგა-

¹ ცხადია, რომ ასეთ უცნაურ მოვლენას ჩვეულებრივ ადგილი არა აქვს ფიზიკური საგნებისა და მოვლენების ობიექტური დაკვირვების დროს. რაც არ უნდა ინტენსიური ყურადღებით დააკვირდეთ, მაგალითად თქვენს წინ მდებარე კალმისტარს, ცხადია იგი არ გაქრება; პირიქით, ამ დროს იგი უფრო ნათლად აისახება თქვენს ცნობიერებაში.

² ლათინურად უკუხედვითი.

ნიშნის მიზანშეწონილ რეაქციათა სისტემა (გარკვეული მოძრაობა, ან მოძრაობათა ერთობლიობა, ემოციის გამოხატველი სხვადასხვა სახის სხეულებრივი ცვლილებები, მეტყველება და სხვა), რასაც ობიექტურად შეგვიძლია დავაკვირდეთ და ზოგიერთ შემთხვევაში რაოდენობრივადაც გავზომოთ.

რამდენადაც, ქცევას, ესა თუ ის სტიმული ანუ გამლიზიანებელი ინვეეს, ამიტომაც ქცევა განიხილება როგორც ორგანიზმის საპასუხო რეაქცია ამ სტიმულზე (ან სტიმულთა ერთობლიობაზე - სიტუაციაზე). ადამიანის გაგებისათვის სავსებით საკმარისია მისი ქცევის შესწავლა და იმის განსაზღვრა, თუ რა სიტუაციაში რა რეაქციას ექნება ადგილი. მაშასადამე, *ფსიქოლოგია მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ნამდვილ მეცნიერებად, თუ მისი კვლევის საგნად ქცევა და მისი გამომწვევი სტიმულაცია იქნება დასახული, ე.ი. ის, რაც ობიექტურადაა მოცემული*. რაც შეეხება ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც, ჩვენი ცნობიერების შინაარსს შეადგენენ, მათი ობიექტურად შესწავლა საბუნებისმეტყველო მეთოდებით ბიპევიორიზმს შეუძლებლად მიაჩნია. სწორედ ამის გამო, ბიპევიორიზმი უარყოფს თვითდაკვირვების მეთოდს - როგორც სუბიექტურსა და არამეცნიერულს.

ბიპევიორიზმის ნარმომადგენელთა აზრით, მკვლევარებს, რომლებიც შეისწავლიან მხოლოდ თავის თავს, არ გააჩნიათ შედარებისათვის სანდო მონაცემების მიღების საშუალება. მაგალითად, თუ ორ ადამიანს ევალება ერთი გარკვეული სურათის ქვრეტის დროს მიღებული შთაბეჭდილებების შეფასება ტრადიციულ შვიდ-საფეხურიან სკალაზე¹ და თუ ორივე იძლევა სიტყვიერად ერთნაირ შეფასებას „მომწონს“, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი მოწონების გრძნობის დონე რეალურად ერთმანეთის ტოლია. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რამეთუ ჩვენ არასოდეს არ გვაქვს იმის გარანტია, რომ ამ ორ პიროვნებაში, სურათის შეფასების ათვლის ნერტილები ერთმანეთს ემთხვევა და საფეხურებს შორის სხვაობებიც ერთმანეთის ტოლია. ისმის კითხვა: თუ ამ დროს მკაცრად თანმიმდევრული ვიქნებით, ამ მეთოდის სავსებით უარყოფას, ხომ არ შეუძლია თვით ფსიქიკის² უარყოფამდე მიგვიყვანოს! სწორედ ამიტომაც ბიპევიორიზმის მონიშნულმდეგები ბიპევიორიზმს „უფსიქიკო ფსიქოლოგიას“ უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ

¹ ამ სკალის საფეხურებია: ძალიან არ მომწონს (-3), არ მომწონს (-2) ოდნავ არ მომწონს (-1), ნეიტრალურად ვარ განწყობილი (0), ოდნავ მომწონს (+1), მომწონს (+2), ძალიან მომწონს (+3).

² ფსიქიკის ქვეშ იგულისხმება ფსიქიკურ პროცესთა საფუძველი, რაც თავის მხრივ ჩვეულებრივ განიხილება როგორც მაღალორგანიზებული მატერიის (თავის ტვინის) ფუნქცია.

მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ დასაწყისში ბიპევიორისტები ფსიქიკის არსებობას კი არ უარყოფდნენ, არამედ უარყოფდნენ მისი მეცნიერულად შესწავლის შესაძლებლობას. მაგრამ იმისათვის რომ მათი მოღვაწეობა არ დამსგავსებოდა დაკარგული ფულის ძებნას განათებულ ადგილას,¹ ისინი იძულებული გახდნენ, რომ ან მართლაც უარეყოთ ფსიქიკის (ფსიქიკური პროცესების) არსებობა და მხოლოდ ქცევა მიეჩნიათ ფსიქოლოგიის საგნად (და მაშინ ფსიქოლოგიის ნაცვლად გვექნებოდა ქცევით მეცნიერება), ანდა თვით ქცევა გამოეცხადებინათ ფსიქიკურად. რამდენადაც, პირველი გზა საღი აზრის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, მათ ამოირჩიეს მეორე გზა, ე.ი. ფსიქოლოგიის საგნად მათ გამოაცხადეს ქცევა, ე.ი. მეთოდის (იგულისხმება თვითდაკვირვების სუბიექტური მეთოდი) შეცვლას თან მოჰყვა თვით საგნის შეცვლაც. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ბიპევიორიზმის დამფუძნებელთა ძირითადი მიზანი მდგომარეობდა არა იმდენად ფსიქიკის უარყოფაში, არამედ მისი გაგების შეცვლაში. ეს გასაგებიცაა: რაკი მეცნიერების მეთოდი და საგანი ერთმანეთისაგან განუყოფელია, ამიტომ, რაიმე მეთოდზე უარის თქმას ყოველთვის მიყვებართ საგნის ახლებურად გაგებამდე.

კლასიკური ბიპევიორიზმის თანახმად, ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის (დამოკიდებულების) ფორმულა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

S - R,

სადაც S არის სტიმული, ხოლო R კი საპასუხო რეაქცია.

ბიპევიორიზმის წარმომადგენლების აზრით, ფსიქოლოგიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილ იქნეს კავშირი S სტიმულსა და R საპასუხო რეაქციას შორის. თუ ასეთი კანონზომიერება დადგენილი იქნება, მაშინ მოცემული სტიმულის (გამლიზიანებლის) არსებობის შემთხვევაში, ფსიქოლოგს შესაძლებლობა ექნება იწინასწარმეტყველოს, თუ როგორი იქნება საპასუხო რეაქცია და პირიქით: რეაქციის შესრულების შემდეგ, მას შეეძლება დაასკენას მისი გამომწვევი გამლიზიანებლის ხასიათის შესახებ. რადგანაც, ექსპერიმენტის დროს სტიმულის შერჩევა ექსპერიმენ-

¹ მოლამ ფული ერთ ადგილას დაკარგა, მაგრამ ძებნა დაიწყო სულ სხვა ადგილას. როცა პკითხეს აქ რატომ ეძებ ფულსო, მან უპასუხა: „სადაც დავკარგე იქ ბნელა, აქ კი სინათლეაო“. რაკი ფსიქიკური პროცესების მეცნიერული შესწავლა ძალზე ძნელია (ან საერთოდ შეუძლებელია), ამიტომ შევისწავლოთ სულ სხვა რამ - ქცევა, რომელიც ობიექტურად მოცემულია და ამდენად მეცნიერულ შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

ტატორზეა დამოკიდებული, და თუ სტიმული განსაზღვრავს საპასუხო რეაქციას, მაშინ ექსპერიმენტატორს შესაძლებლობა ეძლევა საპასუხო რეაქციის არა მხოლოდ წინასწარმეტყველებისა, არამედ მისი რეგულაციის ანუ კონტროლისაც.

სწორედ ამის გამო ბიპევიორიზმის წარმომადგენლები თანდაყოლილი პიროვნული თვისებებისაგან განსხვავებით, ძალიან დიდ როლს ანიჭებდნენ და ანიჭებენ სიტუაციის ანუ გარემოს, გავლენას ადამიანის ქცევაზე. ბიპევიორიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჯ. უოტსონი, საკვებით უარყოფდა თანდაყოლილი ან მემკვიდრეობითი ფაქტორის ნვლილს ადამიანის ქცევების ჩამოყალიბებაში. მისი აზრით, ერთი და იგივე ბავშვიდან, იმისდა მიხედვით თუ როგორ გარემოს შევუქმნით მას (როგორ ავლზრდით), შეგვიძლია გამოვიყვანოთ ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, როგორც ექიმი, მოსამართლე ან მსახიობი, ასევე, მათხოვარი ან ქურდი.

ამგვარად, ბიპევიორიზმი არ შეისწავლის იმას, რაც ხდება ადამიანის ფსიქიკაში (ცნობიერებაში). კიბერნეტიკის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, იგი ქცევას უდგება „შავი ყუთის“ პოზიციიდან. ფსიქოლოგებს, რომლებიც ასეთ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დგანან, მიაჩნიათ, რომ შეცნიერებას, რომელიც მოწოდებულია ადამიანის ქცევის შესწავლისათვის, საქმე უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმასთან, რაც შედის ორგანიზმში S სტიმულის სახით და რაც გამოდის მისგან R ქცევითი რეაქციის ფორმით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამას ემყარება ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი დასწავლის თეორია, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ პრინციპზე: საჭირო მოქმედებების განმტკიცება (დასაჩუქრებით), ხოლო არასაჭირო მოქმედებების დაცხრილვა (დასჯით).

რა შეიძლება ითქვას ბიპევიორიზმის ძირითადი კონცეფციის გამოხატველი ფორმულის შესახებ? ჯერ ერთი, ადამიანი არ წარმოადგენს მხოლოდ სტიმულის ზემოქმედების ობიექტს, რომ მისი ქცევა განვიხილოთ, როგორც გარე სტიმულის მიერ გამოწვეული, ე.ი. როგორც მხოლოდ რეაქცია. ადამიანი აქტიური სუბიექტია და ყოველგვარი სტიმულის გარეშეც თვით შეუძლია იმოქმედოს გარემოზე და გარკვეულად შეცვალოს იგი.¹

მეორეც, ხომ საკვებით შესაძლებელია, რომ ერთ და იგივე სტიმულზე (ან ერთი და იგივე სიტუაციაში) სხვადასხვა ადამიანმა (ან ერთი და იგივე ადამიანმა სხვადასხვა დროს) მოგვცეს

¹ ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ფსიქოლოგის კ. როჯერსის აზრით, სუბიექტის შინაგანი სამყარო უფრო მეტად მოქმედებს მის ქცევაზე, ვიდრე გარეშე სტიმულაცია.

სხვადასხვა საპასუხო რეაქცია,¹ რაც იმას ნიშნავს, რომ რეფლექსის გარდა სტიმული N ცალსახად (ერთმნიშვნელოვნად) თითქმის არასოდეს არ განსაზღვრავს R პასუხს. ამიტომაც N სტიმულის ცოდნით, ცხადია, ვერ ვინინანსარმეტყველებთ და ვერც გავაკონტროლებთ საპასუხო R ქცევას. მოცემული N სტიმულის დროს, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ სხვადასხვა R_1, R_2, R_3, \dots საპასუხო რეაქციების (ქცევების) შესრულების ალბათობაზე. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რაკი ზემოთ მოყვანილ ფომულაში მხედველობაში არ არის მიღებული ისეთი შუალედური რგოლი, როგორიცაა სუბიექტის შინაგანი სამყარო (ფსიქიკური პროცესები და მდგომარეობები).

ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა ერთი და იგივე N სტიმულის დროს ორი სხვადასხვა პიროვნება იძლევა ერთ და იმავე R საპასუხო რეაქციას, მაინც ჩნდება უკმარისობის განცდა. საქმე იმაშია, რომ ადამიანის რეაქცია რაიმე გამლიზიანებელზე ვერ ჩაითვლება ქცევის ნამდვილ აქტად, თუ არ იქნა გათვალისწინებული ამ მოქმედების შინაგანი (ფსიქიკური) მხარეც. კერძოდ ის, თუ რა მოტივებით და მიზნებით სრულდება ესა თუ ის მოქმედება. შეიძლება საკმაოდ ბევრი მავალითის მოყვანა, როდესაც ერთი და იგივე სტიმულაციის პირობებში ორი პიროვნება ასრულებს ფიზიკურად ერთსა და იგივე მოქმედებას, მაგრამ ისინი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მაინც ვერ ჩაითვლებიან ერთი და იგივე ქცევად. ნარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში მდგომმა მთერალმა ხულიგანმა ერთი და იგივე სახის შეურაცხყოთა მიაყენა ორ სხვადასხვა გამველს. ორივეს საპასუხო რეაქცია იყო ერთნაირი: ორივემ ჩაიარა ისე, რომ ხმა არ ამოუღიათ. მაგრამ თუ არ გავითვალისწინებთ ამ ადამიანების შინაგან მოტივებს, მათი ეს ერთნაირი მოქმედება მაინც ვერ ჩაითვლება ერთსა და იმავე ქცევად. მიუხედავად გარეგნულად ერთი

¹ აქ ბიპევიორიზმის დამცველს შეიძლება ეთქვა, რომ თუ ორი სხვადასხვა ადამიანი ერთი და იგივე ფიზიკური სიტუაციაში გადალევს სხვადასხვა რეაქციას, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი ამ ფიზიკურ სიტუაციაში არ განიცდიან ერთნაირად, რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტის ქცევას განსაზღვრავს არა ფიზიკური სიტუაცია, რომელიც შეიძლება აღწერილი იქნეს ობიექტურად, არამედ ის - თუ როგორ განიცდის მას სუბიექტი. მაგრამ სიტუაციის განცდა - ეს უკვე ისეთი შინაგანი (ფსიქიკური) პროცესია, რომელიც გარე დამკვირვებლისათვის უშუალოდ მისაწვდომი არაა, რის გამოც საჭირო ხდება თვითონ სუბიექტს ვკითხოთ ამის შესახებ. ეს კი ბიპევიორიზმის ძირითად კონცეფციას ეწინააღმდეგება.

გარდა ამისა, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი და იგივე ფიზიკური სიტუაცია ორი სხვადასხვა ადამიანის მიერ ერთნაირად განიცდება, არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს მათ მაინც სხვადასხვა რეაქცია მოგვცენ.

და იგივე რეაქციისა, ეს მოტივები შეიძლება ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს: პირველმა ხმა არ ამოიღო უბრალოდ სიმბდალის გამო, ხოლო მეორემ კი იმის გამო, რომ ჯიბეში მთავრობის სანინაალმდეგო პროკლამაციები ედო და ჩხუბის ატეხვას მოერიდა.

არ შეიძლება აგრეთვე ანგარიში არ გაენიოს ადამიანის შინაგან (პიროვნულ) მახასიათებლებსაც. ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტუაციაში ერთი და იგივე ქცევა (უფრო ზუსტად ფიზიკურად ერთი და იგივე მოქმედება) შეიძლება შეასრულოს ისეთმა ორმა პიროვნებამ, რომლებიც თავიანთი ინტელექტის, განათლებისა და კულტურის დონის მიხედვით საკმაოდ შორს დგანან ერთმანეთისაგან. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ მაგალითი.

ნარმოიდგინეთ ახალგაზრდა ქალი უცხო ქალაქში, რომელსაც დაეკარგა ფული და არ იცის როგორ მოიქცეს, სად იშოვოს თავის ქალაქში დასაბრუნებელი ბილეთის ფული. ერთადერთი რის გაკეთებაც მას შეუძლია - ეს არის გავიდეს ბაზარში და გაყიდოს თავისი ქურქი. ვის შეუძლია განახორციელოს ასეთი ქცევა? ვთქვათ, ეს ქალი ინტელექტის, განათლებისა და კულტურის მხრივ ძალიან დაბალ დონეზე იმყოფება, მაშინ იგი თავისუფლად შეასრულებს ასეთ ქცევას. ასეთი ქალის ქცევას შეიძლება ეწოდოს ქცევა *პირველი საფეხურის* დონეზე. დაეუშვათ ახლა, რომ საქმე გვაქვს ისეთ ქალთან, რომელიც პირველთან შედარებით უფრო მაღალი ინტელექტისა და განათლების მქონეა. მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ მან დაიმორცხვოს ასეთი მოქმედების შესრულება და უარი თქვას მასზე, ე.ი. შეასრულოს პირველი ქალის სანინაალმდეგო ქცევა. მაშინ მეორე ქალის ასეთ ქცევას შეიძლება ეწოდოს ქცევა *მეორე საფეხურის* დონეზე. დაბოლოს, დაეუშვათ, რომ საქმე გვაქვს ისეთ ქალთან, რომელიც მეორესთან შედარებით გაცილებით უფრო მაღალი ინტელექტის, განათლებისა და კულტურის მქონეა. მაშინ იგი შესძლებს იმის გაცნობიერებას, რომ ქურქის გაყიდვაში არაფერი ცუდი არ არის, ის მისი საკუთრებაა და მას სრული უფლება აქვს, როგორც უნდა ის მოექცეს მას. ამიტომაც სასეხებით შესაძლებელია, რომ ამ ქალმა გაყიდოს თავისი ქურქი, ე.ი. შეასრულოს მეორე ქალის ქცევის სანინაალმდეგო ქცევა. ასეთ ქცევას შეგვიძლია ვუწოდოთ ქცევა *მესამე საფეხურის* დონეზე. რადგანაც ეს უკანასკნელი ქცევა, მეორე ქალის ქცევის სანინაალმდეგოა, ამიტომაც იგი უნდა ემთხვეოდეს პირველის ქცევას. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ პირველმა და მესამე ქალმა შეასრულეს გარეგნულად ერთი და იგივე ქცევა (ორივემ გაყიდა თავისი ქურქი), მაგრამ რამდენად განსხვავებული არიან ეს ქცევები თავიანთი შინაგანი საფუძვლებით?

აქ საყურადღებოა შემდეგი გარემოება: რაკი მესამე საფეხურის

დონეზე შესრულებული ქცევა ფიზიკურად პირველის მსგავსია, ამიტომაც ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ მეორე საფეხურზე მდგომ სუბიექტს შეიძლება გაუჭირდეს შესამეზე გადასვლა, რამეთუ არ იფიქრონ (შეტნილად ალბათ მეორე საფეხურის დონის ხალხმა) რომ იგი ამ ქცევას ასრულებს პირველი საფეხურის დონეზე.

განვიხილოთ ახლა ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმე გვაქვს საფრთხიანი გამონვეულ ემოციურ ქცევასთან.

წარმოიდგინეთ, რომ ტარიელი („ვეფხისტყაოსნის“ გმირი) თავის ორ ვაჟთან ერთად ტყეში სეირნობს. უფროსი ვაჟი 12 წლისაა, უმცროსი კი - 2-ის. ამ დროს დაინახეს, რომ მათ უახლოვდება ვეფხე. მაშინ 2 წლის პატარას სრულიათაც არ შეეშინდება მისი და შიშის გამოხატველი არც ერთ მოძრაობას (ქცევას) არ გამოამყვანებს; 12 წლის ვაჟს შეიძლება ძალიან შეეშინდეს, რაც ფიზიკურად შეიძლება გამოამყვანდეს გაფითრებაში, ცახცახში, თმების ყალყზე დადგომაში, გულის შეღონებაში და სხვა. რაც შეეხება ტარიელს, მას, რა თქმა უნდა, ვეფხის არ შეეშინდება. მაგრამ ცხადია, რომ მისი ეს არ შეშინება განსხვავებული იქნება თავის ორი წლის ბავშვის არ შეშინებისაგან.

საინტერესოა, რომ ანალოგიური საფეხურები შეიძლება დადასტურებულ იქნეს შემეცნებით სფეროშიც. მაგალითად, პატარა ბავშვს (პირველი კლასის მოსწავლეს) ეკითხებიან, თუ რა არის ელექტრული ველი. ბავშვი პასუხობს: „არ ვიცი“. იგივე კითხვას უსვამენ მათე კლასის მოსწავლეს. იგი სხაპასუხობს: „არ ვიცი“, თუ რა არის ელექტრული ველი (ე.ი. გამოდის, რომ მან იცის, თუ რა არის ელექტრული ველი). დაბოლოს იგივე კითხვას თუ დავუსვამთ მოხუცებულ პრფესორს, რომელმაც 50 წელიწადი დაუთმო ელექტრული მოვლენების შესწავლას, მისგან შეიძლება მიიღოთ პასუხი: „არ ვიცი“. ამ შემთხვევაშიც, ხომ ცხადია, რომ მისი ეს „არ ვიცი“ მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული პატარა ბავშვის „არ ვიცისაგან“. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს სოკრატეს ცნობილი

¹ ასეთი მაღალი დონის „არ ვიცის“ საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მეტად საინტერესო შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვის VIII მათემატიკურ ოლიმპიადაზე 1945 წელს. VII-VIII კლასის მოსწავლეებს ამოცანად მიეცათ ისეთი დებულების დამტკიცება, რომელიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მერვე კლასის მოსწავლემ რ. დობრუშინმა (შემდგომში ცნობილმა მათემატიკოსმა) დამტკიცებად არ მიიჩნია ის, რასაც ოლიმპიადის ორგანიზატორები გულისხმობდნენ და თავის ნაშრომში ჩანერა, რომ მან ბევრი ინვალია აღნიშნული დებულების დამტკიცებისათვის, მაგრამ ვერ შეძლო, რათი სრულიად მოულოდნელად გააცნობიერა, რომ მან არ იცის, თუ რა არის ნრფე. მიუხედავად ამისა მას მიენიჭა პირველი პრემია, პირველი პრემია იმამი, რომ მან ვერ

გამონათქვამი: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“.

ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება, თუ რამდენად არამართებულია, როდესაც ვინმესთან კამათის დროს ამ უკანასკნელის შეხედულების უარყოფის (დისკრედიტაციის) მიზნით ოპონენტს უსაყვედუროთ: „შენ რა X -სავით ლაპარაკობ?“ (თუ X პიროვნება, ყველასათვის ცნობილია, როგორც დაბალი განათლებისა და კულტურის მქონე პიროვნება). ასეთ შემთხვევაში ყოველთვის გაცნობიერებული უნდა გქონდეთ ის გარემოება, რომ თქვენ არა გაქვთ უფლება თქვენს ოპონენტს დაუნუნოთ თავის შეხედულება, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ემთხვევა X პიროვნების შეხედულებას, ვინაიდან, საესებით შესაძლებელია თქვენს ოპონენტს ეს შეხედულება გააჩნდეს მესამე საფეხურის დონეზე, X პიროვნებას კი - პირველი საფეხურის დონეზე.

აქ კიდევ შეიძლება ანალოგიური მაგალითების მოყვანა იმის საილუსტრაციოდ, რომ ინტელექტუალური განვითარების შედეგად სუბიექტი შეიძლება ისევ დაუბრუნდეს თავის ძველ (დანუნებულ) ქცევას, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ადამიანის ინტელექტუალური განვითარება თითქოსდა სპირალის მიხედვით ხდება და ამდენად პერიოდულ ხასიათს ატარებს. ამიტომაც, ამა თუ იმ ქცევის შეფასების დროს, ყოველთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ რომელ დონეზე იქნება იგი შესრულებული.

ყოველივე ამის შემდეგ, მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ადამიანის ქცევას სრულყოფილად ვერ დავახასიათებთ, ან ვერ გავიგებთ, თუ არ გავითვალისწინებთ მის შინაგან (ფსიქიკურ) სამყაროს.

ის სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია ქცევის ფსიქიკური მხარის ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებასთან, როგორიცაა შინაგანი მოტივები, მისწრაფებები და ა.შ. რომელთა წვდომაც ჩვეულებრივ თვითდაკვირვების (ცნობიერების) საშუალებით ხდება, ცხოველებთან მოხსნილია. გარდა ამისა, სწორედ ცხოველებთანაა შესაძლებელი მეტწილად $S - R$ ფორმულის გამოყენება, ვინაიდან მათი ქცევა R , ხშირ შემთხვევაში, მართლაც შეიძლება ცალსახად (ერთმნიშვნელოვნად) იყოს განსაზღვრული S სტიმულით. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ ბიპევიორიზმი ცხოველთა ფსიქოლოგიიდან აღმოცენდა. მისი წარმომადგენელთა აზრით, ცხოველთა ფსიქოლოგიას კვლევის საგნად არ შეუძლია მიიჩნიოს

გადანჯიღა ამოცანა! (იხ. А. Пойа. Математическое открытие. Изд. "Наука", Москва, 1976, стр. 320.

ფსიქიკური პროცესები ან ცნობიერება,¹ რაკი ჩვენ არ ვიცით და არც არასოდეს გვეცოდინება, არიან თუ არა ცხოველები ცნობიერების მქონე არსებები. არ არსებობს რაიმე ისეთი კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დაგვემტკიცებინა ცნობიერების არსებობა ცხოველებში. თუნდაც, რომ დაგვეშვა ცხოველებში ცნობიერების არსებობა, ჩვენ მაინც ვერ შევძლებდით ამ უკანასკნელის შემეცნებას მისი უშუალოდ დაკვირვების შეუძლებლობის გამო. შემდეგ ეს მოსაზრებები გადატანილ იქნა ბავშვებზე, შემდეგ სულთ ავადმყოფებზე და ბოლოს ზრდადამთავრებულ ნორმალურ ადამიანებზეც. ამგვარად, მოხდა ცნობიერების უგულვებელყოფა და ფსიქოლოგიის საგნად, ადამიანისა ან ცხოველის, ქცევის გამოცხადება, რაც იმას ნიშნავდა, რომ, როგორც ცხოველის, ისე ადამიანის, ქცევა შეიძლება დახასიათდეს ერთსა და იმავე კატეგორიაში. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ბიპევიორიზმის ნარმოადგენლების გამოკვლევათა დიდი უმრავლესობა ცხოველთა ქცევის შესწავლას ეხებოდა. რადგანაც ყველაზე უფრო ხშირად ცდები ტარდებოდა ვირთაგვებზე, ამიტომ ზოგიერთმა ასეთ გამოკვლევებს ვირთაგვების ფსიქოლოგიაც კი უწოდა. აღსანიშნავია, რომ დასაწყისში იმდენად დიდი იყო ადამიანის ნაცვლად ცხოველთა

¹ ჩვენ ზემოთ უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ სიტყვა „ცნობიერება“, ისე რომ არ მოგვიყვანია მისი განმარტება. ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, ცნობიერების ცნება საკმაოდ ცნობილია ყველასათვის, სანამ საქმე მის განსაზღვრებაშივე მიდგება. საქმე ის არის, რომ ცნობიერების ცნება საკმაოდ რთულია და ფსიქოლოგიაში მისი ერთიანი და სრულყოფილი განსაზღვრა დღემდე არ არსებობს. ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დაგვამაყოფილდებით, რომ იგი ნარმოადგენს როგორც ფიზიკურ ასევე ფსიქიკური სინამდვილის ასახვის უმაღლეს დონეს, როც ფსიქოლოგთა უმრავლესობის აზრით, დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის. ადამიანი ცხოველისაგან განსხვავებით არა მხოლოდ აღიქვამს, არამედ იცის, რომ აღიქვამს და რას აღიქვამს; ადამიანი არა მხოლოდ განიცდის, არამედ აცნობიერებს თავის განცდას, ე.ი. იცის, რომ განიცდის და რას განიცდის; ადამიანი არა მხოლოდ მოქმედებს, არამედ აცნობიერებს თავის მოქმედებას, ე.ი. იცის რასაც აკეთებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ცნობიერება - ეს არის შინაგანი (ცოდნა იმისა, თუ რას აღიქვამს ადამიანი ფიზიკურ გარემოში, რას განიცდის თავის საკუთარ ფსიქიკურ სამყაროში და რას აკეთებს. თუ მკითხველისათვის ძნელად გასაგები არ იქნება, აქ შეგვეძლო კიდევ დაგვემატებინა ზოგიერთი ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცნობიერება სხვა არა არის რა, გარდა სინამდვილის (იქნება ეს უკანასკნელი ფიზიკური თუ ფსიქიკური) გაცნობიერებისა. ე.ი. რომ ცნობიერებას არავითარი სხვა შინაარსი არ გააჩნია, გარდა იმისა, რაც სინამდვილეში არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობიერება მხოლოდ ხედვაა, გაშუქებაა იმისა, რაც სინამდვილეშია მოცემული და თვითონ მას (ცნობიერებას) თავის საკუთარი შინაარსი არ გააჩნია.

ქცევის შესწავლით გატაცება, რომ მათი საქმიანობა მართლაც ნააგავდა დაკარგული ფულის ძებნას განათებულ ადგილას (რაკი ადამიანის შესწავლა ძნელია, ამიტომ შევისწავლოთ ვირთაგვები). ბიპევიორიზმის ნარმოშადგენლები თავიანთ ახალ კვლევებს იმით ამართლებდნენ, რომ ცხოველთა ქცევის შესწავლის დროს მიღებული შედეგები (ფაქტები) და დადგენილი კანონზომიერებანი სავსებით შესაძლებელია შემდგომში გადატანილ იქნეს ადამიანებზედაც.

ალსანიშნავია, რომ ბიპევიორიზმი რუსეთში არსებითად იყო რეფლექსოლოგია, რომელიც ცდილობდა ადამიანის მთელი ფსიქიკური ცხოვრება დაეყვანა რეფლექსებამდე. რაკი ბიპევიორიზმმა ადამიანის შინაგანი (სუბიექტური) სამყაროს შემეცნება შეუძლებლად გამოაცხადა, ამიტომაც საჭიროა თავი ავარიდოთ ყოველგვარ ფსიქოლოგიურ ცნებებს (როგორცაა ალქმა, ნარმოდგენა, სიხარული, მსუხარება, შიში, რისხვა და სხვა) და შევიმუშავოთ ახალი, ობიექტური ტერმინოლოგია. საყურადღებოა, რომ პავლოვმა ერთ დროს თავის თანამშრომლებს აუკრძალა ფსიქოლოგიური ტერმინების ხმარება. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ, კაცი გაბრაზდა (სიტყვა „გაბრაზდა“ მოტანილია ფსიქოლოგიის ლექსიკონიდან), უნდა ითქვას, რომ ამ კაცს სისხლის წნევა გაუხდა ამდენი და ამდენი, მაჯისცემა ამდენი და ამდენი და ა.შ., რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მდგომარეობა უნდა აღინეროს მხოლოდ ობიექტურად დაკვირვებად მაჩვენებლებში. რაც შეეხება აზროვნებას, ამ ურთულეს ფსიქიკურ პროცესს, იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შეკავებული რეფლექსი.¹

მაგრამ ეს ყველაფერი, ცხადია, არის ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანის ცდა. ჩვენ აქ არ შევუდგებით საერთოდ რედუქციონიზმის² კრიტიკას, მხოლოდ მივუთითებთ იმაზე, რომ თვით ისეთ ზუსტ მეცნიერებაშიც კი როგორცაა ფიზიკა, განიხილება და შეისწავლება ისეთი მოვლენები ან რეალობები,

¹ ბიპევიორიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი უატსონი ცდილობდა აზროვნება დაეყვანა მეტყველებაზე, რამეთუ სულ იმის მტკიცებაში იყო, რომ აზროვნება სხვა არა არის, თუ არა უხმო (დაფარული) მეტყველება, ე.ი. მეტყველება დაფარული კუნთური მოძრაობის დროს.

² რედუქცია (ლათ. *reductio* - დაბრუნება, უკან მოყვანა) ნიშნავს რთულის მარტივზე დაყვანას, ანუ რთულის შეცვლას მარტივით. რედუქციის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სითბური მოვლენების მექანიკურზე დაყვანა. თუ ნინათ სითბოს განიხილავდნენ როგორც უხილავ და უწონად სუბსტანციას, რომელსაც სითბომბადს უწოდებდნენ, შემდეგში აღმოჩნდა, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა მოლეკულების მექანიკური ენერგია, ე.ი. სითბომბადი დაყვანილ იქნა მოლეკულების მექანიკურ ენერგიაზე

რომელთა დაყვანაც შეუძლებელია უფრო მარტივ (მარტივად გასაგებ) კატეგორიებზე. ასე რომ, მათ თავიანთი დამოუკიდებელი არსებობის უფლება შენარჩუნებული აქვთ. მაგალითისათვის შეგვეძლო დაგვესახელებინა ელექტრული მუხტი, რომელსაც ამჟამად ფიზიკაში უკავია ისეთივე მდგომარეობა, როგორც სითბოს (სითბომბადს) XIX საუკუნეში, რამეთუ დღეისათვის არაეინ იცის, თუ რა არის იგი. ელექტრონულ თეორიას ამაზე პასუხი არ მოუცია. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ამ თეორიის თანახმად ელექტრონი ნარმოადგენს მატერიის უმცირეს ნაწილაკს, რომელსაც გააჩნია უმცირესი უარყოფითი მუხტი. მაგრამ თუ რა არის თვითონ მუხტი, ამის შესახებ ელექტრონულ თეორიას არაფრის თქმა არ შეუძლია. ეს უკანასკნელი განიხილება როგორც გარკვეული თვისობრივი კატეგორია, რომლის დაყვანაც ვერ ხერხდება ფიზიკის უფრო მარტივ (მექანიკურ) კატეგორიებზე.

თუნდაც, ავიღოთ ატომგულური ძალები, რომელთა ბუნებაც ყველასათვის უცნობია. თუ ელექტრობა (ელექტრული მუხტი) თვისობრივად განსხვავებულ კატეგორიას წარმოადგენს და მექანიკურ კატეგორიებზე არ დაიყვანება, იგივე შეიძლება ითქვას ატომგულური ძალების შესახებაც: ისინი ვერ დაიყვანება ელექტრულ ძალებზე. როგორც ცნობილია, ატომგული შედგება დადებითად და მუხტული ნაწილაკებისა (პროტონებისა) და ნეიტრალური ნაწილაკებისაგან (ნეიტრონებისაგან). რაკი პროტონები ერთი და იგივე ნიშნის მუხტის მატარებელია, მათ შორის უნდა მოქმედებდეს განზიდვის ელექტრული ძალები, რაც უნდა ინვევედეს მათი ერთმანეთისაგან გაფანტვას. მაგრამ სინამდვილეში ასეთი რამ არ ხდება და ატომგული მდგრადია, რაც აიხსნება ამ ნაწილაკებს შორის სხვა ბუნების მქონე მიზიდულობის ძალების მოქმედებით, რომლებიც ალემატებიან განზიდვის ელექტრულ ძალებს. სწორედ ამ ძალებს უწოდებენ ატომგულურ ძალებს, რომლებიც ელექტრული ძალებისაგან სავსებით განსხვავებული ბუნებისაა და ვერ დაიყვანება ამ უკანასკნელზე. ამასთან ატომგულური ძალები განსხვავებით ელექტრულისაგან სულ სხვა კანონზომიერებას ემორჩილებიან.

ამასთან, თუ თვით ერთი მეცნიერების (ამასთან ისეთი ზუსტი მეცნიერების, როგორიცაა ფიზიკა) ფარგლებში არსებობენ ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული რეალობები, რომლებიც ვერ დაიყვანება ერთმანეთზე, მაშინ რატომ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ფსიქოლოგიას ფიზიოლოგიისაგან დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდეს შენარჩუნებული, ე.ი. რომ ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანა შეუძლებლად მივიჩნიოთ.

აი, რას ამბობს ასეთი დაყვანის შეუძლებლობის შესახებ თვით ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ფიზიოლოგი: „დიდი ტვინის ქერქის ფიზიოლოგია არა თუ ვერ შეცვლის ფსიქოლოგიას, არამედ ფსიქი-

კურ კანონზომიერებათა გაგების საფუძვლათაც კი არ გამოდგება. ამიტომაც ცდა ფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა თვალსაზრისით ფსიქიკურ მოვლენათა დინამიკაში შეჭრისა, ყოველთვის განწინრულია¹.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფსიქოლოგია ფიზიოლოგიისაგან თვისობრივად განსხვავებულ მოვლენათა სფეროს იკვლევს, რომლებსაც თავის განსაკუთრებული კანონზომიერებანი გააჩნიათ და რომლებიც განსხვავებულნი არიან ფიზიოლოგიის კანონებისაგან.

ფიზიოლოგების პრეტენზია, ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანისა, ჩვეულებრივ იმით არის განპირობებული, რომ მათ ფსიქიკის მატერიალურ სუბსტატად თავის ტვინი მიაჩნიათ, რომ მათი აზრით, ფსიქიკურ პროცესებს წარმოშობს თავის ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები. ამიტომაც ფსიქიკური პროცესები უნდა აღინეროს მხოლოდ ფიზიოლოგიურ ტერმინებში და რომ ფსიქიკურ კანონზომიერებებს საბოლოოდ საფუძვლად უნდა ედოს ფიზიოლოგიური კანონზომიერებანი. მაგრამ ზემოთ მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფსიქიკური პროცესები წარმოიშობა ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებით, მართალიც რომ იყოს,² აქედან მაინც არ გამომდინარეობს, რომ უკვე წარმოშობილ ფსიქიკურ პროცესებს არ გააჩნიათ თავის სპეციფიკური (ფსიქოლოგიური) კანონზომიერებანი, განსხვავებული ფიზიოლოგიური კანონზომიერებებისაგან. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ შემდეგი ანალოგია:

როგორც ცნობილია, ელექტრული ნათურა მხოლოდ მაშინ გამოასხივებს სინათლეს, როდესაც მასში ელექტროდენს (მუხტების ნაკადს) გავატარებთ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სინათლე წარმოიშვა ელექტროდენმა. მიუხედავად ამისა, ყველამ კარგად ვიცით, რომ წარმოშობილ სინათლეს თავის განსაკუთრებული კანონზომიერებანი გააჩნია, რაც ოპტიკის შესწავლის საგანს შეადგენს და არა ელექტრობის.³

¹ ი. ბერიტაშვილი, ნერვული და ფსიქონერვული მოქმედების ძირითადი ფორმები, თბილისი, 1947, გვ. 101.

² საინტერესოა, რომ ცნობილი ამერიკელი ფიზიოლოგის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯ. ეკლსის აზრით, ტვინი უნდა განვიხილოთ არა როგორც ფსიქიკური პროცესების გენერატორი (წარმოქმნელი), არამედ როგორც ამ პროცესების დეტექტორი (გამომჟღავნებელი), რაც იმას ნიშნავს, რომ ტვინი კი არ წარმოშობს ფსიქიკურ პროცესებს, არამედ მათ მხოლოდ ამჟღავნებს (იხ. Eccles G.C. The Neurophysiological Basis of Mind. Oxford University Press, 1953).

³ სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ ფსიქოლოგიის შესწავლა შესაძლებელია ისე, რომ სულაც არ

აღსანიშნავია, რომ თუ ბიოლოგებს (ფიზიოლოგებს) გააჩნიათ ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანის პრეტენზია, ასეთივე პრეტენზიით (პოზიციით) უდგებიან ფიზიკოსები თვით ბიოლოგიას. მათ მიაჩნიათ. რომ ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესები პრინციპში შეიძლება აიხსნას ფიზიკის კანონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიოლოგია საბოლოოდ შეიძლება დაყვანილ იქნეს ფიზიკაზე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩვენი დროის გამოჩენილი ფიზიკოსის შრედინგერის ნიგნი „რა არის სიცოცხლე ფიზიკის თვალსაზრისით“, სადაც დეტალურად განხილულია სწორედ ასეთი დაყვანის შესაძლებლობა.¹ ძალზე საყურადღებოა ნიგნის ბოლოში მოყვანილი დასკვნები: ავტორი შეუძლებლად მიიჩნევს ბიოლოგიის ფიზიკაზე დაყვანას, ვინაიდან, ბიოლოგია, როგორც ეს ნაჩვენებია ნიგნში, ფიზიკისაგან სრულიად განსხვავებულ მოვლენათა სფეროს შეისწავლის, რომლებსაც თავის კანონები გააჩნიათ და რომ ბიოლოგიური (სიცოცხლის) მოვლენები ფიზიკის ტერმინებში ვერ აიხსნება. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს მეტად მახვილგონივრული ანალოგია: წარმოიდგინეთ ინჟინერი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე საქმე აქვს ორთქლის მანქანასთან (სითბურ ძრავასთან) და პირველად ხედავს ელექტროძრავას, ე.ი. ისეთ მანქანას, რომელიც სითბური სანჯავით კი არ მუშაობს, არამედ ელექტროდენით. ჩვენი ინჟინერი ხედავს, რომ ელექტროძრავის ნაწილები შედგება მისთვის ნაცნობ იგივე სპილენძისა და რკინისაგან, რომლებიც გამოიყენება ორთქლის მანქანებშიც, მაგრამ რამდენიც არ უნდა უკირკიტოს მან ელექტროძრავას და თავი იმტეროოს მისი მოქმედების (მუშაობის) პრინციპის გაგებაზე, იგი მაინც ვერაფერს გახდება. ეს გასაგებიცაა, რადგან იგი ცდილობს ელექტროძრავის მოქმედების ახსნას სითბური კატეგორიების ტერმინებში და ვერ აცნობიერებს, რომ მას საქმე აქვს სითბურ პროცესისაგან თვისობრივად განსხვავებულ მოვლენებთან, რომლებიც თავის განსაკუთრებულ კანონებს ემორჩილებიან.

რალაც ამგვარ მდგომარეობაში იმყოფება ფიზიკოსი, როდესაც იგი ცდილობს შეისწავლოს ცოცხალი ორგანიზმი და მათში მიმდინარე სიცოცხლის პროცესები ახსნას ფიზიკის ტერმინებში, მაგრამ ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მას საქმე აქვს თვისობრივად სრულიად განსხვავებულ მოვლენების სფეროსთან.

როგორც ვხედავთ, ბიპევიორიზმის კრიტიკა ძალზე ვრცელი

ვიცოდეთ ადამიანის ფიზიოლოგია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთ უკიდურეს პოზიციას არავითარ შემთხვევაში არ ვიზიარებთ.

¹ Шредингер Э. Что такое жизнь с точки зрения физики? Изд. И.Л. Москва, 1947.

გამოგვივიდა და სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ მკითხველს იგი გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ თუ კრიტიკა მართლაც გავგივრძელდა, ეს აიხსნება არსებითად იმ გარემოებით, რომ გვინდოდა მკითხველი დაგვერწმუნებინა ბიპევიორიზმის ორ ძირითადი მხარის ნაკლოვანებაში:

1. ადამიანის რეაქცია რაიმე გამლიზიანებელზე ვერ ჩაითვლება ქცევის ნამდვილ აქტად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუ გათვალისწინებული არ იქნა მისი შინაგანი (ფსიქიკური) მხარეც. სწორედ ამ უკანასკნელის მხედველობაში არ მიღება, თავის მხრივ არის იმის მიზეზი, რომ ქცევის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია მხოლოდ გარე გამლიზიანებლის (სიტუაციის) ცოდნის საფუძველზე.

2. რამდენად არა მართებულია ქცევის მთელი სირთულის ახსნა გამარტივებულად გაგებულ რეფლექსების მექანიზმით, რაც ფაქტიურად ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანას ნიშნავს.

ყოველივე აღნიშნულიდან, მკითხველს რა თქმა უნდა, არ უნდა შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბიპევიორიზმს არავითარი დადებითი გავლენა არ მოეხდინოს ფსიქოლოგიის განვითარებაზე. ეს გავლენა, არსებითად შემდეგში გამოიხატება:

1. ბიპევიორიზმმა ყურადღება მიაქცია ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ობიექტურ მხარეს.

2. პიროვნების შესწავლის დროს ხაზი გაესვა გარემოს (სიტუაციის) ფაქტორებს (ნაჩვენები იქნა, რომ ქცევა შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, ანაზღაურდეს ან ნარსულში არსებული სიტუაციით).

3. ბიპევიორიზმმა გარკვეული გავლენა მოახდინა საერთოდ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის გაგებაზე. კერძოდ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქცევის შესწავლის ექსპერიმენტული და მათემატიკური მეთოდების შემუშავებაში, აგრეთვე მთელი რიგი პრობლემების დაყენებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძირითადად ისეთი პრობლემები, რომლებიც ეხება დასწავლას - ორგანიზმის მიერ ქცევის ფორმების შექმნას.

4. დაბოლოს ბიპევიორიზმის იდეებმა გავლენა მოახდინეს ფსიქოლოგიისაგან განსხვავებულ ისეთ დარგებზე, როგორიცაა ლინგვისტიკა, ანტროპოლოგია, სოციოლოგია, სემიოტიკა და გარკვეული როლი ითამაშეს კიბერნეტიკის წარმოშობაშიც.

2. რას შინაწინასწარმეტყველებს ფსიქოლოგია

მკითხველი ალბათ უკმაყოფილო დარჩა ზემოთ მოყვანილი მსჯელობით: ამდენი ვილაპარაკეთ და მაინც გარკვეულად ვერაფერი დავადგინეთ. მაგრამ ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, სიძნელეები რომლებიც ახლავს ფსიქოლოგიის საგნის დადგენას, გაპირობებულია ერთის მხრივ თვით *ფსიქოლოგიის საგნის სპეციფიკურობით* და *მეორეს მხრივ მისი უაღრესად დიდი სირთულით*.

მეტაფიზიკური ფსიქოლოგია დავინუნეთ იმის გამო, რომ შეუძლებელია ფსიქოლოგიის საგანი იყოს ისეთი რამ, რაც უშუალოდ მოცემული არ არის ემპირიულ სინამდვილეში (ე.ი. რაც არ გვეძლევა გამოცდილების სფეროში).

ემპირიული ფსიქოლოგიის თანახმად, რაკი უშუალოდ გვეძლევა ჩვენი სულიერი მოვლენები ანუ ფსიქიკური პროცესები, ამიტომაც სწორედ ისინი უნდა შეადგენდნენ ფსიქოლოგიის საგანს. მაგრამ მათზე ობიექტური დაკვირვების წარმოება შეუძლებელია, რამეთუ ისინი ეკუთვნიან სუბიექტური გამოცდილების სფეროს, რომლის შესწავლაც შეიძლება მხოლოდ თვითდაკვირვების მეთოდით, რომელსაც საკმაოდ დიდი სიძნელეები ახლავს.

ბიპევიორიზმის თანახმად, ობიექტურად ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ მხოლოდ ადამიანისა და ცხოველის ქცევას და სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ფსიქოლოგიის საგანი. მართალია, ქცევას კი დავაკვირდებით, მოცემულ სიტუაციაში, მაგრამ განა სუბიექტის შინაგანი მხარის გარეშე შესაძლებელია მისი წინასწარმეტყველება ან გაგება? როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, ქცევა ვერ ჩაითვლება ქცევის ნამდვილ აქტად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თუ გათვალისწინებული არ იქნა მისი შინაგანი (ფსიქიკური) მხარე, ის თუ რა მიზნებითა და მოტივებით სრულდება იგი.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება კი მოიძებნოს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან?

აქ მკითხველს შეიძლება დაეზავოს კითხვა, თუ რატომ ვართულებთ საქმეს და რატომ არ შეიძლება, რომ ფსიქოლოგიის კვლევის საგანად მივიჩნიოთ ორივე რეალობა როგორც ფსიქიკური პროცესები, რომლებსაც ჩვენ ვწვდებით უშუალოდ თვითდაკვირვებით, ასევე ქცევაც, რომელსაც ჩვენ უშუალოდ ვაკვირდებით ობიექტურად. ვისაც ასეთი კითხვა მართლაც დაეზავა, ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ, რომ იგი არ შემცდარა თავის ვარაუდში, დღეს ფსიქოლოგთა უმრავლესობა სწორედ ასეთ პოზიციისაკენ იხრება.

მართლაც, დავინწყით იმით, რომ ემპირიული ფსიქოლოგია და ბიპევიორიზმი ორივე უკიდურესობაშია გადავარდნილი; ორივეს მიაჩნია, რომ ფსიქიკური - ეს თავისთავად განცალკავებული სამყაროა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფიზიკურთან. შინაგანი

გამოგვივიდა და სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ მკითხველს იგი გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ თუ კრიტიკა მართლაც გაგვიგრძელდა, ეს აიხსნება არსებითად იმ გარემოებით, რომ გვინდოდა მკითხველი დაგვერწმუნებინა ბიპევიორიზმის ორ ძირითადი მხარის ნაკლოვანებაში:

1. ადამიანის რეაქცია რაიმე გამლიზიანებელზე ვერ ჩაითვლება ქცევის ნამდვილ აქტად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუ ვათვალისწინებელი არ იქნა მისი შინაგანი (ფსიქიკური) მხარეც. სწორედ ამ უკანასკნელის მხედველობაში არ მიღება, თავის მხრივ არის იმის მიზეზი, რომ ქცევის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია მხოლოდ გარე გამლიზიანებლის (სიტუაციის) ცოდნის საფუძველზე.

2. რამდენად არა მართებულია ქცევის მთელი სირთულის ახსნა გამარტივებულად გაგებულ რეფლექსების მექანიზმით, რაც ფაქტიურად ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანას ნიშნავს.

ყოველივე აღნიშნულიდან, მკითხველს რა თქმა უნდა, არ უნდა შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბიპევიორიზმს არავითარი დადებითი გავლენა არ მოეხდინოს ფსიქოლოგიის განვითარებაზე. ეს გავლენა, არსებითად შემდეგში გამოიხატება:

1. ბიპევიორიზმმა ყურადღება მიაქცია ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ობიექტურ მხარეს.

2. პიროვნების შესწავლის დროს ხაზი გაესვა გარემოს (სიტუაციის) ფაქტორებს (ნაჩვენები იქნა, რომ ქცევა შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, ანმყოში ან წარსულში არსებული სიტუაციით).

3. ბიპევიორიზმმა გარკვეული გავლენა მოახდინა საერთოდ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის გაგებაზე. კერძოდ, მნიშვნელოვანი ნეილილი შეიტანა ქცევის შესწავლის ექსპერიმენტული და მათემატიკური მეთოდების შემუშავებაში, აგრეთვე მთელი რიგი პრობლემების დაყენებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძირითადად ისეთი პრობლემები, რომლებიც ეხება დასწავლას - ორგანიზმის მიერ ქცევის ფორმების შექმნას.

4. დაბოლოს ბიპევიორიზმის იდეებმა გავლენა მოახდინეს ფსიქოლოგიისაგან განსხვავებულ ისეთ დარგებზე, როგორცაა ლინგვისტიკა, ანტროპოლოგია, სოციოლოგია, სემიოტიკა და გარკვეული რაოდენობის ითამაშეს კიბერნეტიკის წარმოშობაშიც.

2. რას შეისწავლის თანამედროვე ფსიქოლოგია

მკითხველი ალბათ უკმაყოფილო დარჩა ზემოთ მოყვანილი მსჯელობით: ამდენი ვილაპარაკეთ და მაინც გარკვეულად ვერაფერი დავადგინეთ. მაგრამ ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, სიძნელეები რომლებიც ახლავს ფსიქოლოგიის საგნის დადგენას, გაპირობებულა ერთის მხრივ თვით *ფსიქოლოგიის საგნის სპეციფიკურობით* და მეორეს მხრივ მისი უაღრესად დიდი სირთულით.

მეტაფიზიკური ფსიქოლოგია დავინუნეთ იმის გამო, რომ შეუძლებელია ფსიქოლოგიის საგანი იყოს ისეთი რამ, რაც უშუალოდ მოცემული არ არის ემპირიულ სინამდვილეში (ე.ი. რაც არ გვეძლევა გამოცდილების სფეროში).

ემპირიული ფსიქოლოგიის თანახმად, რაკი უშუალოდ გვეძლევა ჩვენი სულიერი მოვლენები ანუ ფსიქიკური პრცესები, ამიტომაც სწორედ ისინი უნდა შეადგენდნენ ფსიქოლოგიის საგანს. მაგრამ მათზე ობიექტური დაკვირვების წარმოება შეუძლებელია, რამეთუ ისინი ეკუთვნიან სუბიექტური გამოცდილების სფეროს, რომლის შესწავლაც შეიძლება მხოლოდ თვითდაკვირვების მეთოდით, რომელსაც საკმაოდ დიდი სიძნელეები ახლავს.

ბიპევიორიზმის თანახმად, ობიექტურად ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ მხოლოდ ადამიანისა და ცხოველის ქცევას და სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ფსიქოლოგიის საგანი. მართალია, ქცევას კი დავაკვირდებით, მოცემულ სიტუაციაში, მაგრამ განა სუბიექტის შინაგანი მხარის გარეშე შესაძლებელია მისი წინასწარმეტყველება ან გაგება? როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, ქცევა ვერ ჩაითვლება ქცევის წამდვილ აქტად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თუ გათვალისწინებული არ იქნა მისი შინაგანი (ფსიქიკური) მხარე, ის თუ რა მიზნებითა და მოტივებით სრულდება იგი.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება კი მოიძებნოს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან?

აქ მკითხველს შეიძლება დაეზადოს კითხვა, თუ რატომ ვართულებთ საქმეს და რატომ არ შეიძლება, რომ ფსიქოლოგიის კვლევის საგნად მივიჩნიოთ ორივე რეალობა როგორც ფსიქიკური პროცესები, რომლებსაც ჩვენ ვნვდებით უშუალოდ თვითდაკვირვებით, ასევე ქცევაც, რომელსაც ჩვენ უშუალოდ ვაკვირდებით ობიექტურად. ვისაც ასეთი კითხვა მართლაც დაებადა, ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ, რომ იგი არ შემცდარა თავის ვარაუდში, დღეს ფსიქოლოგთა უმრავლესობა სწორედ ასეთ პოზიციისაკენ იხრება.

მართლაც, დავინყოთ იმით, რომ ემპირიული ფსიქოლოგია და ბიპევიორიზმი ორივე უკიდურესობაშია გადავარდნილი, ორივეს მიაჩნია, რომ ფსიქიკური - ეს თავისთავად განცალკავებული სამყაროა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფიზიკურთან. შინაგანი

და გარეგანი, ფსიქიკური და ფიზიკური, მათი აზრით, ორი ერთმანეთისაგან სრულად დამოუკიდებელი სფეროებია: ერთი მხოლოდ თვითდაკვირვებისთვისაა მისანედლომი, მეორე კი - გარედაკვირვებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი რამ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული რეალობებია, ეს სრულად არ გამორიცხავს მათ შორის მჭიდრო კავშირის არსებობას, იმდენად მჭიდროს, რომ ერთ მათგანზე დაკვირვება გვანდიდდეს ინფორმაციას მეორის შესახებ და პირიქით. ამიტომაც მათ შორის ერთიანობა უნდა ვიგულისხმოთ (კავშირი ან ერთიანობა, ცხადია არ ნიშნავს იგივეობას): *ქცევას ისე ვერ გავიგებთ და ვერც ვინინასნარ-მეტყველებთ თუ არ ვიცით შინაგანი მხერვ და პირიქით: შინაგან სამყაროს ისე ვერ გავიგებთ, თუ არ გვეცოდინება ქცევა.*¹

რაც შეეხება თვითდაკვირვებასა და ობიექტური დაკვირვების მეთოდებს, ცხადია, რომ არც მათ შორის არის უფსკრული. თვითდაკვირვება შეგვიძლია ვანარმოთ საკუთარ ქცევაზეც. ე.ი. თვითდაკვირვებით შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ისეთ გარეგან რეალობაზე, როგორცაა ქცევა; ასევე სხვის ქცევაზე ხშირად ობიექტურ დაკვირვების შედეგად შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია მისი შინაგანი (ფსიქიკური) პროცესების შესახებ. მაშინ, როდესაც პირველი სახის დაკვირვების შესაძლებლობაში ეჭვი არავის შეაქვს, მეორე სახის დაკვირვების შესაძლებლობა მოითხოვს გარკვეულ ახსნა-განმარტებას, ეს არის ფაქტიურად საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სხვათა დაკვირვება.

ნუთუ სხვისი სულიერი სამყარო სავსებით დაკეტილია ჩვენთვის, სანამ ის სხვა არ მოისურვებს თავის სულიერი ცხოვრების საიდუმლოებაში თვითონ ჩაგვახედოს? როგორც ყოველდღიურ გამოცდილებიდან ვიცით, ეს ასე არ არის: სხვისი სულიერი სამყარო ჩვენთვის მიუნდომელ ცხრაკლიტურს როდი ნარმოადგენს.

ჩვენ ხშირად შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ამ უკანასკნელის შესახებ მაშინაც კი, როცა ეს სხვა პიროვნება თავის სულიერი მდგომარეობის (თავის ფსიქიკური პროცესების) შესახებ არაფერს გვეუბნება. მაგალითად შეშინებული, გაჯავრებული, დამნუხრებული ან მხიარული ადამიანის ერთმანეთისაგან გარჩევა ალბათ არ გაუჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ადრე სხვისი შინაგანი (ფსიქიკური) სამყაროს დაკვირვების ფაქტს შემდეგნაირად ხსნიდნენ: სხვის სულიერი მდგომარეობას მე უშუალოდ მაინც ვერ ვნვდები, უშუალოდ ვაკ-

¹ მართლაც, ვინ არ იცის, რომ ადამიანი ძირითადად ფასდება „არა სიტყვით, არამედ საქმით“, ე.ი. არა იმით, თუ რას ფიქრობს ან რას ამბობს, არამედ იმით, თუ როგორ იქცევა იგი.

ვირდები მხოლოდ ჩემს საკუთარ სულიერ განცდებს, ხოლო რაც შეეხება მეორე ადამიანის სულიერ განცდებს, მათ შესახებ მე შემძლია მხოლოდ *დაეასკება*. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ როდესაც ჩემში რამე განცდა იჩენს თავს, მაშინ ჩვეულებრივ ჩემს ფიზიკურ ორგანიზმში გარკვეული ცვლილებები ხდება, რასაც სხვებსაც შეუძლიათ დააკვირდნენ ობიექტურად. მაგალითად, თვითდაკვირვების ნყალობით ვიცი, რომ როდესაც ვტირი, სახე განითლებული მაქვს და თვალებიდან ცრემლები მომდის, მაშინ მწუხარებას განვიცდი; როდესაც შიში მეუფლება სახე მიფერ-მკთალდება, მენყება კანკალი და მთელი ორგანიზმი შიშის სპეცი-ფიკურ პოზას იღებს. ამრიგად, როგორც ვხედავთ, განცდებსა და სხეულებრივ პროცესებს შორის შესატყვისი კავშირი არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველგან სადაც კი ამა თუ იმ სხეულებრივ ცვლილებებს შევამჩნევ, შემძლია ვიგულისხმო, რომ ეს ადამიანი ახლა სწორედ იმას განიცდის, რასაც მე განვიცდიდი, როცა ჩემი სხეული ანალოგიურ ცვლილებებს მიჩვენებდა.

მაშასადამე, გამოდის, რომ სხვების სულიერი ცხოვრების კარე-ბი საესებით დახმული არ არის. მეტაფორულად რომ ვთქვათ, მის გასაღებს ორგანიზმის ის სხეულებრივი (ფიზიკური) ცვლილებები გვანდის, რომლებიც ჩვენი თვითდაკვირვების თანახმად, გარკვე-ულ ფსიქიკურ განცდებთან არიან დაკავშირებული.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვისი შინაგანი სამყაროს (სხვისი ფსიქიკის) გაგებას წინ უნდა უსწრებდეს თვითდაკვირვება, ე.ი. ადამიანი ჯერ თავის თავს უნდა იცნობდეს და შემდეგ - სხვას. მაგრამ სინამდვილე კი სულ სხვა სურათს გვიჩვენებს: ადამიანი უფრო ადრე ჯერ სხვას აქცევს ყურადღებას, ვიდრე საკუთარ განცდებს, იგი უფრო ადრე სხვას ეცნობა, ვიდრე თავის თავს. ამის უტყუარ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ფსიქოლო-გიის მონაცემები: სხვისი, დედის, მამის ან ახლობლის გაგების უნარი, ბავშვს გაცილებით ადრე უჩნდება, ვიდრე თვითდაკვირვე-ბის უნარი. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თვითდაკვირ-ვება კი არ უსწრებს წინ სხვათა დაკვირვებას, არამედ პირიქით: სხვისი დაკვირვება - თვითდაკვირვებას.

როგორც ვხედავთ, სხვისი დაკვირვება თვითდაკვირვებაზე ვერ დაიყვანება, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვისი დაკვირვების ფაქტი უნდა აიხსნას უბრალოდ იმ გარემოებით, რომ ფსიქიკა ობიექტური დაკვირვების პროცესშიც გვეძლევა.¹

¹ აქვე საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ხშირად ასეთი დაკვირვების დროს შეიძლება თვითონ დაშკვირვებულმა უკვე თავისი არსებობით შეცვალოს ის სურათი, რაც მისი დაკვირვების ინტერესს შეადგენდა. მაგალითად, თუ ფსიქოლოგი მიდის სკოლაში, რათა დააკვირდეს, თუ

ახლა რაც შეეხება თვითდააკვირების მეთოდის „არამეცნიერულობას“ — მისი სუბიექტურობის გამო. ჩვენთვის გასაგებია, რომ რაიმე სახის დაკვირება შეიძლება დაეინუნოთ მისი სუბიექტური ხასიათის გამო, როდესაც საქმე გვაქვს სხვა მეცნიერებათა კვლევის სფეროსთან. მაგრამ *ფსიქოლოგია სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით იმით არის განსაკუთრებული, რომ მისთვის სწორედ ეს სუბიექტურობაა სპეციფიკური*, რასაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაენიოს. ასე რომ თვითდაკვირების მეთოდის სრული უარყოფა და სუბიექტის შინაგანი მხარის გაუთვალისწინებლობა, ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის, მისი ძირითადი სპეციფიკის წართმევა იქნებოდა. ამიტომაც ეს მეთოდი, როგორც ნაკლოვანებებითაც არ უნდა ხასიათდებოდეს იგი, მაინც უნდა დარჩეს ფსიქოლოგიური კვლევის არსენალში, როგორც საცემით სრულყოფილიანი მეთოდი ობიექტური დაკვირების მეთოდის გვერდით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიპევიორისტების თანახმად, მხოლოდ ისეთი რეალობა შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერული კვლევის საგნად, რომელსაც შეგვიძლია ობიექტურად, უშუალოდ დავაკვირდეთ. ფსიქოლოგისათვის კი მათი აზრით, ასეთი რეალობას წარმოადგენს მხოლოდ ქცევა. რაც შეეხება ფსიქიკურ პროცესებს, რაკი ჩვენ მათ უშუალოდ ობიექტურად ვერ ვაკვირდებით, ამიტომაც ისინი არც შეიძლება იყოს ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი. ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, თუ რამდენად უმარტულია ასეთი მოსაზრება. როგორც ცნობილია, ფიზიკაშიც არის მრავალი ისეთი რეალობები (ცვლადები), რომლებზე უშუალო დაკვირვებაც ფიზიკოსს არ შეუძლია (მაგალითად, ელექტრული ველი, მაგნიტური ველი და სხვა), მაგრამ ამის გამო ისინი სრულიადაც არ არიან გაძევებული ფიზიკის კვლევის სფეროდან. შეიძლება ფიზიკოსმა ვეთიხრას, მართალია, ჩვენ ამ ფარულ ცვლადებს ვერ ვხედავთ (ვაკვირდებით), მაგრამ ისინი თავს ამჟღავნებენ ისეთ რეალობებში, რომლებსაც ჩვენ უშუალოდ ობიექტურად შეგვიძლია დავაკვირდეთ (მაგალითად მაგნიტური ველი თავისთავს ამჟღავნებს სათანადო ხელსაწყოთა სისტემის გადახრებით). მაგრამ ფსიქოლოგიაშიც ხომ ანალოგიური ვითარება

როგორ მიმდინარეობს გაკვეთილი რომელიმე კლასში, თავისი თანაარსებობით იგი უკვე ცვლის იმ სურათს, რომელიც იქნებოდა მისი არყოფნის შემთხვევაში. შესაძლებელი მოვლენების ასეთი დამახინჯების თავიდან აცილებისათვის ფსიქოლოგები ზოგჯერ მიმართავენ ბუნებრივი დაკვირვების მეთოდს. ამ დროს მკვლევარი აკვირდება, თუ როგორ იქცევიან ადამიანები ან ცხოველები თავიანთ ბუნებრივ, გარემო პირობებში, ისე, რომ დაკვირვების ობიექტებმა არ იციან, რომ მათ აკვირდებიან. მაგალითად, ასეთი მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პარკში მყოფი ბავშვების, ან სტადიონზე მყოფი გულშემატკივრების ქცევათა შესწავლის დროს.

რებასთან გვაქვს საქმე. ფსიქიკურ პროცესებს - ამ ობიექტუ-ზად დაუკვირვებად რეალობას - შეუძლია თავი გამოამჟღავნოს სათანადო ქცევაში, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ ობიექტურად დავაკვირდეთ. აქ საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, რომ ასეთი დაუკვირვებადი (ფარული) ცვლადების შესწავლის დროს ფსიქოლოგი, ფიზიკოსთან შედარებით, ნამდვილად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება. საქმე ის არის, რომ ფიზიკოსს რაიმე დაუკვირვებადი (ფარული) X ცვლადი შეუძლია შეისწავლოს მხოლოდ მასთან დაკავშირებული Y ცვლადის საშუალებით, რომელიც X -ის გამოჟღავნებას (გარეგამოვლინებას) წარმოადგენს (მაგალითად, მაგნიტური ველი შეუძლია შეისწავლოს სათანადო ხელსაწყოთა ისრის გადახრით). ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი ფიზიკოსმა რაიმე იცის X ცვლადის შესახებ, ეს მან მხოლოდ Y -ის საშუალებით იცის. ფიზიკოსი ყოველთვის მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ უშუალოდ დააკვირდეს X ცვლადს (მაგალითად მაგნიტურ ველს). სულ სხვა მდგომარეობაშია ფსიქოლოგი. მას შეუძლია ქცევის გამოშწვევ ფარულ მიზეზს (გარკვეულ ფსიქიკურ პროცესს) მაინც რალაცნაირად უშუალოდ („შიგნიდან“) დააკვირდეს, თუ გინდ ეს იყოს სუბიექტური დაკვირვება, და ამით ამ უკანასკნელის შესახებ მიიღოს დამატებითი ინფორმაცია. ამიტომაც, *სუბიექტის ქცევაზე ობიექტურ (გარედან) დაკვირვება და მის გამოშწვევ მიზანად მდგომარეობაზე (ე.ი. ფსიქიკურზე) დაკვირვება ერგმანეთს კი არ უნდა ენიშნაღმდეგობოდეს, არამედ ერთმანეთს უნდა აესებდნენ.*

აღსანიშნავია, რომ უკვე ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში თვით ბიპევიორიზმის ახალმა წარმომადგენლებმა ე.წ. ნეობიპევიორისტებმა აღიარეს $S - R$ ფორმულის უკმარისობა და ეს უკანასკნელი შეცვალეს ფორმულით

$$S - P - R.$$

სადაც P არის ფსიქიკური კომპონენტი, დაუკვირვებადი ე.წ. შუალედური ცვლადი. ამ უკანასკნელის ქვეშ შეიძლება ვივლისხმოთ სუბიექტი ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისეთი სუბიექტური ფსიქიკური მოვლენები, როგორიცაა წარმოდგენა, მოლოდინი, ცოდნა, რწმენა, განზრახვა, ემოცია და სხვა. თუმცა ზოგიერთი ფსიქოლოგი შუალედურ ცვლადად თელის ბიოლოგიურ მითხოვნილებებსაც.¹

¹ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ნეობიპევიორისტი ფსიქოლოგის საგნად ისევ ქცევას მიიჩნევს, მაგრამ ქცევის ცნებაში, უკვე, არა მხოლოდ

მაშასადამე, უკანასკნელი ფორმულის თანახმად, R ქცევა უშუალოდ S სტიმულით კი არ არის განსაზღვრული, არამედ იგი გაშუალებულია P ცვლადით. დღეისათვის უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შუალედური ცვლადის შემოტანამ ნარმატივით შეცვალა ცნობიერების მონაცემები და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოლოგიის განვითარებაში. მართალია, შუალედური ცვლადი, ეხება სუბიექტს, მაგრამ არ გულისხმობს სუბიექტივიზმს, რადგან, იგი შეისწავლება ისეთ დაკვირვებათა საფუძველზე, რომლებიც შემონიშნავს ექვემდებარებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნი-იანი ნლების დასაწყისში ფსიქოლოგიაში აღმოცენდა ახალი მიმართულება, ე.წ. *კოგნიტური ფსიქოლოგია*, როგორც რეაქცია ქცევის ბიპევიორისტული თეორიების მიერ ფსიქიკური პროცესების შინაგანი ორგანიზაციის როლის უარყოფაზე.

ამ მიმართულების წარმომადგენელთა აზრით, ადამიანი *უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სტიმულის მიმღები და მასზე პასუხის გამცემი*. ასე რომ, ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს არა ის, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი გარე სამყაროზე, არამედ - თუ როგორ შეიმეცნებს იგი მას (ე.ი. გარე სამყაროს), თუ როგორ ანარმოებს იგი გარედან მიღებული ინფორმაციის გადაამუშავებას. ამიტომაც კოგნიტური ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესები,¹ როგორცაა აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და სხვა, რომლებიც შეადგენენ სწორედ ზემოთ აღნიშნული P შუალედური ცვლადის შინაარსს.

ყველა ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ქცევის საფუძველი, რომლებსაც ობიექტურად უშუალოდ ვერ ვაკვირდებით, მაგრამ მათი არსებობის შესახებ ვასკენით მათი ეფექტების მიხედვით.

როგორც ადვილი მისახვედრია, ნეობიპევიორისტების მიერ ფსიქიკურის აღიარება, შუალედური ცვლადის სახით, და კოგნიტური ფსიქოლოგიის აღმოცენება წარმოადგენდა *გარკვეულ მობრუნებას ადრე უგულვებელყოფილი ფსიქიკური პროცესებისაკენ*. ბუნებრივია, რომ ამას თან უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევც, ფსიქოლოგიის საგნის ახლებური გაგება. მაგრამ დასაწყისში ფსიქიკური პროცესები მაინც არ იქნა აღიარებული ფსიქოლოგიის კვლევის ძირითად საგნად. ფსიქოლოგია მაინც გამოცხადდა მეცნიერებად ქცევის შესახებ, ფსიქიკური პროცესები განსხვავებით

გარეგნულ მოძრაობას ან სხეულებრივ ცვლილებებს გულისხმობს, არამედ ამ „შუარგოლსაც“, როგორც ქცევის შემადგენელ ნაწილს.

¹ შემეცნებითი პროცესების განსაზღვრა იხილეთ მომდევნო პარაგრაფში.

ორთოდოქსული¹ ბიპევიორიზმისაგან, გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ქცევაზე ახდენდნენ გავლენას. ასეთი სახის განსაზღვრების ერთ-ერთი ნიმუში: „ფსიქოლოგია - ეს არის ქცევის შესწავლა. უფრო მეტიც, ეს არის ყველა იმ მოვლენებისა და პირობების გამოკვლევა, რომლებიც გავლენას ახდენენ ქცევაზე. ამასთან, ისინი შეიძლება იყოს როგორც გარეშე მოვლენები, რომლებსაც ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ დაეკვირდეთ ობიექტურად, ასევე ის შინაგანი პირობებიც, რომლებიც უშუალო (პირდაპირი) დაკვირვების საშუალებით არ მოგვეცემიან. მათ შეიძლება კიდევ დაემატოს ისეთი ფაქტორები (ცვლადები), რომელთა ინდენტიფიკაციაც ჯერ არ მოგვიხდენია.“²

სულ უკანასკნელ ხანებში კი, ფსიქიკური პროცესები, ქცევასთან ერთად, ცხადდება ფსიქოლოგიის საგნად. უკვე ფსიქოლოგთა დიდი უმრავლესობა პირდაპირ აცხადებს, რომ დღეს ფსიქოლოგია აღარ არის მეცნიერება ქცევის შესახებ. არამედ იგი მეცნიერებაა ქცევისა და ფსიქიკური პროცესების შესახებ.³

ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ქცევა და ფსიქიკური პროცესები (შინაგანი სამყარო) არ არიან ალტერნატიულად წარმოდგენილი, ისე რომ, ან ერთი უნდა იყოს ფსიქოლოგიის საგანი ან მეორე. მათ შორის მიმართება „ან“ კი არ იგულისხმება, არამედ კავშირი „და“, რაც იმას ნიშნავს, რომ *ფსიქოლოგიის სივრცე უნდა იყოს ერთიც და მეორეც.*

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგი, ასეთი განსაზღვრების მაინც უკმაყოფილოა. ისინი სვამენ კითხვას: როგორ შეიძლება ერთი და იგივე მეცნიერების შესწავლის საგანი იყოს ერთმანეთისაგან ისეთი თვისობრივად განსხვავებული რეალობები, როგორიცაა ქცევა და ფსიქიკური პროცესები. მაგრამ ჩვენი აზრით, ამ კითხვამ მაინცდამაინც დიდად არ უნდა შეგვანუხოს, რადგან, ასეთ ვითარებას ჩვენ ვხედავთ სხვა მეცნიერების სფეროშიც. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ისეთი მოვლენები, როგორიცაა სხეულთა მექანიკური მოძრაობა და ელექტრომაგნიტური ველი, ორივე მაინც ერთი და იგივე მეცნიერების - ფიზიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ფსიქოლოგია რომ ორივე ამ რეალობას (ფსიქიკურ პროცესებსა

¹ ორთოდოქსული - რაიმე მოძღვრების, პრინციპების ან შეხედულების განუხრელად მიმდევარი.

² Silvenninen R.E. Psychology, New-York University, 1985, p.2.

³ იხ. მაგალითად, Bernstein D.A., Roy E.J., Sull T.K., Wickens C.D. Psychology. Houghton Mifflin Company. Boston Dallas Geneva, Illinois Palo Alto Princeton, 1988, p.208.

და ქცევას) უნდა შეისწავლიდეს, ჯერ კიდევ 1925 წელს მიუთითებდა დ. უზნაძე: „ფაქტი ფსიქიკური განცდისა უდავოდ უეჭველი ფაქტია. მაგრამ სულიერი არსების ბუნება მარტო ამ ფაქტით არ ამოინურება“ და შემდეგ: „არა მარტო ფსიქიკური მოვლენები უნდა დაისახოს ფსიქოლოგიის საგნად, თუ მას, რა თქმა უნდა, სრული ცოცხალი არსების შესწავლა სწადია და არა მისი განცდების უბრალო ფრაგმენტების, არამედ იგი, ცოცხალი ორგანიზმის ყოფაქცევასაც თავის დაკვირვების საგანგებო საგნად უნდა სახავდეს, რამდენადაც აქედან სრულიად დამოუკიდებელი ხიდი იდება ცოცხალი არსების ნამდვილი ბუნების მისაწვდომად“.¹

ამგვარად, *თანამედროვე ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას და მისი კვლევის საგანია, როგორც ადამიანის ქცევა, ისე ის ფსიქიკური პროცესები, რომლებიც შეადგენენ მის შინაგან სამყაროს.*

¹ დ. უზნაძე, შრომები, ტ. II, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960, გვ. 32.

3. ფსიქიკურ პროცესთა კლასიფიკაცია

ისევე როგორც ფიზიკური მოვლენები იყოფა სხვადასხვა კლასებად (ერთ კლასს შეადგენენ მექანიკური პროცესები, მეორეს - სითბური პროცესები; შესაშვს - ელექტრული და ა.შ.), ასევე სხვადასხვა კლასებად შეიძლება დაიყოს ფსიქიკური პროცესებიც. ამ დაყოფას საფუძვლად უდევს სუბიექტისა და გარემოს ურთიერთობის პრინციპი. იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქციებს ასრულებენ ფსიქიკური პროცესები ამ ურთიერთობაში, ისინი იყოფა სამ ძირითად კლასად. ესენია: შემეცნებითი პროცესები, გრძნობები ანუ ემოციები და ნებელობითი (ვოლუტატური) პროცესები.¹

1. შემეცნებითი პროცესები. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როდესაც ფსიქიკას განიხილავენ როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვის თავისებურ ფორმას, რა თქმა უნდა, არ გულისხმობენ სარკისებურ პასიურ ასახვას. მაშინ როცა სარკისათვის სავესებით სულერთია, თუ მასში რა აისახება, ადამიანი, ცხადია, არ არის ნეიტრალური მის ფსიქიკაში ასახული შინაარსის მიმართ: ზოგიერთ შინაარსს იგი დადებითად ეკიდება, ზოგს კი - უარყოფითად. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი კლასიფიკაცია ყოველთვის აბსტრაქციას ეყრდნობა, მაშინ გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ნმინდა (სარკისებური) ასახვის შესახებ და ეს უკანასკნელი, სხვა სახის ფსიქიკური პროცესებისაგან განცალკავებულად განვიხილოთ. გარე სამყაროს სწორედ ასეთ ნმინდა ასახვას ეწოდება შემეცნებითი პროცესი. ე.ი. ჩემში მაშინ მიმდინარეობს შემეცნებითი პროცესი, როდესაც მე რაღაცას ვიტყობ (ან როგორც ახლა ამბობენ, ინფორმაციას ვცვლებ) ობიექტური სინამდვილის შესახებ. მაგალითად, ჩაერთე რადიო მიმღები და მოვისმინე უკანასკნელი ცნობები, ანდა გადავიხედე ფანჯარაში და დავინახე, თუ რა ხდება ქუჩაში და ა.შ. ამასთან, ამ დროს ჩვენ მხედველობაში გვაქვს, მხოლოდ რაიმეს შეტყობა (მისი მხოლოდ ინფორმაციული ასპექტი) და არა ის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება იმის მიმართ, თუ რა მოვისმინე რადიოში ან რა დავინახე ფანჯარაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, შემეცნებითი პროცესები ობიექტური სინამდვილის ასახვას ემსახურებიან. სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება გარემოში არსებული საგნებისა და მოვლენების აღწერა და მათ შორის მიმართებების დადგენა.

¹ აღსანიშნავია, რომ ფსიქიკურ პროცესთა სამ კლასად დაყოფა ჩვეულებრივ მეტყველებაშიც პოულობს თავის გამოხატულებას: „მე მგონი“, „მე ვგრძნობ“ და „მე მნადია“, რაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ განცდათა არსებობას გულისხმობს.

კერძოდ ეს პროცესებია შეგრძნება, ალქმა, ყურადღება, მეხსიერება და აზროვნება. ყველა ისინი ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული.

2. გრძნობები ანუ ემოციები. შემეცნებითი პროცესებისაგან განსხვავებით სულ სხვა ბუნებისაა გრძნობა. მაგალითად, როდესაც მე გახარებული ან დამწუხრებული ვარ, განა შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს, მე რალაცას ვიტყვობ გარე სინამდვილის შესახებ? რა თქმა უნდა არა! სიხარული ან მწუხარება ეს მხოლოდ ჩემი მდგომარეობაა (როგორც ზოგჯერ ამბობენ ჩემი ცნობიერების მდგომარეობა) და არა ობიექტური სინამდვილის ასახვა, ზემოთ მოყვანილი გაგებით.

სიხარულისა და მწუხარების გარდა ფსიქიკურ პროცესთა ამ კლასს შეადგენენ სიამოვნება და უსიამოვნება, სიყვარული და სიძულვილი, შიში და რისხვა და სხვა.

3. ნებელობითი (ვოლუტატური) პროცესები. ადამიანი არ წარმოადგენს მხოლოდ პასიურ არსებას. იგი არა მხოლოდ ასახავს გარე სამყაროს (ალიქვამს, წარმოიდგენს, გაიაზრებს), არა მხოლოდ ემოციურად განიცდის მის გავლენას, არამედ მას გააჩნია სხვადასხვა სახის მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების მიზნით, იგი გარკვეულ აქტივობასაც იჩენს გარემოს მიმართ, მოქმედებს ამ უკანასკნელზე და სახეს უცვლის მას. სწორედ ასეთი სახის აქტივობას გულისხმობს ნებელობითი ანუ ვოლუტატური პროცესი. ამ დროს ადამიანს გამოაქვს გადაწყვეტილება, თუ როგორ დაიკმაყოფილოს თავის მოთხოვნილება, რასაც ჩვეულებრივ მოსდევს სათანადო მოქმედების (ქცევის) შესრულება.

ერთი სიტყვით, ფსიქიკურ პროცესთა მესამე კლასი - ეს ისეთი ფსიქიკური პროცესებია, რომლებიც ახორციელებენ ადამიანის აქტიურ ზემოქმედებას ობიექტურ გარე სინამდვილეზე, რასაც ხშირად თან სდევს ამ უკანასკნელის გარდაქმნა. ამ კლასს ეკუთვნის ნებისყოფის, გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების პროცესები, მისწრაფებები, ლტოლევები და სხვა.

განხილულ პროცესებს შორის არსებული განსხვავების უკეთ გაგების მიზნით განვიხილოთ მათი ზოგიერთი კონკრეტული მაგალითი.

წარმოიდგინეთ ხალხით სავსე ავტობუსი, სადაც ქურდი რომელიღაც მგზავრს ჩანთას უხსნის. ვთქვათ, ერთმა პიროვნებამ დაინახა, თუ რა ხდება, მაგრამ გულგრილად ჩაუარა ქურდს და ჩავიდა ავტობუსიდან. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მის ფსიქიკაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ შემეცნებით პროცესს: მან დაინახა, თუ რა ხდება, მაგრამ არ აღეძვრა სათანადო ემოცია (იგულისხმება აღმოფთვების ემოცია) და არც რამე გადაწყვეტილების აქტი, რასაც მოჰყვებოდა ამ პიროვნების აქტიური ჩართვა ობიექტური სინამდვილის მიმდინარე მოვლენებში.

ეხლა განვიხილოთ, მეორე პიროვნება და მასში მიმდინარე

ფსიქიკური პროცესები. დავუშვათ, ამ პიროვნებაშიც დაინახა, თუ რა ხდება ე.ი. ადგილი ჰქონდა პირველი კლასის პროცესს, ალექტრა აღშფოთების ემოციაც (მეორე კლასის პროცესი), მაგრამ არ ჩაერია ქურდის „მოღვაწეობაში“ და ისე ჩავიდა ავტობუსიდან.

ჩვენი ეს მაგალითი დავასრულოთ მესამე პიროვნებით. დავუშვათ, ამ პიროვნებაშიც დაინახა ქურდის მოქმედება (შემეცნებითი პროცესი), აღშფოთდა (ემოციური პროცესი) და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რასაც მოჰყვა გარემოზე ზემოქმედება და მისი შეცვლა (ნებელობითი ანუ ვოლუტატური პროცესი).

ვთქვათ ექიმი სინჯავს ავადმყოფს და ადგენს, რომ ეს უკანასკნელი დაავადებულია კიბოთი. ეს იქნება შემეცნებითი პროცესი, რამეთუ ექიმი რალაცას იტყობს ამ ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ. ასეთი დიაგნოზით ექიმი შენუხებულია (ემოციური პროცესი). და როცა ექიმი მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ მოიქცეს, რასაც თან მოჰყვება მკურნალობა (გარკვეული მოქმედება), მაშინ საქმე გვექნება მესამე კლასის პროცესთან.

ვთქვათ, ქუჩაში მიდხართ და დაინახეთ თქვენსკენ მომავალი ნაცნობი (შემეცნებითი პროცესი). დავუშვათ, არ გესიამოვნათ მისი დანახვა (ემოციური პროცესი), გადაწყვიტეთ შეხვედრის თავიდან აცილება და გადახედით ქუჩის მეორე მხარეზე (ნებელობითი პროცესი).

ნარმოიდგინეთ ყველასათვის ნაცნობი სიტუაცია: სტუდენტი აბარებს გამოცდას. განვიხილოთ ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ამ დროს გამომცდელის ფსიქიკაში. გამომცდელი უსმენს სტუდენტის პასუხს, ე.ი. რალაცას იტყობს სტუდენტის ცოდნის დონის შესახებ (შემეცნებითი პროცესი), გამომცდელს მოსწონს სტუდენტის პასუხი (ემოციური პროცესი). იღებს გადაწყვეტილებას პასუხის შეფასების შესახებ და უწერს სტუდენტს „ფრიადს“ (ნებელობითი ანუ ვოლუტატური პროცესი).

საინტერესოა რა პროცესები მიმდინარეობს თქვენს ფსიქიკაში, როდესაც ზიხართ კინოთეატრში და უყურებთ ფილმს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში - შემეცნებითი პროცესი: თქვენ ხედავთ (აღიქვამთ) თუ რა ხდება ეკრანზე. ცხადია, რომ ამ დროს შეიძლება აღიძვრას მეორე კლასის (ე.ი. ემოციური) პროცესიც: შეიძლება ეკრანზე მომხდარმა ამბებმა გაგამზიაროლოთ ან დაგამწუხროთ. მაგრამ რაც შეეხება მესამე კლასის პროცესებს, ეკრანთან მიმართებაში, აქ იგი არ გვექნებათ, რადგან ვერავითარი გადაწყვეტილება და სათანადო ქცევა (მოქმედება) ვერაფერს ვერ შეცვლის იმაში, რაც ეკრანზე ხდება, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ ყოველგვარი ჩარევა გამორიცხულია.

გარე სამყაროში მოსალოდნელ მოვლენებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მაგალითი. ვთქვათ, თქვენ მიდხართ მკითხველთან (დავუშვათ, რომ ის მართლაც ჭეშმარიტი მკითხველია); მაშინ მას შეუძლია გითხრათ ან თქვენი წარსულის ან მომავლის შესახებ.

საყურადღებოა, რომ მას შეუძლია გინინასწარმეტყველოთ მომავალი, მაგრამ მის მიმდინარეობაში იგი ვერ ჩაერევა და არაფრის შეცვლა მას არ შეუძლია, რაც იმას ნიშნავს, რომ *შეთბავი მოღვაწეობს შემეცნებით პლანში*.

ამგვარად, თუ თქვენ დააკვირდებით თქვენს ფსიქიკურ ცხოვრებას, ნახავთ, რომ ეს უკანასკნელი შედგება მართლაც ზემოთ განხილული სამი სახის პროცესისაგან. ამასთან ზოგჯერ სამივე პროცესი შეიძლება ისე იყოს ერთმანეთში გადახლართული, რომ ძალზე გაგიჭირდეთ მათი ერთმანეთისაგან განცალკევება.

საინტერესოა, რომ ფსიქიკურ პროცესთა სამ კლასად დაყოფა ზოგჯერ თავის გამოხატულებას პოულობს მხატვრულ ლიტერატურაშიც. ასე მაგალითად, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ გმირებზე არსებობს შემდეგი შეხედულება: ავთანდილი ეკუთვნის შემეცნებით ტიპს, ტარიელი - ემოციურს, ხოლო ფრიდონი კი მოქმედებითს.

თუ განვიხილავთ ადამიანის მოღვაწეობის ისეთ სამ მნიშვნელოვან სფეროს, როგორცაა მეცნიერება, ხელოვნება და ტექნიკა, მწელი არ იქნება იმის მიხედვრა, თუ რომელი პროცესი მიესადაგება თითოეულ მათგანს. მეცნიერების დანიშნულებაა ობიექტური სინამდვილის შემეცნება, ე.ი. სამყაროში არსებული საგნებისა და მოვლენების აღწერა და მათ შორის მიმართებების დადგენა. ხელოვნების ფუნქცია განსხვავებით მეცნიერებისაგან არ არის შემეცნებითი ხასიათის¹ ხელოვნების ძირითადი დანიშნულებაა ადამიანში ემოციების გამოწვევა; რაც შეეხება ტექნიკას, მისი დანიშნულებაა გარემოს გარდაქმნა, მისი შეცვლა. ასე მაგალითად, მეცნიერებმა აღმოაჩინეს ელექტრომაგნიტური ტალღები, ინჟინრებმა (ტექნიკოსებმა) კი ამ აღმოჩენის საფუძველზე შექმნეს რადიო.

დაბოლოს საინტერესო იქნება აღნიშვნა, რომ ზემოთ განხილულ პროცესთა თითოეულ კლასს გააჩნია თავისი საკუთარი იდეალი. პირველი კლასის (შემეცნებითი პროცესების) იდეალია *ჭეშმარიტება* (რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა ეძიოს ჭეშმარიტება). მეორე კლასის იდეალია *მშვენიერება* (ე.ი. ადამიანი უნდა დატკბეს მშვენიერებით) და ბოლოს მესამე კლასის იდეალი არის *სკეფი* (ე.ი. ადამიანმა უნდა აკეთოს სიკეთე).

¹ აღსანიშნავია, რომ ხელოვნების შემეცნებით დანიშნულებაზე დღეს თითქმის არავინ აღარ კამათობს. ეს რომ ასე ყოფილიყო, ე.ი. ხელოვნების მიზანს შემეცნება რომ წარმოადგენდეს, მაშინ ფოტოგრაფიას უნდა შეეცვალა ფერწერა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დიდი მხატვრის მახვილგონივრული შენიშვნა: ძალი რამ ზუსტად ისე დავხატოთ, როგორც იგი სინამდვილეშია, მაშინ ორი ძალი მიიღება, მაგრამ ამით ხელოვნებას არაფერი არ შეემატება.

4. ფსიქოლოგიის მეთოდები.

ემპირიული კვლევის აქტიური და პასიური მეთოდები.

თანამედროვე ფსიქოლოგია ემპირიული მეცნიერებაა, იგი ფიზიკის შესავსად ინფორმაციას თავის საკვლევე სინამდვილის შესახებ იღებს მხოლოდ ცდისეული მონაცემებიდან. თუ არა ცდა, ცოდნის მიღების სხვა წყარო ფსიქოლოგიას არ გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პრობლემა უნდა გადაწყდეს არა თეორიული მსჯელობის საფუძველზე, არამედ მხოლოდ ცდით. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ცნობილ ამერიკელ ფსიქოლოგს თავის წიგნის შესავალში მოჰყავს ასეთი ანექდოტური მაგალითი: ოთახში სხედან ახალგაზრდა მამაკაცები და ცხარედ კამათობენ იმის შესახებ, თუ რამდენი კბილი აქვს ცხენს. ყველა ასახელებს სხვადასხვა რიცხვს და ყველა გულმოდგინედ ცდილობს თავის ნათქვამის დასაბუთებას. აღნიშნული წიგნის ავტორი დასცინის მათ ასეთ უნაყოფო მოქმედებას, რადგანაც არც ერთ მათგანს თავში აზრადაც არ მოსდის, გავიდნენ საჯინბოში და იქ მყოფი ცხენების დეტალურად გასინჯვის შემდეგ დაადგინონ ქეშმარიტება.¹

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეცდომაში შეუძლია შეგვიყვანოს მკვლევარი ნმინდა წყლის თეორიულმა მსჯელობამ, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ არ იცნობთ ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონს და თვითონ გინდათ დაადგინოთ იგი, ე.ი. დაადგინოთ თუ როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს რაიმე ორ სხეულს შორის მოქმედ მიზიდულობის ძალასა და იმ მანძილს შორის, რითაც ეს სხეულები არიან ერთმანეთისაგან დაშორებული. დაუშვათ, რომ თქვენი გამოცდილებიდან მხოლოდ ის იცით, რომ სხეულების ერთმანეთისაგან დაშორების დროს ეს ძალა მცირდება, დანარჩენები კი გინდათ შეაესოთ მხოლოდ თეორიული მოსაზრებით. სავსებით ბნუებრივია, რომ თქვენ გემსჯეულათ ასეთნაირად: რამდენჯერაც გავზრდით ამ სხეულებს შორის მანძილს, იმდენჯერ უნდა მცირდებოდეს მათ შორის არსებული მიზიდულობის ძალა. ე.ი. დაგეშვათ, რომ ეს ძალა უნდა იყოს სხეულებს შორის მანძილის უკუპროპორციული. მაგრამ სინამდვილეში კი, როგორც ეს ნიუტონის მიერ იქნა დადგენილი, აღნიშნული ძალა მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია, რაც იმას ნიშნავს რომ მანძილის ორჯერ გაზრდით ძალა მცირდება არა ორჯერ, არამედ ოთხჯერ. ეს დამოკიდებულება, რომელიც ცნობილია მსოფლიო მიზიდულობის კანონის სახელწოდებით, გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$F = \gamma \frac{m_1 m_2}{r^2},$$

¹ ib. Boring E.G. A history of experimental psychology. N-Y, 1950.

სადაც m_1 და m_2 წარმოადგენენ სხეულების მასებს, r არის მათ შორის მანძილი, F - ამ სხეულებს შორის მიზიდულობის ძალა, ხოლო γ კი - პროპორციულობის კოეფიციენტი (ე.წ. გრავიტაციული მუდმივა).

რატომ შედის ამ ფორმულაში r^2 და არ r ? რას ეყრდნობოდა ნიუტონი ამ ფორმულის გამოყვანის დროს, კერძოდ, რომ ძალა უნდა ყოფილიყო არა მანძილის უკუპროპორციული არამედ მისი კვადრატის? რა თქმა უნდა ცდისეულ და მხოლოდ ცდისეულ მონაცემებს: ნიუტონი არ იყო კაბინეტში მჯდომარე მეცნიერი.

მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ ცდის შესახებ, რომელიც საფუძვლად ედება ბუნების ემპირიული გზით შესწავლას, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, ბუნებისაგან ინფორმაციის მიღების, ორი გზა (ორი მეთოდი). ერთი - როდესაც მკვლევარი გამოდის მხოლოდ *წმინდა დამკვირვებლის* (პასიური მჭვრეტელის) როლში და მეორე - როდესაც მკვლევარს შეუძლია *ჩაერიოს* ბუნების მოვლენათა მიმდინარეობაში. უკანასკნელ შემთხვევაში მკვლევარისათვის საინტერესო მოვლენის მიზეზი თვით მკვლევარის ხელთაა, რაც მას საშუალებას აძლევს თვითონ გამოიწვიოს ეს მოვლენა და მისი გამოძვევი მიზეზის (პირობების) ცვლით აწარმოოს მისი ვარიაციაც. პირველ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვექნება *დაკვირვების* მეთოდთან. მეორე შემთხვევაში კი - *ექსპერიმენტთან*. სწორედ ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგალითად, ასტრონომია და ფიზიკა, მაშინ როცა ასტრონომიაში მხოლოდ წმინდა დაკვირვების ანაბარა ვართ (ვერ ჩავერევით ციურ სხეულთა მოძრაობაში, ე.ი. ვერაფერს ვერ შევცვლით), ფიზიკაში, ჩვენ, ექსპერიმენტის ჩატარების საშუალება გვეძლევა.¹

აქ საჭიროა ხაზი გავესვას ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: იმისათვის რათა გამოკვლევა ექსპერიმენტად იქნეს აღიარებული, იგი უნდა ხასიათდებოდეს *გამეორებადობით*. ექსპე-

¹ საინტერესოა, რომ გარკვეული აზრით მკვლევარის მოქმედება შეიძლება შევადაროთ გამოძვიების საქმიანობას. მაშინ როცა გამოძვიებულს საქმე აქვს ექვმიტანილთან და ცდილობს რალაცის შეტყობას მისი ქმედების შესახებ, მკვლევარს საქმე აქვს ბუნებასთან და ცდილობს გარკვეული ინფორმაციის მიღებას მისი მოვლენის შესახებ. ამასთან, როდესაც მკვლევარი ატარებს ექსპერიმენტს, მაშინ მისი მოქმედება ნააგავს იმ გამოძვიებლის მოქმედებას, რომელიც თვითონ აწარმოებს ექვმიტანილის დაკითხვას, ე.ი. თვითონ უსვამს მას კითხვებს და ამ გზით იღებს მისთვის სეჭირო ინფორმაციას; ხოლო, როდესაც მკვლევარი ახდენს დაკვირვებას, მაშინ იგი იმყოფება იმ გამოძვიებლის მდგომარეობაში, რომელიც მხოლოდ ესწრება სხვის მიერ ექვმიტანილის დაკითხვას, ისე რომ თვითონ არ ერევა ამ პროცესში, ისმენს რა მხოლოდ სხვის მიერ დასმულ კითხვებსა და მათზე გაცემულ პასუხებს.

რიმენტატორმა დანერილებით უნდა აღწეროს მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის პირობები, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს მისი გამეორება. სწორედ, გამეორებადობა არის ექსპერიმენტული მეთოდის მიმართ ნაყენებული ერთ-ერთი, ძირითადი მოთხოვნა. მხოლოდ ექსპერიმენტის პირობების გამეორებით ხდება შესაძლებელი ექსპერიმენტის ხელახალი ჩატარება, სხვის მიერ და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, ენიჭება მეცნიერული ღირებულება, ექსპერიმენტში მიღებულ შედეგებს.

მოვლენათა წმინდა აღწერას რომ თავი დავენებოთ, მეცნიერებაში (იქნება ეს ასტრონომია, ფიზიკა თუ ფსიქოლოგია) ყველაზე უფრო გავრცელებულ ამოცანას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა რასთან ერთად ხდება, ან რა რას იწვევს. ე.ი. ბუნების მოვლენათა ემპირიული კვლევის დროს ჩვენ ყოველთვის ცვდილობთ დავადგინოთ დამოკიდებულება (კავშირი) რაიმე ორ მოვლენას ან ორ ცვლადს შორის.¹ როდესაც საქმე გვაქვს ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებულ ორ X და Y მოვლენასთან, მაშინ მათ შორის დამოკიდებულების არსებობა იმაში მელაგნდება, რომ ერთის მოხდენა ზრდის ან აძლიერებს მეორის მოხდენის ალბათობას. ხოლო როცა X და Y წარმოადგენენ რაოდენობრივ კატეგორიებს, მაშინ მათ შორის არსებული დამოკიდებულება (კავშირი) იმაში გამოიხატება, რომ ერთი მათგანის ზრდას თან შეიძლება სდევდეს მეორის ზრდა ან შემცირება. ამასთან, X და Y ცვლადს შორის დამოკიდებულება შეიძლება დავადგინოთ, როგორც ექსპერიმენტული, ასევე დაკვირვების გზითაც. პირველ შემთხვევაში მკვლევარი თვითონ ცვლის X -ს, ე.ი. ანიჭებს მას სხვადასხვა $X_1, X_2, X_3 \dots$ და ა.შ. მნიშვნელობას (აქ იგულისხმება რომ X -ის ცვლილება არის Y -ის ცვლილების მიზეზი და სწორედ, ამიტომ, შეიძლება X -ის ცვლილებით Y -ის ცვლილების გამოწვევა) და Y -თვის ლებულობს რაღაც $Y_1, Y_2, Y_3 \dots$ და ა.შ. მნიშვნელობას. მაგალითად, როდესაც ფიზიკოსს აინტერესებს გამტარში გამავალი დენის ძალა როგორაა დამოკიდებული გამტარის ბოლოზე მოდებულ ძაბვაზე, მაშინ მას შეუძლია ცვალოს ძაბვა თავისი სურვილის მიხედვით და დააკვირდეს, თუ ამ დროს როგორ იცვლება დენი. მეორე შემთხვევაში (იგულისხმება დაკვირვების მეთოდი), მკვლევარი მოკლებულია X -ზე აქტიური ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობას. მას შეუძლია მხოლოდ

¹ რ ათქმა უნდა, შეიძლება საქმე გვაქონდეს უფრო რთულ სიტუაციასთანაც, როდესაც ვიკვლევთ ორზე უფრო მეტ ცვლადებს შორის არსებულ დამოკიდებულებებს.

დააკვირდეს X -ის და Y -ის ცვლილებას, ე.ი. მან უნდა უცადოს იმას,¹ თუ როდის შეიცვლება X და მიიღებს რალაც X_1 მნიშვნელობას, შემდეგ X_2 -ს და ა.შ. ამ დროს იგი აღნუსხავს Y -ის სათანადო Y_1, Y_2, \dots მნიშვნელობებსაც.

ყოველივე ამის გამო ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ ექსპერიმენტს დაკვირვებასთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია.

ექსპერიმენტი ფსიქოლოგიაში

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი შეასრულა ექსპერიმენტმა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგებში. ამიტომაც ცხადია, რომ მას ვერც ფსიქოლოგია აუვლიდა გვერდს. მაგრამ რაკი განსხვავებით ფიზიკური მოვლენებისა, ფსიქიკურის განზრახ გამოწვევა და ჩვენი სურვილისდა მიხედვით მათი ვარიაცია ძალზე გაძნელებულია, დასაწყისში, ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენების შესახებ დაუსრულებელი დავა სწარმოებდა, რომელიც მხოლოდ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დამთავრდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა გერმანელმა ფსიქოლოგმა *ვილჰელმ ეუნდტმა* ლაიფციგის უნივერსიტეტთან დააარსა მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია, რომელიც მალე პირველ ექსპერიმენტალისტ-ფსიქოლოგთა მომზადების საერთაშორისო ცენტრად იქცა.

როგორც ფიზიკის ისტორიაში გალილეია მიჩნეული ექსპერიმენტული ფიზიკის ფუძემდებლად, იგივე შეიძლება ითქვას ეუნდტის შესახებაც: ფსიქოლოგიის ისტორიაში ეუნდტი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მამამთავრად.

შემდგომში სხვა და სხვა ქვეყნებიდან გერმანიაში სასწავლებლად ჩამოსულმა ეუნდტის მოწაფეებმა ექსპერიმენტული ფსიქოლოგია გაავრცელეს მთელ მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ ეუნდტის მოწაფეთა შორის იყო ჩვენი ღირსეული თანამემამულე, *დიმიტრი უზნაძეც*, რომელმაც გერმანიიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თბილისის ახლად გახსნილ უნივერსიტეტში, დააარსა ფსიქოლოგიის კათედრა, ხოლო შემდეგ კი ცალკე კვლევითი დანესებულება - ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

განვიხილოთ ახლა თანამედროვე ფსიქოლოგიაში გავრცე-

¹ თუმცა ასეთი ლოდინი ყოველთვის არ არის აუცილებელი. როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ზოგჯერ მისი თავიდან აცილება შესაძლებელია სპეციალური მეთოდის გამოყენებით.


ლებული ექსპერიმენტის სქემა, რომელიც ძირითადად შედგება:

1. სუბიექტისაგან ანუ ცდისპირისაგან (P), რომელზეც ტარდება ცდა;

2. გამლიზიანებლის ანუ სტიმულისგან (S), რომლითაც ექსპერიმენტატორი მოქმედებს ცდის პირზე;

3. ცდის პირის რეაქციისაგან ანუ პასუხისაგან (R), რომელსაც ცდისპირი გადალევს მიზნობრივ სტიმულზე.

აქ ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ სტიმული S უშუალოდ კი არ განსაზღვრავს R რეაქციას, არამედ ეს უკანასკნელი გაშუალებულია P სუბიექტით (ნახ.1.).



ნახ. 1.

ასეთი სახის ექსპერიმენტის დროს სტიმული ჩვეულებრივ გამოდის *დამოუკიდებელი* ცვლადის როლში, ვინაიდან, ექსპერიმენტატორს, თავის მიზნების თანახმად, შეუძლია უშუალოდ ანარმოოს მისი მანიპულაცია (ე.ი. აილოს მისთვის სხვადასხვა $S_1, S_2, S_3 \dots$ და ა.შ. მნიშვნელობები). რაც შეეხება ცდის პირის R პასუხს (რეაქციას), იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც *დამოკიდებული* ცვლადი. დამოკიდებული იმ გაგებით, რომ იგი წარმოადგენს S დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულაციების (გარკვეული ზემოქმედებით) შედეგს. საერთოდ ცვლადის *ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი რეალობა, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს, რაც შეიძლება გამოიყენებულ და დაფიქსირებულ იქნეს, როგორც დაკვირვების, ასევე ექსპერიმენტის დროსაც*. ამასთან, ცვლადი გაგებულია ძალზე ზოგადად და სრულიადაც არ არის აუცილებელი რომ იგი წარმოადგენდეს მაინც და მაინც რაოდენობრივ რეალობას. ცვლადი შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კატეგორიაც.

როდესაც ექსპერიმენტატორს აინტერესებს, თუ როგორ მოქმედებს ეკრანის განათებულობა მასზე წარმოდგენილი გარკვეული ტექსტის კითხვის სისწრაფეზე, ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადი იქნება ეკრანის განათებულობა, რომლის ცვლილებასაც ანარმოებს ექსპერიმენტატორი, ე.ი. ცდის პირს წარუდგენს სხვადასხვა განათებულობის ეკრანს. დამოკიდებული ცვლადი იქნება ცდის პირის კითხვის სისწრაფე ეკრანის სხვადასხვა ხარისხის განათებულობის დროს. როგორც ადვილი მისახვედრია, ორივე ცვლადი, როგორც დამოუკიდებელი (ეკრანის განათებუ-

ლობა), ასევე დამოკიდებულიც (კითხვის სისწრაფე) რაოდენობრივად შეიძლება იქნეს გაზომილი.

ხოლო როდესაც ექსპერიმენტატორს აინტერესებს, თუ ცდის-პირისათვის, გარკვეული სიტყვის მინოდება, როგორ საპასუხო რეაქციას იწვევს ამ უკანასკნელში, ე.ი. თუ რა სიტყვას დაასახელებს ამ დროს ცდისპირი, ასეთ შემთხვევაში, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი (მინოდებული სიტყვა, ანუ გამლიზიანებული), ასევე დამოკიდებული (დასახელებული სიტყვა), ორივე წარმოადგენს თვისობრივ კატეგორიას, ვინაიდან, სიტყვები ერთმანეთისაგან მხოლოდ თვისობრივად განსხვავდებიან. დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერიმენტატორი ცდის პირს აწვდის სხვადასხვა სიტყვებს, დამოკიდებელი ცვლადი (დასახელებული სიტყვები) კი იცვლება იმის მიხედვით თუ რომელი სიტყვა იყო მინოდებული. ე.ი. სხვადასხვა სიტყვის მინოდების დროს ცდისპირი შესაბამისად ასახელებს სხვადასხვა სიტყვას.¹

ამასთან, სავსებით შესაძლებელია, რომ დამოუკიდებელი ცვლადი იყოს რაოდენობრივად გაზომვადი, ხოლო დამოკიდებული კი წარმოადგენდეს თვისობრივ კატეგორიას ან პირიქით.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგის აღნიშვნა: მაშინ, როცა სტიმული ყოველთვის დამოუკიდებელი ცვლადის როლში გამოდის, დამოუკიდებელი ცვლადი ყოველთვის არ ნიშნავს სტიმულს გამლიზიანების გავებით.

დამოუკიდებელი ცვლადი შეიძლება იყოს, მაგალითად, წარდგენილი მასალის დასწავლის გარკვეული რეჟიმი, როდესაც ჩვენ გვაინტერესებს ამ უკანასკნელის გავლენა ცდის პირის მიერ დასწავლილი მასალის გახსენების პროდუქტიულობაზე, ე.ი. რეჟიმის ცვლილებით თუ როგორ იცვლება ის პროდუქტიულობა.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ცვლადის როლში ზოგჯერ შეიძლება გამოვიდეს თვით ინდივიდის რაიმე ასპექტი - პიროვნების ისეთი ინდივიდუალური მახასიათებელი, როგორიცაა მისი სქესი, ეროვნება, ინტელექტი, წონა და სხვა. მაგალითად, როდესაც გვაინტერესებს თუ კითხვის სისწრაფე როგორაა დამოკიდებული სქესზე, ანდა წონაზე, მაშინ, პირველ შემთხვევაში, დამოუკიდებელი ცვლადი იქნება სქესი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - წონა. მაგრამ ცხადია, რომ ამ დროს ექსპერიმენტატორს არ შეუძლია თავის სურვილის მიხედვით შეუცვალოს ადამიანის ისეთი მყარი ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორიცაა სქესი ან წონა. ასეთ შემთხვევაში, ექსპერიმენტატორს დამოუკიდებელი ცვლადის სხვადასხვა მნიშვნელობის აღებას იმით შეუძლია მიაღწიოს, რომ

¹ ასეთი სახის ცდა ფსიქოლოგიაში ასოციაციის ექსპერიმენტის სახელწოდებითაც ცნობილი.

გადავიდეს სხვადასხვა ინდივიდებზე (ან ჯგუფებზე), რომლებ-
თანაც დამოუკიდებელი ცვლადი განსხვავებული მნიშვნე-
ლობებითაა წარმოდგენილი. რადგანაც ქვემოთ ასეთი შემთხვევები
დანერვილებით იქნება განხილული (იხ. კორელაციური მეთოდი),
ამიტომაც აქ მათზე აღარ შეეჩერდებით.

როგორც ზემოთ ავლინებთ, ექსპერიმენტის დროს ჩვენ ჩვეუ-
ლებრივ საქმე გვაქვს მიზეზ-შედეგობრიობის დამოკიდებულების
დადგენასთან. დამოუკიდებელი ცვლადი ეს არის ის, რაც ინვეეს
შესასწავლ მოვლენას, ე.ი. დამოკიდებულ ცვლადს, ან უფრო
ზუსტად რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილება
ინვეეს დამოკიდებული ცვლადის ცვლილებას. მასთან, *ნებისმიერი
ექსპერიმენტული გამოკვლევა ყოველთვის იწყება პრობლემის
წამოყენებით, რომელიც უნდა გადაწყვიტოს ექსპერიმენტმა.* აზრი
არა აქვს ექსპერიმენტის ჩატარებას სათანადო პრობლემის გარეშე.
მაგალითად, აზრი არა აქვს შემდეგი სახის ცდის ჩატარებას: მივცეთ
ცდისპირს კოფეინი და ვნახოთ ამით რა გამოვა. იმისათვის რათა
ასეთი სახის ცდა ჩაითვალოს ექსპერიმენტად, რომელიც მოგვცემს
ცხადსა და გარკვეულ შედეგს, საჭიროა მის გამოსაველ ნერტილად
გაგვანდეს ასევე ნათელი და გარკვეული პრობლემა, ჩამოყა-
ლიბებული კითხვის სახით, მაგალითად ასეთი: კოფეინის გარკვე-
ული დოზის მიღება რა გავლენას ახდენს სირბილის სიჩქარეზე?
სწორედ ასეთ კითხვას უნდა ვასცეს პასუხი, ჩასატარებელმა ექს-
პერიმენტმა. ამასთან პრობლემის ჩამოყალიბების დროს, როგორც
ნესი, შეიძლება წამოყენებულ იქნეს გარკვეული *ჰიპოთეზაც* -
სავარაუდო პასუხი დასმულ კითხვაზე. შეიძლება ითქვას, რომ
ექსპერიმენტის ძირითადი ამოცანა *სწორედ წამოყენებული ჰიპო-
თეზის შემოწმებაში* მდგომარეობს: ექსპერიმენტში მიღებული
შედეგები ან დაადასტურებენ, ანდა უარყოფენ ამ უკანასკნელს.
მაგალითად, თუ შესამოწმებელი გვაქვს *ჰიპოთეზა*: „კოფეინის
მიღება უნდა ინვეედეს რბენის სიჩქარის გაზრდას“, ექსპერიმენტს
ვატარებთ შემდეგნაირად: ცდისპირს სირბილის სიჩქარეს ჯერ
კოფეინის გარეშე ვუზომავთ, ხოლო შემდეგ ვაძლევთ კოფეინის
გარკვეულ დოზას და ხელახლა ვუზომავთ მისი სირბილის სიჩქარეს.
და თუ ეს უკანასკნელი აღმოჩნდა პირველი სიჩქარისაგან განსხვა-
ვებული (გაზრდილი), მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზი
არის კოფეინის მიღება. ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ წამოყენებული
ჰიპოთეზა დადასტურებულ იქნა ექსპერიმენტით.

რადგანაც, ერთ ცდისპირზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედე-
გები, სხვადასხვა შემთხვევითი ფაქტორების მოქმედების გამო,
ძალზე ვარიაციულია, მიღებული შედეგების საიმედოობის მიზნით
უმჯობესია ცდები ჩავატაროთ არა ერთ ცდისპირზე, არამედ, ცდის-
პირთა ჯგუფზე და ერთმანეთს შევადაროთ სირბილის სიჩქარეთა

საშუალო არითმეტიკულები. ჯერ გავუზომოთ ჯგუფის ყველა ნევრს სიჩქარეები და გამოვთვალოთ მათი საშუალო არითმეტიკული. შემდეგ მივცეთ ყოველ მათგანს კოფეინის ერთიდაიგივე დოზა და ხელახლა გავზომოთ მათი სიჩქარეები; გამოვთვალოთ მათი საშუალო არითმეტიკული. თუ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად განსხვავებული (კერძოდ მეტი) აღმოჩნდა პირველ საშუალოზე, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოფეინი უნდა იწვევდეს სირბილის სიჩქარის შეცვლას (გაზრდას).

ექსპერიმენტის ასეთი სქემის გამოყენების დროსაც ვითარება რთულდება იმის გამო, რომ *ცდისპირზე ერთხელ ჩატარებული ცდა ცვლის თვითონ ცდისპირს და მეორედ ჩატარებული ცდის წინ, ცდისპირი უკვე ის აღარაა, რაც იყო პირველი ცდის ჩატარების დროს*. სავსებით შესაძლებელია, რომ პირველი ცდის ჩატარებამ გამოიწვიოს ან შეანელოს მასში ინტერესი ცდის მიმართ, ანდა პირველი ცდის ჩატარების შემდეგ ცდისპირი შეიძლება დაილალოს ან გავარჯიშდეს. ამიტომაც თუ კოფეინის მიღების შემდეგ ჩატარებულ ცდებში ცდისპირებს რბენის სიჩქარეთა საშუალო მეტი აღმოჩნდებოდა კოფეინის მიღებამდე ჩატარებული ცდების შედეგების საშუალოზე, მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რბენის საშუალო სიჩქარის გაზრდა - ეს კოფეინის მოქმედებას კი არ მიეწერება, არამედ იმას, რომ პირველად ჩატარებული ცდების შედეგად ცდისპირები გავრჯიშდნენ, ხოლო თუ აღნიშნული საშუალო შემცირებული აღმოჩნდებოდა, ასევე შეიძლებოდა დავექვევებულიყავით კოფეინის მოქმედებაში და გვეფიქრა, საშუალო ეს შემცირება, შეიძლება აიხსნას უბრალოდ იმით, რომ პირველად ჩატარებული ცდების შედეგად ცდისპირები დაილაღნენ.

აღნიშნული სიძნელის თავიდან აცილების მიზნით, ფსიქოლოგები ჩვეულებრივ ცდებს ატარებენ, არა ერთ, არამედ ორ სხვადასხვა ცდისპირებისაგან შემდგარ ჯგუფზე (ამასთან ცდილობენ, რომ საკვლევი ცვლადის ასპექტში ჯგუფები იყოს ერთმანეთის ტოლძალოვანი ანუ ეკვივალენტური). პირველი ჯგუფის არც ერთ ნევრს არ აძლევენ კოფეინს და ისე ზომავენ მათი სირბილის სიჩქარეების საშუალოს. ასეთ ჯგუფს, რომლის ნევრებმაც არ განიცადეს ფაქტორის ზემოქმედება ეწოდება *საკონტროლო* ჯგუფი. მეორე ჯგუფის ყველა ნევრი იღებს კოფეინის გარკვეულ დოზას და შემდეგ იზომება მათი სიჩქარეთა საშუალო. ამ ჯგუფს, რომლის ყველა ნევრზე ნამოქმედარი იყო რაღაც გარკვეული ფაქტორი, ეწოდება *ექსპერიმენტული* ჯგუფი. ვთქვათ, ექსპერიმენტული ჯგუფის საშუალო მნიშვნელოვნად აღმოჩნდა განსხვავებული საკონტროლო ჯგუფის საშუალოსაგან. ამ შემთხვევაშიც, საფუძველს მოკლებული არ იქნება იმაში დაეჭვება, რომ საშუალოებს შორის მიღებული განსხვავება კოფეინის მოქმედებას კი არ მიეწერება, არამედ

აიხსნება, მხოლოდ ჯგუფებში შემავალი ცდისპირების განსხვავებულიობით. კერძოდ, თუ ექსპერიმენტული ჯგუფის ცდისპირთა სიჩქარეთა საშუალო მეტი გამოდგა საკონტროლო ჯგუფის საშუალოზე, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფში მოხვდნენ უკეთესი სპორტული მონაცემების მქონე ცდისპირები, ვიდრე საკონტროლოში. ანდა პირიქით: თუ ექსპერიმენტული ჯგუფის საშუალო ნაკლები გამოვიდოდა საკონტროლო ჯგუფის საშუალოზე, მაშინ შეიძლება გამოგვეტანა სანიხალმდებო მინარსის დასკვნა.

ამ სიძნელის თავიდან აცილებისათვის საჭიროა, რომ ორივე ჯგუფი იყოს ერთმანეთის *ეკვივალენტური*, რაც მიიღწევა ჯგუფებში ცდისპირების შემთხვევითი შერჩევით. ეს პროცესი, რომელიც ცნობილია *რანდომიზაციის* სახელწოდებით, შეიძლება შემდეგნაირად ვანარშოთ. ყოველი ცდის წინ აუვადოთ ლითონის ფული და იმისდა მიხედვით ღერბი გამოვა თუ საფასური, მოცემული ცდისპირი მივაკუთვნოთ საკონტროლო ან ექსპერიმენტულ ჯგუფს. ასეთი შემთხვევითი პროცედურის გამოყენების დროს ჩვენ შევუძლია საკმაოდ დაჯერებული ვიყოთ იმაში, რომ შევარჩევთ მართლაც ეკვივალენტურ ჯგუფებს, ვინაიდან, ცდისპირების ასეთი შემთხვევითი განაწილების შემდეგ, ძალზე მცირე იქნება იმის ალბათობა, რომ ერთ ჯგუფში მოხვდებიან კარგი სპორტული მონაცემის მქონე ცდისპირები, ე.ი. კარგი მორბენლები, ხოლო მეორეში კი ცუდი.¹

თუ უფრო დეტალურად გვინდა გამოვიკვლიოთ სირბილის სიჩქარის, კოფეინზე დამოკიდებულების ხასიათი, მაშინ უნდა დავადგინოთ, თუ როგორია სიჩქარე კოფეინის სხვადასხვა დოზებისათვის. ასეთივე შემთხვევაში ცდები უნდა ჩავატაროთ იმდენ ჯგუფზე, რამდენი განსხვავებული დოზის გამოყენებასაც ვაპირებთ. პირველ ჯგუფს მივცემთ კოფეინის *S*, დოზას, მეორეს - *S*₂ დოზას, მესამეს - *S*₃-ს და ა. შ. და შემდეგ განვსაზღვრავთ რბენის საშუალო სიჩქარეს ყოველი ჯგუფისათვის.

დაბოლოს საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ნებისმიერი ექსპერიმენტული გამოკვლევა არასოდეს არ ისაზღვრება იმ ცდისპირებისგან მიღებული შედეგებით, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსპერიმენტში. *გამოკვლევის საბოლოო მიზანს ყოველთვის შეადგენს მიღებული შედეგების განზოგადოება*, ე.ი. შედარებით მცირე-

¹ შეიძლება მოვეცუულიყავით შემდეგნაირადაც: ბარათებზე წინასწარ ჩამოგვეწერა ყველა ცდისპირის სახელები, ჩაგვეწყო ეს ბარათები ყუთში, კარგად აგვერია და შემდეგ შემთხვევითი გზით გავგვეყო ორ თანაბარ ნაწილად, ე.ი. ყუთში ჩაუხედავად ამოგველო მასში არსებული ბარათების ნახევარი.

რიცხოვანი მონაცემების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გავრცელება ექსპერიმენტის (ლაბორატორიის) საზღვრებს გარეთ. ასეთ განზოგადებას კი, ჩვეულებრივ, ხელს უშლის ჯერ ერთი ის ხელოვნური სიტუაცია, რასაც ექსპერიმენტატორი უქმნის ცდის-პირებს ლაბორატორიაში, რომელიც თითქმის ყოველთვის განსხვავებულია ბუნებრივი სიტუაციისაგან და მეორეც - ცდისპირების მხრიდან იმის ცოდნა, რომ მათზე ტარდება ექსპერიმენტი. სწორედ ამის გამო, ისინი შეიძლება გარკვეულწილად შეიცვალონ და მოგვეცენ ისეთი შედეგები, რასაც არ მოგვეცემდნენ ბუნებრივ სიტუაციაში. ან სხვანაირად რომ ვთქვათ ეს არის *ცდისპირების რეაქცია ექსპერიმენტზე*, რომელიც არ იძლევა საშუალებას მიღებული შედეგები გავავრცელოთ ისეთ ადამიანებზე, რომლებიც განიცდიან *ასეთივე* ზემოქმედებას არაექსპერიმენტალურ (ბუნებრივ) პირობებში.

აღნიშნული სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით, ფსიქოლოგები ზოგჯერ მიმართავენ ე.წ. *ტუნებრივ ექსპერიმენტს*. ამ დროს ექსპერიმენტატორი ჩვეულებრივ ექსპერიმენტს ატარებს ლაბორატორიის გარეთ (ბუნებრივ პირობებში). ამასთან ისე, რომ ცდისპირმა არ იცის, რომ მასზე ტარდება ექსპერიმენტი. მაგალითად, როდესაც ფსიქოლოგს აინტერესებს, ახდენს თუ არა რაიმე გავლენას, კედლის სხვადასხვა ფერად შეღებვა, საამქროში მომუშავეთა შრომის პროდუქტულობაზე, მაშინ კედლის ფერი იქნება დამოუკიდებელი ცვლადი (მუშებმა შეიძლება იფიქრონ რომ მიმდინარეობს ჩვეულებრივი რემონტი), ხოლო დამოკიდებული კი - შრომის ნაყოფიერება.

ასევე, როდესაც ფსიქოლოგს აინტერესებს, თუ სკოლაში გარკვეული საგნის სწავლების რამდენიმე მეთოდიდან, რომელია უკეთესი, მაშინაც მას შეუძლია მონაფეებზე ჩაატაროს ბუნებრივი ექსპერიმენტი. ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადი იქნება მეთოდი, ხოლო დამოკიდებული კი - დასწავლის ნაყოფიერება.

დაკვირვება ფსიქოლოგიაში

კორელაციური მეთოდი. ხშირად შესასწავლი მოვლენის სირთულის გამო მკვლევარს არ შეუძლია ხელოვნურად გამოიწვიოს მრავალი მოვლენა და ანარმოს მათი მანიპულაცია. აბა წარმოიდგინეთ, თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს ექსპერიმენტი, როდესაც გვინტერესებს იმის გამოკვევა, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვის აღზრდის მეთოდი შემდგომში (ე.ი. სრულწლოვან ასაკში) მის აგრესიულობაზე. თუ ამ საკითხის გასარკვევად, თქვენ განიზრახავდით აქტიური ექსპერიმენტის სქემის გამოყენებას, მაშინ ადვილი წარ-

მოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდით მშობლების წინაშე: მშობელთა ერთი ჯგუფისათვის უნდა გეთხოვათ, რომ მათ გამოეყენებინათ აღზრდის „კარგი“ მეთოდი (მაგალითად, ბავშვის ცუდად მოქცევის შემთხვევაში ყოველთვის მიემართათ მშვიდი ახსნა-განმარტებისათვის), ხოლო მშობელთა მეორე ჯგუფისათვის კი - აღზრდის „ცუდი“ მეთოდი (ბავშვის ცუდად მოქცევის შემთხვევაში ყოველთვის დაესაჯათ ის). ამის შემდეგ, უნდა გეცადათ, სანამ ბავშვი გახდებოდა სრულწლოვანი, რათა სათანადო ტესტის¹ გამოყენებით, შეგემონებინათ მისი აგრესიულობის დონე.

მკითხველს ალბათ ირონიულად ელიძება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პრინციპში ასეთი სახის ექსპერიმენტები მაინც შესაძლებელია. თუმცა იმის მიხედვით, თუ როგორია თქვენი დამოკიდებულება მათ მიმართ, ისინი შეიძლება პრაქტიკულად ვერ განახორციელოთ, ან, ეთიკური მოსაზრებების გამო, თავიდანვე მიუღებლად მიიჩნიოთ.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ბავშვის „კარგი“ მეთოდებით აღზრდა ზრდის დამთავრების შემდეგ უნდა გვაძლევდეს უფრო ნაკლები აგრესიულობის მქონე პიროვნებას, მაინც შეიძლება იქნეს შემონმებული, მაგრამ არა აქტიური ექსპერიმენტის საშუალებით, არამედ *კორელაციური* მეთოდის გამოყენებით, რომელიც განსხვავებით ექსპერიმენტისაგან ძირითადად ეყრდნობა საკვლევი ცვლადების ბუნებრივ ცვლილებას. ამ დროს, ექსპერიმენტატორი თვითონ ვერ ცვლის დამოუკიდებელ ცვლადს, მაგრამ არც უცდის მის შეცვლას; იგი ეძიებს და *აკვირდება* უკვე შეცვლილი, დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობებს. მაგრამ ამისთვის მას უხდება სხვადასხვა ინდივიდზე ან სხვადასხვა ჯგუფებზე გადასვლა.

როგორც ექსპერიმენტული, ისე დაკვირვების მეთოდი, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვეულებრივ ისახავს საერთო მიზანს, კერძოდ იმის დადგენას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს დამოუკიდებელ ცვლადსა და დამოკიდებულ ცვლადს შორის. ამ დამოკიდებულების დასადგენად კი ყოველთვის საჭიროა ხელთ გვექონდეს მათი ურთიერთშესაბამის მნიშვნელობათა წყება:

$$X_1 \quad X_2 \quad X_3 \quad \dots \quad X_n$$

$$Y_1 \quad Y_2 \quad Y_3 \quad \dots \quad Y_n$$

ამ ორ მეთოდს შორის განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, თუ რა გზით ხდება ამ მწკრივების მიღება. როგორც ვიცით, აქტიური ექსპერიმენტის დროს, ექსპერიმენტატორს თვითონ შეუძლია შეც-

¹ ტესტის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 55.

ვალოს X და დაადგინოს, თუ ამ დროს როგორ იცვლება Y . მაგალითად, თუ X წარმოადგენს ეკრანის განათებულებას, ხოლო Y კი - კითხვის სისწრაფეს, მაშინ ექსპერიმენტატორს თვითონ შეუძლია აილოს განათებულობის სხვადასხვა X_1, X_2, X_3 და ა.შ. მნიშვნელობები და აღნუსხოს (დააკვირდეს) თუ ასეთ სხვადასხვა პირობებში როგორი იქნება კითხვის სიჩქარეები Y_1, Y_2, Y_3 და ა.შ.

მაგრამ დაკვირვების მეთოდის გამოყენების დროს მკვლევარი სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფება: იგი მხოლოდ აკვირდება იმას, თუ რა რასთან ერთად ხდება. ვთქვათ, ერთ ინდივიდს განუსაზღვრეთ, როგორც დამოუკიდებელი ასევე დამოკიდებული ცვლადი. ვთქვათ, ეს მათი მნიშვნელობები აღმოჩნდა X_1 და Y_1 . ამ ორ ცვლადს შორის დამოკიდებულების დადგენისათვის ცხადია, მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა (მონაცემია ეს ერთი წყვილი) არ იქნება საკმარისი. მაგრამ რაკი ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ X_1 რასაც მოყვებოდა Y_1 -ის შეცვლაც, ამის გამო ჩვენ გადავდივართ მეორე ინდივიდზე, რომელთანაც X -სა და Y -ს გააჩნიათ უკვე განსხვავებული მნიშვნელობები X_2 და Y_2 . შემდეგ გადავდივართ მესამე ინდივიდზე და ა.შ. მაგალითად, თუ გაინტერესებთ რა გავლენას ახდენს სიმსუქნე სირბილის სიჩქარეზე, ცხადია, რომ ამ დროს, ჩვენ არ შეგვიძლია, ადამიანს შევუცვალოთ ნონა და დავაკვირდეთ შემდეგ სიჩქარის ცვლილებას. ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ აღნიშნული დამოკიდებულება, მდგომარეობს იმაში, რომ განვიხილოთ (დავაკვირდეთ) ისეთი ინდივიდები, რომლებთანაც ნონა სხვადასხვა X_1, X_2, X_3 და ა.შ. მნიშვნელობებით არის წარმოდგენილი და დავადგინოთ თითოეული ინდივიდის სიჩქარის სხვადასხვა Y_1, Y_2, Y_3 და ა.შ. მნიშვნელობანი.

დავუბრუნდეთ ახლა ზემოთ წამოყენებულ პიპოთეზას, იმის შესახებ, რომ ბავშვის „კარგი“ მეთოდებით აღზრდა, ზრდის დამთავრების შემდეგ უნდა აყალიბებდეს უფრო ნაკლები აგრესიულობის მქონე პიროვნებას. მისი შემონმებისათვის, ექსპერიმენტატორმა საჭიროა იცოდეს თითოეული ინდივიდისათვის ორივე ცვლადის მნიშვნელობა:

1. აღზრდის რომელი მეთოდი იქნა გამოყენებული მის ბავშობაში (დამოუკიდებელი ცვლადი), რომელიც დადგინდება მისი მოგონებისა და გარკვეული კითხვარის საშუალებით (აქ ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ დამოუკიდებელი ცვლადის ორივე მნიშვნელობა, ბავშვის როგორც „კარგი“ ასევე „ცუდი“ აღზრდის გარემო უკვე არსებობდა დაკვირვებამდე და ექსპერიმენტატორს არ შეუქმნია ისინი).

2. აგრესიულობის როგორ მაჩვენებელს იღებს, მოცემული ინდივიდი, აგრესიულობის სპეციალურ ტესტში (დამოკიდებული

ცვლადი).

რამე ორ ცვლადს შორის დამოკიდებულების დადგენას ასეთი სახის დაკვირვების საფუძველზე (როდესაც დამოუკიდებელი ცვლადი იცვლება ექსპერიმენტატორის აქტიური ჩარევის გარეშე) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ექსპერიმენტატორს არ შეუძლია ისარგებლოს ისეთი ცვლადებით, რომელთა მოქმედებაც დროში ძალზე გახანგრძლივებულია (აღზრდის სასტემა და ადამიანის ქცევა, ცხოვრების პირობები და კულტურის დონე და სხვ.), ანდა არა აქვს ადამიანზე ექსპერიმენტის ჩატარებისა უფლება, როცა ექსპერიმენტს შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული თუ შეუქცევადი ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური დარღვევები.¹

მაგალითად, როცა ექსპერიმენტატორს აინტერესებს, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე ტვინის დაზიანების ხასიათი (მისი ადგილი ტვინში ანდა წრილობის სიღრმე), მას, ცხადია, არ შეუძლია ცვალოს ეს უკანასკნელი და შემდეგ დააკვირდეს სათანადო ქცევას. მაგრამ, მას მაინც შეუძლია აღნიშნული დამოკიდებულების დადგენა, თუ იგი გამოიკვლევს სხვადასხვა ხასიათის უკვე დაზიანებულ შემთხვევებს და მოახდენს იმის აღნუსხვას, თუ როგორი ქცევა შეესაბამება თითოეულ მათგანს. აქ მდგომარეობა ისეთია, რომ თითქოს მკვლევარი ისარგებლოს ბუნების მიერ დაყენებული „ექსპერიმენტით“.

ასეთ „ექსპერიმენტებს“ ეკუთვნის ყველა ის შემთხვევა, როდესაც პიროვნებაში, ამა თუ იმ ფორმით, ხდება ცვლილება და როცა ეს ცვლილება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი.

ახლა რაც შეეხება თვითონ დაკვირვების ამ მეთოდის სახელწოდებას „კორელაციური მეთოდი“. სიტყვა კორელაცია (correlation) ნიშნავს თანაკავშირს, ან თანაფარდობას. როდესაც ლაპარაკობენ კორელაციაზე, ყოველთვის გულისხმობენ რამე ორ X და Y ცვლადს შორის თანაფარდობას, ანუ კავშირს. სპეციალური კოეფიციენტის საშუალებ-

¹ იმის გასარკვევად, თუ რა არის ადამიანში დაბადებიდანვე თანდაყოლილი და რა არის შემდგომში შექმნილი, გარემოს წყალობით, - დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყუპების შესწავლას, რამდენიც განცალკავებული იქნენ ერთმანეთისაგან ბავშვობის ადრეულ ასაკში და შემდეგ იზრდებოდნენ სრულიად სხვადასხვა გარემოში. ბუნებრივია, რომ მკვლევარს არ შეუძლია სპეციალურად დააშოროს ტყუპები ერთმანეთს თავის მეცნიერული მიზნებისათვის. მას შეუძლია შეისწავლოს უკვე განცალკავებული ტყუპები, რაც ხშირად გამოწვეულია მშობელთა განქორწინებით, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, მკვლევარს შეუძლია ისარგებლოს თვითონ ცხოვრების მიერ დაყენებული ექსპერიმენტებით.

ბით შესაძლებელია ამ თანაფარდობის, ანუ კავშირის სიძლიერის ხარისხის განსაზღვრა, რაც სწარმოებს X -ის და Y -ის ცვლადის შიშვენილობათა დაკვირვების საფუძველზე. ამასთან კორელაცია შეიძლება იყოს დადებითი (პირდაპირი), როდესაც ერთი ცვლადის ზრდას თან ახლავს მეორის ზრდის ტენდენცია (მაგალითად, ინტელექტს და კითხვის სიჩქარეს შორის არსებობს დადებითი კორელაცია) და უარყოფითი (შებრუნებული), როდესაც ერთი ცვლადის ზრდას, თან ახლავს მეორის შემცირების ტენდენცია (მაგალითად, სიმსუქნის და სირბილის სიჩქარეს შორის კორელაცია უარყოფითია).

კორელაციის განსაზღვრის შემეცნებითი ღირებულება, ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ როცა ორ ცვლადს შორის ადგილი აქვს ძლიერ კორელაციას (საკმაოდ მჭიდრო კავშირს), მაშინ ერთი ცვლადის საფუძველზე შეგვიძლია ვინინასწარმეტყველოთ მეორე და პირიქით.

აქ კიდევ საყურადღებოა ერთი გარემოება: მაშინ როდესაც, ექსპერიმენტის დროს, ჩვენ ყოველთვის საქმე გვაქვს მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულების დადგენასთან, კორელაციური კვლევის დროს, ზოგჯერ, შეიძლება დაეადგინოთ კავშირი რაიმე ორ ცვლადს შორის, მაგრამ აზრი არ ჰქონდეს ამ ცვლადებს შორის მიზეზობრივი მიმართულების შესახებ ლაპარაკს. ე.ი. არ შეგვეძლოს იმის თქმა, რომ ერთი მათგანი ინვევს მეორეს.


მაგალითად, თუ სტუდენტის ინტელექტი და მისი აკადემიური მოსწრება ერთმანეთთან კორელაციაშია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მაღალი მოსწრების მიზეზი არის მაღალი ინტელექტი. მაგრამ თუ ავიღებთ იდენტურ ტყუპების სიმალღეთა კორელაციის ფაქტს, მაშინ ცხადია, ამ შემთხვევაში ველარ ვიტყვივით, რომ ერთი მათგანის სიმალღე გამოწვეულია მეორის სიმალღით, რომ ერთის სიმალღე, მეორის მიზეზია. ასეთ შემთხვევაში, როცა X და Y ცვლადს შორის არსებობს კორელაცია, მაგრამ არც ერთი ინვევს მეორეს და არც მეორე პირველს, შეიძლება არც ჰქონდეს აზრი დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების შესახებ ლაპარაკს, ვინაიდან, თვითონ ეს ორივე ცვლადი, შეიძლება დამოკიდებული იყოს რომელიღაც შესამე ცვლადზე. მაგალითად, იმ წლებში, როდესაც დასავლეთ საქართველოში მანდარინის უხვი მოსავალი მოდის, ამ დროს კარგი მოსავალია აგრეთვე ფორთოხლისაც. ცხადია, რომ მანდარინის კარგი მოსავალი არ ინვევს (არ არის მიზეზი) ფორთოხლის კარგი მოსავლის და პირიქით. საქმე ის არის, რომ ორივეს კარგი მოსავალი კორელაციაშია ნალექიანობის მაჩვენებელთან, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი ნალექიანობა ინვევს ორივე ციტრუსის კარგ მოსავალს.

ამგვარად, მიზეზობრიობის მიმართებისა და კორელაციის შესახებ, შეიძლება ითქვას შემდეგი: თუ X და Y ცვლადებს შორის ადგილი აქვს მიზეზობრივ კავშირს (ე.ი. როცა X ინვევს Y -ს ან

პირიქით), მაშინ ამ ცვლადებს შორის აუცილებლად იარსებებს კორელაცია, მაგრამ საზოგადოდ სწორი არ იქნება შებრუნებული მოსაზრება: თუ X და Y ცვლადებს შორის ადგილი აქვს კორელაციას, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ცვლადებს შორის აუცილებლად მიზეზობრივ მიმართებას უნდა ჰქონდეს ადგილი.

ტესტირების მეთოდი. ეს მეთოდიც ფაქტიურად დაკვირვების მეთოდს წარმოადგენს, მაგრამ განსხვავებით კორელაციური მეთოდისაგან, ამ დროს ფსიქოლოგის მიზანს არ შეადგენს რაიმე ორ ცვლადს შორის კავშირის დადგენა, იქნება ეს უკანასკნელი მიზეზ-შედეგობრივი ხასიათის, თუ მხოლოდ კორელაცია. ამ დროს ფსიქოლოგი ცდისპირზე ატარებს ცდებს მხოლოდ მათი შემონმების მიზნით. ე.ი. ტესტირების დროს ფსიქოლოგის მიზანია დააკვირდეს (გამოაველინოს) ცდისპირის მხოლოდ ინდივიდუალური მახასიათებლები და ზოგიერთ შემთხვევაში გაზომოს კიდევ ისინი. ასეთი სახის ცდას განსხვავებით ექსპერიმენტისაგან ჩვეულებრივ ტესტს უწოდებენ (ეს უკანასკნელი წარმოსდგება ინგლისური სიტყვიდან test, რაც ნიშნავს შემონმებას, გამოცდას). ტესტი ფაქტიურად წარმოადგენს ქცევაზე დაკვირვების სისტემატურ პროცედურას სტანდარტულ სიტუაციაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვწეროთ დაკვირვებული ქცევა რაოდენობრივ სკალაზე, ანდა მივაკუთვნოთ იგი ამა თუ იმ კატეგორიას.


ტესტსა და ექსპერიმენტს შორის განსხვავების უკეთ გაგების მიზნით დაუზბრუნდეთ ისევ ნახ.1-ს. ექსპერიმენტის დროს, ერთი-დაიგივე ცდისპირზე ვმოქმედებთ S_1, S_2, S_3, \dots და ა.შ. სტიმულებით და ვიღებთ სხვადასხვა R_1, R_2, R_3, \dots და ა.შ. საპასუხო რეაქციას. ე.ი. ვცვლით დამოუკიდებელ ცვლადს, რასაც თან სდევს დამოკიდებული ცვლადის ცვლილება, და რადგანაც ამ დროს P ერთი და იგივეა, ამიტომაც იგულისხმება, რომ სხვადასხვა R გამოწვეულია სხვადასხვა S -ით (ნახ.2).



ნახ.2.

განვიხილოთ ახლა შებრუნებული სქემა, რომლის დროსაც შეისწავლება სხვადასხვა პიროვნება, ერთიდაიგივე სტიმულაციის (სიტუაციის) დროს (იხ. ნახ.3). თუ ერთსა და იგივე სიტუაციის პი-

რობებში გვაძლევენ სხვადასხვა R_1, R_2, R_3, \dots და ა.შ. რეაქციას, მაშინ ბუნებრივია, რომ პასუხთა შორის ეს განსხვავებულობანი ან უბრალოდ შემთხვევით ფაქტორებს უნდა მივანეროთ, ანდა თვით ცდისპირებს შორის არსებულ ინდივიდუალურ განსხვავებებს. თუ სათანადო სტატისტიკური მეთოდებით დავადგენთ, რომ ზემოაღნიშნული განსხვავებულობანი განპირობებული არიან მართლაც



ნახ.3.

ცდისპირების განსხვავებულობებით (მათი მყარი ინდივიდუალური მახასიათებლებით), მაშინ ჩვენ საქმე გვექნება სწორედ ტესტთან. მაშასადამე განსხვავება ექსპერიმენტსა და ტესტირებას შორის, მოკლედ, შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: ექსპერიმენტის დროს ჩვენ უცვლელად ვტოვებთ ცდისპირებს (ან ცდისპირთა ჯგუფს) და ვცვლით მხოლოდ ცდის პირობებს (ე.ი. დამოუკიდებელ ცვლადს). ტესტირების დროს კი ჩვენ გვინტერესებს სწორედ ცდისპირების (მათი პასუხების) ცვალებადობა მუდმივ (უცვლელ) პირობებში; ამიტომაც ვიქცევით პირიქით: თითოეულ ცდისპირს ვაყენებთ ერთსა და იმავე სტიმულაციის პირობებში და აღვწუნსხავთ მათ სხვადასხვა პასუხებს. თუ პირობები ყველა ცდისპირისათვის არ იქნა მუდმივი, მაშინ ცხადია, ჩვენ არ გვეცოდინება ცდისპირების პასუხებს შორის განსხვავება მიენერება მათ ინდივიდუალურ მახასიათებლებს შორის განსხვავებულობას, თუ იგი გამოწვეულია განსხვავებული პირობებით (სიტუაციური ფაქტორებით).

რაც შეეხება ინდივიდუალურ მახასიათებლებს, მასში არსებითად იგულისხმება ან გარკვეული სახის უნარი, ანდა რაიმე პიროვნული თვისება, რომელიც გააჩნია მოცემულ ინდივიდს.

უნარი, არის მახასიათებელი, რომელიც იმით განისაზღვრება თუ რისი გაკეთება შეუძლია ინდივიდს. ამიტომაც რაიმე უნარის ტესტირების დროს, ის ყოველთვის იზომება შესაბამისი სპეციალური დავალების (ამოცანის) შესრულების ტერმინებში. უნარების საზომ ტესტთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ინტელექტის (აზროვნების უნარის) საზომი ტესტები და პროფესიული ვარგისიანობის განმსაზღვრელი ტესტები, რომლთა საფუძველზე

შეიძლება დადგენილ იქნას ინდივიდის ვარგისიანობა ამა თუ იმ პროფესიის სფეროში სამუშაოდ.

კითხვარების მეთოდი. ეს მეთოდიც დაახლოებით იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ტესტირების მეთოდი, ე.ი. პიროვნების მახასიათებელთა შესწავლა. შეიძლება ითქვას, რომ კითხვარი - ეს არის ტესტის თავისებური ფორმა. იგი, ჩვეულებრივ, შედგება სტანდარტიზირებული ფორმის ანკეტისაგან, სადაც ჩამონერილია გარკვეული სახის კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს ცდისპირმა. გაცემული პასუხების მიხედვით, ფსიქოლოგს საშუალება ეძლევა, განსაზღვროს ინდივიდის რაიმე პიროვნული თვისება ან მდგომარეობა, რომელიც ასახავს მოცემულ ინდივიდს ფართო დიაპაზონში: დანყებული მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური მდგომარეობით და დამთავრებული მისი განწყობებით და მორალურ-ეთიკური შეხედულებებით.

აღსანიშნავია, რომ კითხვარების საშუალებით შეიძლება დავადგინოთ კორელაციაც პიროვნების რაიმე ორ ისეთ მახასიათებელს შორის, როგორცაა განწყობა რაიმე რეალობის მიმართ, ან შეხედულება გარკვეული რეალობისა თუ მოსაზრების შესახებ. მაგალითად, განწყობა პოეზიის მიმართ კორელაციაშია განწყობასთან კლასიკური მუსიკის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ინდივიდებთაგან, ვინც დადებითად არიან განწყობილი პოეზიის მიმართ (ე.ი. უყვართ პოეზია), უმრავლესობა დადებითადაა აგრეთვე განწყობილი კლასიკური მუსიკის მიმართაც (ე.ი. უყვართ კლასიკური მუსიკა) და პირიქით.

5. ფსიქოლოგიის დარგები

შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგების მოღვაწეობა არსებითად მოიცავს სამი სახის აქტივობას. ესენია:

1. **წმინდა (ანუ ფუნდამენტური) კვლევა**, რომელიც გამიზნულია მხოლოდ წმინდა მეცნიერული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის, ე.ი. მიღებული შედეგები, ან დადგენილი კანონზომიერებანი თვითონ კვლევის თვითმიზანს შეადგენს და არა საშუალებას რაიმე სხვა მიზნებისათვის. მაგალითისათვის შეგვეძლო დაგვესახელებინა ზოგადი ფსიქოლოგია, რომელიც სწორედ ასეთ მიზნებს ისახავს.

2. **გამოყენებითი კვლევა**, რასაც საქმე აქვს ისეთ პრობლემებთან, რომელთა გადაწყვეტაც ემსახურება გარკვეულ პრაქტიკულ მიზნებს. მაგალითად, პედაგოგიური ფსიქოლოგიის მკვლევარი მიზნად ისახავს ისეთი პრობლემების გამოკვლევას, რომლის შედეგებიც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესში. იგივე შეიძლება ითქვას იმ ფსიქოლოგების შესახებაც, რომლებიც მუშაობენ შრომის ფსიქოლოგიაში: მათ მიერ მიღებული შედეგები და დადგენილი კანონზომიერებანი შეიძლება გამოყენებული იქნეს წარმოებაში.¹

3. **პრაქტიკული გამოყენება**, რომელიც ფსიქოლოგიურ კვლევებში ჩართული ფსიქოლოგებისაგან განსხვავებით გულისხმობს ისეთ ფსიქოლოგთა მოღვაწეობას, რომლებიც პირველი სახის ფსიქოლოგების მიერ მიღებულ მონაცემებს იყენებენ რეალურ ცხოვრებაში. მაგალითისათვის შეგვეძლო დაგვესახელებინა კლინიკაში მომუშავე ფსიქოლოგები, რომლებიც სვამენ დიაგნოზს და მკურნალობენ ადამიანებს, რომლებსაც სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობა აწუხებთ.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, რომ არსებითად კვლევის მიზნების მიხედვით თანამედროვე ფსიქოლოგია იყოფა რიგ დარგებად - ცალკეულ ფსიქოლოგიურ დისციპლინებად, რომლებიც იმყოფებიან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და დაკავშირებული არიან პრაქტიკის ამა თუ იმ სფეროსთან, ე.ი.

¹ რა სახის მოღვაწეობაც არ უნდა უზღებოდეს ადამიანს თავის პროფესიონალურ სფეროში (იქნება იგი მასწავლებელი, ინჟინერი, ექიმი თუ სხვა), ამ დროს მის წინაშე მეტ-ნაკლებად ყოველთვის დგება ისეთი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს ადამიანური ფაქტორების (ე.ი. ფსიქიკური ფაქტორების) გათვალისწინებას და ამდენად ფსიქოლოგთა დახმარებას. სწორედ ამიტომაც ჩამოყალიბდა ისეთი დარგები, როგორცაა პედაგოგიური ფსიქოლოგია, შრომის ფსიქოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგია და სხვა.

ადამიანთა ამა თუ იმ სახის კონკრეტულ საქმიანობასთან. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ზოგადი ფსიქოლოგია. ზოგადი ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითადი დარგია. იგი შეისწავლის ზრდა დამთავრებული, ნორმალური, კულტურის თანამედროვე საფეხურზე მდგომი ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ დ. უზნაძის მიერ აღმოჩენილი ილუზიები: როდესაც თვალახვეულ ცდისპირს შესაფასებლად რამდენჯერმე ეძლევა სხვადასხვა მოცულობის მქონე ბურთები (ერთ ხელში ყოველთვის დიდი, მეორეში - ყოველთვის პატარა), შემდგომში ტოლი მოცულობის ბურთების მინოდებისას, იგი მათ არატოლად (ე.ი. ილუზორულად) აფასებს. ეს ილუზიები ქვემოთ დანვრილებით იქნება განხილული, ახლა კი მხოლოდ მიუთითებთ იმის შესახებ, რომ ასეთი სახის ილუზიების წარმოდგენა ეს არის ზოგად ფსიქოლოგიური კანონზომიერება, რამეთუ ეს უკანასკნელი თავს იჩენს თითქმის ყველა ზრდა დამთავრებულ, ნორმალურ და კულტურულ ადამიანთან.

დიფერენციალური ფსიქოლოგია. როგორც ავღნიშნეთ, დ. უზნაძის ილუზიების წარმოშობა ზემოთ განხილულ პირობებში წარმოდგენს ზოგად-ფსიქოლოგიურ ფაქტს, რომელიც ყველა ადამიანთან დასტურდება. მიუხედავად ამისა, საეგზეთ შესაძლებელია, რომ სხვადასხვა ცდისპირს ილუზიის სხვადასხვა სიდიდე აღმოაჩნდეს და ამ ასპექტში ისინი აღმოჩნდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებული. *დიფერენციალური ფსიქოლოგია ადამიანთა სწორედ ასეთ განსხვავებებზე აკეთებს აქცენტს.* მის ინტერესს შეადგენს ფსიქოლოგიური განსხვავებულობა, როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდთა ჯგუფებს შორის; აგრეთვე, იმის დადგენაც თუ რა უდევს საფუძვლად ამ განსხვავებულობას.

ამიტომაც დიფერენციალური ფსიქოლოგია შეისწავლის იმ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ასევე სხვადასხვა ტიპის, ასაკის, სქესისა და პროფესიის ადამიანებს. მის მიზანს შეადგენს, დაადგინოს, თუ რით განსხვავდება ერთი კონკრეტული პიროვნება მეორისაგან, რაში მდგომარეობს განსხვავება კაცსა და ქალს შორის, თუ რით განსხვავდება მოხუცი ახალგაზრდისაგან და სხვა.

სწორედ ამის გამო დიფერენციალურ ფსიქოლოგიაში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ტესტირების მეთოდს, ვიდრე ექსპერიმენტს.

გენეტიკური ფსიქოლოგია. ფსიქოლოგიური მეცნიერების ეს დარგი შეისწავლის ადამიანისა და ცხოველის ფსიქიკის განვითარებას. მისი შესწავლის სფეროა ბავშვის ფსიქიკის კანონზომიერებანი (ბავშვის ფსიქოლოგია) ცხოველთა ქცევის განვითარების თავისე-

ბურბანი (ზოოფსიქოლოგია) და ადამიანისა და ცხოველის ფსიქიკის შედარებითი შესწავლა (შედარებითი ფსიქოლოგია).

სამედიცინო ფსიქოლოგია გულისხმობს ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი კანონზომიერებების გამოყენებას მედიცინის სფეროში. იგი იკვლევს იმ ფსიქიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ავადმყოფობის წარმოშობისა, მის გამოვლენასა (იგულისხმება სხვადასხვა დაავადებათა ფსიქიკური გამოვლენები, რომლებიც ხელს უწყობენ სწორი დიაგნოზის დადგენას), მიმდინარეობასა, მკურნალობასა და პროფილაქტიკაზე. სამედიცინო ფსიქოლოგია შეისწავლის ექიმის მოღვაწეობისა და ავადმყოფის ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტს, რაც გულისხმობს ექიმსა და ავადმყოფს შორის ურთიერთობას. კერძოდ, იმის დადგენას, თუ ავადმყოფს რამდენად სჯერა თავისი ექიმის, ან რამდენად არის დარწმუნებული იმაში, რომ იგი განიკურნება, რა ფსიქიკური ფაქტორებით არის გაპირობებული ასეთი სახის რწმენა და რა როლს თამაშობს იგი მის გამოჯანმრთელებაში. აქვე შეგვეძლო დაგვესახელებინა ზემოთ აღნიშნული ურთიერთობის ეთიკური მხარეც. მაგალითად, თუ რამდენად არის გამართლებული ექიმის მიერ ავადმყოფისათვის ტყუილის თქმა, მისგან ნამდვილი დიაგნოზის დაფარვა და სხვა.

სწორედ ფსიქოლოგიის ცოდნის წყალობით ექიმს შეუძლია მართებულად გამოიყენოს სხვადასხვა ფსიქოლოგიური საშუალებანი ავადმყოფთან კონტაქტის ნებისმიერი ფაზის დროს.

პათოფსიქოლოგია. ეს დარგი შეისწავლის ნორმიდან გადახრილ ფსიქიკას, რაც თავს იჩენს სხვადასხვა სახის ფსიქიკურ დაავადებათა შემთხვევაში და ამით გარკვეულ წილად, ემსახურება სამედიცინო მიზნებს. მაგალითად, პათოფსიქოლოგიის კვლევის მონაცემებით სარგებლობენ ფსიქიატრიაში.

მაგრამ გარდა სამკურნალო მიზნებისა, პათოფსიქოლოგიის მონაცემებს, ზოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობაც გააჩნია. პათოლოგიურად შეცვლილი ფსიქიკის შედარება ფსიქიკის ნორმალურ ფორმებთან ამ უკანასკნელთა ბუნების შესწავლას ემსახურება.

იურიდიული ფსიქოლოგია. ეს დარგი შეისწავლის ადამიანთა იმ სფეროს ფსიქიკურ კანონზომიერებასა და მექანიზმს, რომელშიც წარმოებს ადამიანთა ურთიერთობის რეგულირება სამართლის საშუალებით. ის, თავის მხრივ, იყოფა: სასამართლო ფსიქოლოგიად, რომელიც იკვლევს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეთა ფსიქიკურ თავისებურებებს, მაგალითად, მონმის ჩვენებათა სანდობას (რახედაც ხშირად დამოკიდებულია მართლმსაჯულების გადანყვეტილება), თუ რამდენად დასაშვებია ამა თუ იმ პიროვნების დაკითხვა, ბრალდებულის ქცევის თავისებურებებს და სხვა; კრიმინალურ ფსიქოლოგიად, რომელიც სწავლობს დანაშაულებრივი მოქმედების ფსიქოლოგიურ მექანიზმს და დამნაშავეის პიროვნებას

(მისი, როგორც დამნაშავეის ჩამოყალიბების პირობებს, დანაშაულის მოტივებს). პენიტენციურ¹ ანუ დამნაშავეის გამოსწორების ფსიქოლოგიად, რომელიც იკვლევს პატიმრობაში მყოფი დამნაშავეის ფსიქოლოგიას, ხელახალი აღზრდის პრობლემებს, როგორც დარწმუნების, ასევე იძულებითი მეთოდების გამოყენებით. მაგალითად, იმისათვის რათა დამნაშავემ მოინანიოს თავისი დანაშაული და გამოსწორების გზას დაადგეს, როგორ პირობებში ჯობია იხდიდეს სასჯელს, განმარტოებული იყოს საკანში (ე.ი. მარტო დარჩეს თავის თავთან) თუ იმყოფებოდეს სხვა პატიმრებთან ერთად.

სპორტის ფსიქოლოგია. სპორტის ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს სპორტული საქმიანობის (მოქმედების) ფსიქოლოგიური მხარისა და თვით სპორტმენის პიროვნების შესწავლა. მისი ძირითადი ამოცანებია: გამოიკვლიოს სპორტული ქცევის მთლიანი სისტემისა და მისი ცალკეული კომპონენტების (მოძრაობის ტექნიკის, ნერვინისა და შეჯიბრების) ფსიქოლოგიური თავისებურებანი, როგორც ცალკეული სპორტსმენის, ისევე სპორტსმენთა კოლექტივის შეჯიბრებისათვის ფსიქოლოგიური მომზადების დონე; აგრეთვე სპორტის გარკვეული სახეობისათვის ვარჯისი პიროვნებების შერჩევა, მათი ეფექტური მომზადებისათვის ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება, და ბოლოს იმ ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფენ სპორტსმენის მართებულ ქცევას შეჯიბრების სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, იმის დადგენა, თუ რა უდევს საფუძვლად შეჯიბრებაში გამარჯვების მოტივით გაპირობებულ ქცევას, კერძოდ, ალგზნების (ემოციურობის) მაღალი დონე ხელს უწყობს, თუ ხელს უშლის, მას გამარჯვების მოპოვებაში და სხვა.

პედაგოგიური ფსიქოლოგია. ეს დარგი შეისწავლის სწავლებისა და აღზრდის პროცესთა ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ამ პროცესთა რაციონალიზაციის მიზნით. ასე რომ, პედაგოგიური ფსიქოლოგია შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: სწავლების ფსიქოლოგიად და აღზრდის ფსიქოლოგიად.

სწავლების ფსიქოლოგიის ძირითადი ამოცანებია:

1. იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან სწავლის პროცესს და იმ ოპტიმალური პირობების დადგენას, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლების მაქსიმალურ ეფექტურობას.

2. იმის გამორკვევა, თუ რომელი მეთოდით სჯობია ვასწავლოთ მოსწავლეებს ესა თუ ის საგანი.

3. მოსწავლეებისათვის, არა მხოლოდ, ამა თუ იმ საგნის სწავ-

¹ სიტყვა პენიტენციური წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან poenitentia, რაც ნიშნავს მონანიებას.

ლება, არამედ იმის სწავლებაც, თუ როგორ უნდა ისწავლონ მათ. ეს არის საკითხი, რომელიც გულისხმობს სწავლის სწავლებას.

4. თვით შესასწავლი მასალის ხასიათის გამოვლენა. თუ რა შინაარსის ცნებებია მისაწვდომი სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა ეასწავლონ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალა, რომელ კლასში რა საგანი და სხვა.

5. ამა თუ იმ საგნის სწავლების დროს, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინება, რაც ფაქტიურად დიფერენციალური ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს.

6. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის შესწავლა.

რაც შეეხება აღზრდას, იგი იმით განსხვავდება სწავლისაგან, რომ სწავლის დროს, ადამიანი ინფორმაციას იღებს გარე სამყაროს შესახებ, აღზრდის დროს კი ხდება მისი *ქმნალობა*, მისი პიროვნებად ჩამოყალიბება. აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა: 1. როდესაც ადამიანი იღებს ინფორმაციას, მაგრამ ეს არ ცვლის ადამიანს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საქმე გვექნება ნმინდა სწავლასთან. 2. როდესაც გარკვეული ინფორმაციის მიღება იწვევს ადამიანის შეცვლას (გარდაქმნას). ასეთ შემთხვევაში, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მიღებული ინფორმაციი აღმზრდელიობითი ხასიათის შესახებ.

აქ მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, პირველი შემთხვევის (ნმინდა სწავლის) შესაძლებლობის შესახებ: განა შეიძლება ადამიანმა მიიღოს ინფორმაცია (ისწავლოს რაღაც) და ამან არ შესცვალოს იგი? თუ ამ შეცვლაში ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანის ზნეობრივი მახასიათებლების შეცვლას, მაშინ ამ კითხვას შეიძლება შემდეგნაირად ვუპასუხოთ: შეცვლის თუ არა მიღებული ინფორმაცია, პიროვნების ზნეობრივ დონეს, ეს დამოკიდებულია ამ ინფორმაციის შინაარსზე (ხასიათზე). მაგალითად, თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ მათემატიკურ ფორმულებს წარმოადგენს, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ ამან ვერ შესცვალოს ადამიანი, ზნეობრივ ასპექტში.

საერთოდ, როდესაც აღზრდის ფსიქოლოგიას ანსხვავებენ სწავლების ფსიქოლოგიისაგან, აღზრდაში (პიროვნების ზნეობრივ ჩამოყალიბებაში) ჩვეულებრივ გულისხმობენ აღმზრდელის საუბარს, მის მოქმედებას, როგორცაა აღსაზრდელის დაჯილდოვება ან დასჯა, მის პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენების მოხდენას, მხატვრული ლიტერატურის კითხვას, კინოფილმებისა და სპექტაკლების ნახვას, მუსიკის მოსმენას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ერთ დროს ფსიქოლოგებს შორის დაუსრულებელი კამათი წარმოებდა, პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში, აღზრდის ანუ გარემოს, როლის შესახებ. თავიდანვე ერთ-

მანეთს დაუპირისპირდა ორი უკიდურესი (ალტერნატიული) თვალსაზრისი, ერთი შეხედულების თანახმად ადამიანი იბადება უკვე თანდაყოლილი თვისებებით (თვისებებში იგულისხმება არა მხოლოდ ადამიანის ხასიათი, მისი მორალური ასპექტი, არამედ სხვადასხვა სახის უნარებიც), რომლებიც მემკვიდრეობით შეიძლება იქნეს გაპირობებული. რაც შეეხება გარემოს, მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ე.ი. გარემო არ ქმნის ადამიანს (მის თვისებებს).

მეორე უკიდურესი შეხედულების თანახმად კი ადამიანის ხასიათი, მისი ზნეობა, ან ესა თუ ის უნარი, არ არის თანდაყოლილი, ისინი მხოლოდ გარკვეულ გარემოს (გარკვეულ ალზრდის) შედეგს წარმოადგენენ. ახალდაბადებული ბავშვი შეიძლება შევადაროთ სუფთა (დაუნერგლ) დაფას და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რას დაენერთ ამ დაფაზე. იმის მიხედვით, თუ როგორ გარემოს შეექმნით (თუ ალზრდის როგორ მეთოდებს გამოვიყენებთ) ერთი და იგივე ბავშვიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ როგორც ღირსეული პიროვნება, ასევე ქურდი ან ყაჩაღი.

მკითხველს შეუძლია გაუკვირდეს კიდეც, თუ რა არის აქ საკამათო, რადგან, პირველი მოსაზრება თავიდანვე მიუღებლად მიიჩნის: განა რომელიმე ქუათამყოფელ ადამიანს შეუძლია უარყოს გარემოს როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში?

რა თქმა უნდა, პირველ პოზიციაზე მდგომნი სრულიადაც არ იყვნენ უგზურნი. მათ თავიანთი შეხედულებისათვის გააჩნდათ საეუნებოთ ლოგიკური საფუძველი, საქმე ის არის, რომ ისინი უარყოფდნენ გარემოს, როგორც ქმნადობის (ე.ი. პიროვნებაზე ზემოქმედების) ფაქტორს. გარემოს როლს ისინი ხედავდნენ არა პიროვნების ამა თუ იმ თვისების ქმნადობაში, არამედ მხოლოდ მათ *გამომჟღავნებაში*. მათი აზრით, გარემო კი არ აყალიბებს პიროვნებას, არამედ იგი მხოლოდ *აშლავნებს* მის თანდაყოლილ თვისებებს; ამიტომაც განვითარება სხვა არაფერია, თუ არა გამომჟღავნება.¹ ნათქვამის უკეთ გაგების მიზნით მივმართოთ მარტივ ანალოგიას:

ავილოთ ფოტოქალაღი, რომელზედაც პროეცირებული იყო გარკვეული გამოსახულება. მაგრამ როგორც ვიცით, სანამ ქალაღს არ მოვათავსებთ სპეციალურ სითხეში, მასზე გამოსახულებას ვერ მივიღებთ. ამის გამო, რა თქმაუნდა, არავინ იტყვის, რომ ამ სითხემ შექმნა ეს გამოსახულება. ცხადია, ამ უკანასკნელის შინაარსი *პოტენციურად* უკვე იყო მოცემული მის სითხეში მოთავსებამდე. ასე რომ, სითხის დანიშნულება მხოლოდ მის გამომჟღავნებაშია.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული საკითხი დღეს უკვე ასე

¹ საინტერესოა, რომ ინგლისურად სიტყვა განვითარება (development) გამომჟღავნებასაც ნიშნავს, ე.ი. როგორც განვითარება ისე გამომჟღავნება ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება.

მწვევედ აღარ დგას, რადგანაც ზემოთ მოყვანილმა შეხედულებებმა დაკარგეს ალტერნატიული ხასიათი და მოიძებნა გარკვეული „კომპრომისი“. თანამედროვე ფსიქოლოგიის თანახმად, *ვარემო, არა მხოლოდ ამჟღავნებს, არამედ აყალიბებს კიდევ პიროვნებას*. ასე რომ, დღეისათვის კითხვა ეხება არა იმის გარკვევას, განვითარება თანდაყოლილი ფაქტორებით არის გაპირობებული თუ გარემოთი, არამედ იმის დადგენას თუ რა ზომის ნელილი შეაქვს განვითარებაში თითოეულ მათგანს.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის მკვლევარებს ხშირად აინტერესებთ, თუ რა როლს ასრულებს, ბავშვის აღზრდაში, მისი დასჯა და დასაჩუქრება. მაგალითად, მათი კვლევის მიზანს შეიძლება შეადგენდეს იმის დადგენა, თუ ქვემოთ მოყვანილი სამი მეთოდიდან რომელი უნდა იყოს უკეთესი:

1. თუ ბავშვი ცუდად იქცევა, მაშინ ჩვენ მას ვსჯით, ხოლო მის კარგ ქცევას ნეიტრალურად ვეკიდებით;

2. თუ ბავშვი კარგად იქცევა, მაშინ ჩვენ მას ვაჯილდოებთ, ხოლო მის ცუდ ქცევას ნეიტრალურად ვეკიდებით;

3. თუ ბავშვი კარგად იქცევა, მაშინ მას ვაჯილდოებთ, ხოლო ცუდ ქცევას შემთხვევაში ვსჯით.

აღსანიშნავია, რომ ბიპვეიორიზმის პრინციპებიდან გამომდინარე უპირატესობა უნდა მიენიჭოს მესამე მეთოდს.

ხელოვნების ფსიქოლოგია. ხელოვნების ფსიქოლოგიას საქმე აქვს რა ხელოვნების სხვადასხვა ფორმებთან (მუსიკა, ფერწერა, ლიტერატურა, ქორეოგრაფია, არქიტექტურა და სხვა) შეისწავლის როგორც მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიურ მხარეს (მის ფსიქოლოგიურ მექანიზმებს), ასევე უკვე შექმნილი ხელოვნების ნაწარმოების ესთეტიკურ აღქმას (მის შეფასებას). მისი ამოცანაა, გამოიკვლიოს თუ რატომ და როგორ მიმდინარეობს, ესა თუ ის, შემოქმედების პროცესი და განსაზღვროს, ამა თუ იმ, შემოქმედის ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა მიდრეკილება, ნიჭი და ტალანტი.

რაც შეეხება ხელოვნების ნაწარმოების შეფასებას სხვათა მიერ, იგი ყოველთვის სუბიექტურ ხასიათს ატარებს და დღემდე ვერ მოხერხებულა მისთვის რაიმე ობიექტური კრიტერიუმის დადგენა. ამიტომ, ხელოვნების ფსიქოლოგია არ აცხადებს პრეტენზიას ასეთი კრიტერიუმის დადგენაზე და იკვლევს მხოლოდ იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასებაზე.

შრომის ფსიქოლოგია. გამოყენებითი ფსიქოლოგიის ეს დარგი შეისწავლის საწარმოო შრომის პროცესთა ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. მისი ძირითადი ამოცანაა, დაადგინოს ადამიანის შრომითი საქმიანობის კონკრეტული ფორმების ჩამოყალიბების ფსიქოლოგი-

ური კანონზომიერებანი, რის საფუძველზედაც შესაძლებელი იქნება შრომის პროცესთა რაციონალიზაცია და მისი პროდუქტიულობის გაზრდა. შრომის ფსიქოლოგიის სპეციალისტები, ხელმძღვანელობენ იმ მოსაზრებით, რომ *შრომის ორგანიზაციას შეუძლია მოგვცეს შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება, ვიდრე მის ინტენსიფიკაციას.*

ადამიანის შრომითი საქმიანობის ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა მოიცავს:

1. იმის გარკვევას, თუ რა აპირობებს ადამიანის (მისი ფსიქიკური თავისებურებების) შეგუებას თავის შრომით საქმიანობასთან;

2. შრომითი ჩვევების შემუშავების კანონზომიერების გამოვლენას;

3. იმ ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოკვლევას, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან შრომითი პროცესის მიმდინარეობას და ინვევენ შრომის ნაყოფიერების ზრდას ან შემცირებას. ასეთი ფაქტორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამუშაო გარემო, როგორცაა სამუშაო ადგილის განათებულიობა, ტემპერატურა, ტენიანობა, კედლების ფერი, ხმაური, სუნი და სხვა. შრომის გარემო გულისხმობს აგრეთვე გარემომცველ ადამიანებსაც და ამდენად იგი ნარმოადგენს სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის საგანს.

4. პროფესიათა ფსიქოლოგიურ ანალიზს და ადამიანთა მიზანშეწონილ განაწილებას, სხვადასხვა სახის პროფესიებზე, მათი ფსიქიკური თავისებურებების და უნარების გათვალისწინებით.

პროფესიათა ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად დადგენილი იქნა ამა თუ იმ პირფესიული სამუშაოს ნარმატებით შესრულებისათვის საჭირო ფსიქიკური თვისებები. ამასთან დაკავშირებით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, *პროფესიული შერჩევა* და *პროფესიული ორიენტაცია*.

პროფესიული შერჩევის დროს ჩვენ საქმე გვაქვს ერთ გარკვეულ პროფესიასთან და რამდენიმე ადამიანთან. მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ამ რამდენიმე ადამიანიდან შერჩეულ იქნეს ისეთი ერთი, რომელიც ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება ამ პროფესიისათვის.

პროფესიული ორიენტაციის დროს კი, ჩვენს წინაშეა შებრუნებული ამოცანა: საქმე გვაქვს ერთ პიროვნებასთან და რამდენიმე პროფესიასთან. საჭიროა, ამ პიროვნებისათვის ამ რამდენიმე პროფესიიდან შევარჩიოთ ისეთი ერთი პროფესია, რომელშიც ყველაზე უფრო მეტად გამოდგება ეს პიროვნება. ფაქტურად, ასეთი ამოცანის წინაშე ყოველთვის დგას სკოლა დამთავრებული ახალგაზრდა, რომელიც ცდილობს რამდენიმე ფაკულტეტიდან აირჩიოს ერთი ფაკულტეტი, რომელმაც შემდგომში უნდა განაპირობოს მისი პროფესიული მოღვაწეობა.

თავის მხრივ შრომის ფსიქოლოგია მოიცავს სხვადასხვა დარგებს. მათგან ჩვენ შევეხებით მხოლოდ *საინჟინრო ფსიქოლოგიას*, რომელიც შეისწავლის მართვის სისტემებში ადამიანის და ადამიანსა და მანქანას შორის ფუნქციების განაწილებას. რადგანაც, მანქანის მართვას ჩვეულებრივ ანარმოებს ადამიანი, ამიტომაც ადამიანი-მანქანა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მართვის ერთიანი სისტემა. ამ სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, როგორც მანქანის (გარკვეული ტექნიკური მოწყობილობის), ასევე ადამიანის მახასიათებლები. რაც იმას ნიშნავს, რომ *მანქანის* (რაიმე ტექნიკური მოწყობილობის) *კონსტრუირების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი.*

მაგალითად, ადამიან-ოპერატორს ყოველთვის საქმე აქვს რაიმე ტექნიკურ სისტემასთან, როგორიცაა სამართავი პულტი, ინფორმაციის (გარკვეული სიგნალების) მიმღები მოწყობილობა და სხვა. ასეთი ტექნიკური სისტემის პროექტირების (კონსტრუირების) დროს ამოცანა არის ის, თუ როგორ უნდა იქნეს ფიზიკურ დანადგარზე განაწილებული სხვადასხვა სახის ჩამრთველები და ინდიკატორები, რა ფერის უნდა იყოს ეს უკანასკნელნი და სხვა, რათა ტექნიკური სისტემა რაც შეიძლება უკეთესად „მოერგოს“ ადამიანს და ამით გაუადვილოს მას შრომის პროცესი. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ საინჟინრო ფსიქოლოგიის დანიშნულებაა ადამიანის მახასიათებლების შესახებ ცოდნის მიყენება ტექნიკური სისტემებისა და მათი შემადგენელი ელემენტების პროექტირებისათვის. ამ სისტემების მუშაობისა და მომსახურეობის მექანიკური ეფექტურობის მიღწევისათვის მინიმალური დანახარჯებით.

საინჟინრო ფსიქოლოგიის ამოცანას შეადგენს აგრეთვე უკვე შექმნილ ტექნიკურ სისტემაზე ოპერატორის მიერ ჩატარებული ოპერაციების კვლევა, რომლის მიზანია: ინფორმაციის მიღების, გადამუშავების, შენახვის, გარდაქმნის და ოპტიმალური გადაწყვეტილების გამოტანის პროცესების ფსიქოლოგიური თავისებურებების დადგენა.

სოციალური ფსიქოლოგია. ადამიანი, როგორც აქტიური სუბიექტი, როგორც პიროვნება არ წარმოადგენს, მხოლოდ, ბიოლოგიურ ინდივიდს (მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმს); მას ცხოვრება უხდება სოციალურ გარემოში და ამდენად იგი სოციალური არსებაცაა.

ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, *ადამიანი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პიროვნება მხოლოდ სოციალურ გარემოში.* სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლის სწორედ ადამიანის სოციალურ ცხოვრებას, ანუ ადამიანის ქცევისა და საქმიანობის კანონზომიერებებს, რომლებიც ვლინდება სხვა ადამიანებთან და ჯგუფებთან ურთიერთობის პროცესშიც: კერძოდ, მისი კვლევის მიზანს შეად-

გენს იმის დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანზე სხვა ადამიანების ქცევები და მათი შეხედულებები. ეს მოვლენა შეიძლება ეხებოდეს ფსიქიკური პროცესების სამივე სფეროს.

ადამიანებმა, სხვების გავლენით, შეიძლება შეიმუშაონ ან შეცვალონ, თავისი აზრი (შეხედულება), რაიმე ობიექტების ან მოვლენების შესახებ.

რაიმე ობიექტის ესთეტიკური შეფასების დროს (აქ იგულისხმება ამ ობიექტის მოწონება-არმოწონება), ადამიანზე შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვების მიერ ამ ობიექტის შეფასებამ. ადამიანს შეიძლება დაეუფლოს შიშის გრძნობა, როდესაც ხედავს მის ირგვლივ შეშინებულ ადამიანებს (პანიკა) და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გრძნობა წმინდა სოციალური წარმოშობისაა. ესენია სირცხვილის ან სიამაყის გრძნობა, თავმოყვარეობის ან თავის დამცირების გრძნობა, სინანულისა და სინდისის ქენჯნის გრძნობა და სხვა. მკითხველისთვის ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ ეს გრძნობები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სოციალურ გარემოში. სხვა ადამიანებისაგან განცალკავებულ (განმარტოებულ) პიროვნებას, როგორც იყო მაგალითად რობინზონ კრუზო უკაცრიელ კუნძულზე, ცხადია, ასეთი გრძნობების განცდა არ ექნება.

სოციალური გავლენა ყველაზე უფრო მეტად მაინც ადამიანის გადანყვებილების მიღებისა და სათანადო ქცევის შესრულებაში მჟღავნდება.

ძალიან ხშირად ადამიანი სხვების გავლენით (ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი) ლებულობს ამა თუ იმ გადანყვებილებას და ასრულებს შესაბამის ქცევას.

ალბათ ყველა შემაჩნევდით, თუ როგორ ცვლის ჯგუფი ხშირად მასში შემავალ თითოეულ ინდივიდს. ჯგუფში შემავალმა ინდივიდმა შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც იგი არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდა მარტო რომ ყოფილიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფში შემავალი ინდივიდი ის აღარ არის, რაც იყო მის გარეთ: იგი მნიშვნელოვნად შეცვლილია. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მთელს (ჯგუფს) გარკვეული გავლენა შეუძლია მოახდინონ მის ნაწილზე (ჯგუფში შემავალ ინდივიდებზე).

როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანის ქცევაზე სხვების ზეგავლენის შესახებ, პირველ რიგში უნდა მივუთითოთ შემდეგ შემთხვევებზე:

როგორც ირკვევა, ადამიანის შრომითი და სხვა ფსიქიკური აქტივობა უფრო ადვილად და ნაყოფიერად სრულდება, როდესაც იგი სხვა ადამიანის თანდასწრებით ხორციელდება (თანაარსებობის ეფექტი).

დასტურდება აგრეთვე, რომ ადამიანის საქმიანობა უფრო ნაყო-

ფიერად მიმდინარეობს, როდესაც მისი თანდასწრებით სხვა ადამიანებიც ასრულებენ თავიანთ სამუშაოს (თანააქტივობის ეფექტი). გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ახალი მასალის შესწავლა.

ალსანიშნავია, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ორი ადამიანის ნორმალური (უკომფლიქტო) ურთიერთობისათვის - ეს არის ერთის მიერ მეორის გაგება; ე.ი. იმის უნარი, რომ ერთმა წარმოადგინოს თავი მეორის ადგილას, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთმა წარმოადგინოს თავი მეორის როლში და პირიქით.¹

საინტერესოა რომ როლის ცნებას სოციალურ ფსიქოლოგიაში უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, მთელი ჩვენი სოციალური აქტივობა (ცხოვრება) შეიძლება განვიხილოთ, როგორც სხვადასხვა როლების შესრულება. ასე მაგალითად, რომელიმე პიროვნების სოციალური ცხოვრების აღწერის დროს შეიძლება ითქვას, რომ ეს პიროვნება ინსტიტუტში თავის თანამშრომლებთან ასრულებს დირექტორის როლს, უნივერსიტეტში სტუდენტქთან - ლექტორის როლს, სახლში თავის შვილებთან - მამის როლს, მაღაზიაში - მყიდველის როლს, მატარებელში ყოფნისას - მგზავრის როლს, ექიმთან მისვლისას პაციენტის როლს და ა.შ. მაშასადამე, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანს უხდება ამგვარი როლების შესრულება და ამიტომაც *მთელი ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა როლების განუწყვეტელი ცვლა.*

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ალბათ, ყველას აქონია ასეთი დაკვირვება: ქუჩაში ხედავთ, რომ თქვენს შესახვედრად მოდის რომელიმე თქვენი ნაცნობი; თქვენ არიდებთ თავს მასთან შეხვედრას: ან გვერდით იხედებით, ანდა გადადხართ ქუჩის მეორე მხარეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამ პიროვნებას ვერ იტანთ ან გეშინიათ მისი; არა, უბრალოთ იმის გამო, რომ დალლილი ხართ და იმის თავი არა გაქვთ, რომ შეხვედრის შემთხვევაში *სათანადო როლი იკისროთ*: მოიკითხოთ, თუ როგორ არის იგი, და თუ გეტყვით რაიმეს ცუდს თავის მდგომარეობის შესახებ, შეჰყვიროთ: „მართლა?“, „რას მელაპარაკები“ და ა.შ.

როგორც ირკვევა, ამა თუ იმ როლის შესრულება ზოგჯერ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვით შემსრულებლის ფსიქიკაზე. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული გამოკვლევა.

61 წლის ადამიანებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე: „გრძნობთ

¹ ფაქტიურად ეს წარმოადგენს იმ ზოგად საკაცობრიო შინაარსის მქონე ნორმალური მოთხოვნის გამოხატულებას, რაც ეთიკაში „ქცევის ოქროს წესის“ სახელწოდებითაა ცნობილი: „მოექცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა, რომ ეს სხვა მოგექცეს იგივე სიტუაციაში“.

თუ არა თავს დაბერებულად? მიღებული პასუხების ხასიათის მიხედვით გამოკითხულები გაიყო ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფის წევრებს თავი დაბერებულად მიაჩნდათ, ხოლო მეორე ჯგუფის წევრებს კი - არა.

აღმოჩნდა, რომ ვინც თავს დაბერებულად გრძნობდა, მათ უხდებოდათ მამის როლის შესრულება შვილების წინაშე, ბაბუის როლის შესრულება შვილიშვილების წინაშე და მასწავლებლის როლის შესრულება სტუდენტების წინაშე. ე.ი. მათ მუდმივად უხდებოდათ ასაკით მათზე უფრო უმცროსი თაობის ადამიანებთან ურთიერთობა და თავის უფრო სერიოზულად (სოლიდურად) წარმოჩენა. მაშასადამე, ასეთი როლები აბერებს ადამიანს. რაც შეეხება მეორე ჯგუფის წევრებს, მათ არ ჰყავდათ შვილები და შვილიშვილები, არ ჰყავდათ მონაფეები და იშვიათად თუ უხდებოდათ უფრო მცირე ასაკის შვილებს ადამიანებთან ყოფნა და საკუთარი თავის უფროსად გაცნობა. ან სხევანაირად, რომ ვთქვათ, ისინი არ ასრულებენ ისეთ როლებს, როგორსაც ასრულებდნენ პირველი ჯგუფის წევრები და ამიტომაც, უფრო ახალგაზრდად გრძნობდნენ თავს.

ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან, როდესაც ადამიანებს არ უხდებოდათ მათზე უფრო უმცროსი ასაკის ხალხთან ხანგრძლივი ურთიერთობა და მათ გარშემო თითქმის ყოველთვის თავისივე ასაკის ადამიანებია, მაშინ ისინი ისე შეაბურდებიან ხორლმე ერთმანეთს, რომ 60 წლის ასაკშიც ერთმანეთის შესახებ ამბობენ „ის ბიჭო“, ან „ის გოგო“ და ახლო ურთიერთობის შემთხვევაში ასეთ-ნაირადვე მიმართავენ ერთმანეთს: „ბიჭო“ ან „გოგო“.

როგორც ზოგიერთ ფსიქოლოგს მიაჩნია, ორ ადამიანს შორის დაუსრულებელი კამათი და კონფლიქტი ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ ერთს არ შეუძლია წარმოიდგინოს მათი მეორის ადგილას (მეორის როლში) და პირიქით. მათი აზრით, თუ ასეთი რამ ხერხდება, მაშინ, როგორც წესი, კონფლიქტი ყოველთვის ნელდება.

საინტერესოა, რომ ასეთი მიდგომა პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს სპეციალური ფსიქოთერაპიის ე.წ. *ფსიქოდრამის* მეთოდში, რომელიც შემოღებულ იქნა ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის დ. მორენის მიერ. წარმოიდგინეთ შემდეგი სურათი: ცოლქმარი ერთმანეთს ვერ ენწყობა, რამდენიმე წლის მანძილზე მათ შორის დაუსრულებელი კონფლიქტებია. ბოლოს ისინი მიდიან სათანადო დანესებულებაში და წერენ განცხადებას განქორწინების შესახებ. მაგრამ, როგორც ეს, ალბათ, ყველა ქვეყანაშია მიღებული, მათ თხოვნას მაშინვე არ აკმაყოფილებენ. სთხოვენ, გამოიარონ გარკვეული დროის, მაგალითად, ერთი თვის შემდეგ, იმ იმედით, რომ ამ დროის განმავლობაში შეიძლება მათ გადაიფიქრონ თავიანთი გადაწყვეტილება, რასაც აღარ მოჰყვება ოჯახის დანგრევა. ამას-

თან, ურჩევნ, რომ ამ დროის განმავლობაში, კარგი იქნება, თუ მიაკითხავენ მორენოს დანესებულებას. აქ წინასწარდანიერილი ჰიენის მიხედვით იდგმება სპექტაკლი (ფსიქოდრამა), რომელიც ცოლმა უნდა ითამაშოს ქმრის როლი, ხოლო ქმარმა კი - ცოლის. ამის გაკეთება კი არც თუ ისე ადვილია. მაგრამ, თუ ცოლქმარი ახერხებს ასეთი როლის შესრულებას, მაშინ სპექტაკლის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ისინი ხევენ განცხადებას განქორწინების შესახებ, ერთად მიდიან სახლში და იწყებენ ნორმალურ (უკომფლიქტო) ცხოვრებას.¹

მაგრამ იმისათვის, რათა ორ ადამიანს შორის ურთიერთობა კონფლიქტამდე არ მივიდეს, საჭიროა, რომ თავიდანვე გაკეთდეს სწორი არჩევანი. ე.ი. ისეთი ადამიანები შეუღლდნენ, რომელთა დაახლოვებას საფუძვლად ედო მათი ერთნაირი შეხედულებები, ერთნაირი განათლების და კულტურის დონე, ერთნაირი ხასიათები. მაგრამ სამსუბაროდ ჩვენ ძალიან ბევრ რამეში მოკლებული ვართ თავისუფალი არჩევანის საშუალებას: მშობლებს ჩვენ არ ვირჩევთ, არ ვირჩევთ სამშობლოს, არ ვირჩევთ გარეგნობას. ბევრმა შეიძლება თქვას, რომ ჩვენ ვირჩევთ მეგობრებს, ვირჩევთ მეუღლეს. მაგრამ თუ კარგად დავეფიქრებთ, ვნახავთ, რომ ასთ შემთხვევაშიც ჩვენი არჩევანი მაინც შეზღუდულია, რამეთუ ადამიანთა ის რაოდენობა, რომლიდანაც არჩევანს ვაკეთებთ, ჩვეულებრივ საკმაოდ

¹ ამასთან დაკავშირებით ალბათ უადვილო არ იქნება, თუ აქ გავიხსენებთ ერთ ბრძნულ ინდურ ზღაპარს. რძალმა გადაწყვიტა დედამთილის თავიდან მოშორება, რისთვისაც მალულად მივიდა ექიმბაშთან და სანამლაეი სთხოვა. ექიმბაშმა მისცა რალაც ფხვნილი, მაგრამ დაარიგა, რომ მთელი ფხვნილი ერთბაშად არ გამოეყენებინა, არამედ ყოველ დღე ცოტ-ცოტა ჩაეყარა საჭმელში; ამასთან, ეჭვი რომ არაეის არაფერში აელო დედამთილს მოპყრობოდა რაც შეიძლება კარგად. რძალი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ექიმბაშმა დაარიგა: დედამთილისათვის გამზადებულ საჭმელში ყოველდღე ყრიდა ფხვნილის მცირე რაოდენობას და დედამთილს ექცეოდა, რაც შეიძლებოდა, თავაზიანად და გულისხმიერად (რაც ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, მან იკისრა კარგი რძლის როლის შესრულება). რძლის ასეთ ქცევას უკვალოდ არ ჩაუვლია. დედამთილმა იფიქრა, ეს რა კარგი რძალი მყოლიაო და რძლის ქცევას კარგი ქცევითვე უპასუხა (ე.ი. დაიწყო კარგი დედამთილის როლის შესრულება) და დაწყარდა რძალსა და დედამთილს შორის სიამტკბილობა. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ ბოლოს რძალს შერცხვა და თავისი ბოროტი განზრახვისა და სინანულის გრძნობით შეპყრობილი ატირებული მიიქრა ექიმბაშთან: ძალიან ვნანობ ჩემს საქციელს, აქამდე არ ვიცოდი, თუ ასეთი კარგი დედამთილი მყავდა. ახლა ივნებ როგორმე მიშველო და ჩემი შეცდომა გამომასწორებინოო. ექიმბაშმა დაამძვიდა. უთხრა, რომ ის ფხვნილი სრულიადვე არ ყოფილა. განამლაეი. გახარებული რძალი დაბრუნდა სახლში და ამის შემდეგ ის და დედამთილი სიკვდილამდე შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ.

მცირეა და არჩევანიც ზოგჯერ სიტუაციითაა გაპირობებული. აქ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაში ვართ, როგორც მატარებელში მოგზაურობის დროს. თუ ეს მოგზაურობა რამდენიმე დღე გრძელდება, მაშინ შენთან კუპეში მყოფ სამ თანამგზავრს, გინდა-არგინდა, იძულებული ხარ დაუახლოვდე. ანალოგიურად მეგობრების არჩევისას ის ადამიანები, რომელთაგანაც არჩევანის გაკეთება გიხდებათ, უკვე თქვენს გარეშე არის განსაზღვრული. მართალია, მათი რიცხვი სამზე მეტია, მაგრამ დიდი მაინც არ არის. სანამ ბავშვი პატარაა (იგულისხმება სკოლანდელი ასაკი), მისი არჩევანის წრეს შეადგენს მხოლოდ მეზობლად მცხოვრები რამდენიმე ბავშვი; სკოლაში სიარულის დანყების შემდეგ მათი რაოდენობა შეიძლება იყოს 30 ან 40; უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დროსაც ეს რიცხვი მაინცდამაინც დიდად არ არის გაზრდილი. დაახლოებით ასეთივე სიდიდისაა ეს რიცხვი იმ დანესებულებაშიც, სადაც ადამიანი იწყებს თავის შრომით საქმიანობას.

ცხადია, რომ რაც უფრო დიდი იქნება არჩევანის დიაპაზონი (ე.ი. იმ ადამიანების რიცხვი, რომლებთაგანაც შეიძლება გაკეთდეს არჩევანი), მით მეტი იქნება იმის ალბათობა, რომ თქვენ აირჩევთ რაც შეიძლება უფრო მოსაწონ (შესაფერ) პიროვნებას. სავსებით შესაძლებელია, რომ თქვენს ქალაქში ცხოვრობდეს ისეთი პიროვნებები, რომლებთანაც თქვენ ნახავდით ძალიან ბევრ საერთოს, რაც მათთან დაახლოების და დამეგობრების საფუძველი იქნებოდა, მაგრამ მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე შეიძლება ვერც ერთხელ ვერ შეხვდეთ ამ პიროვნებებს. არჩევანის დიაპაზონის გაფართოებისა და ასეთი პიროვნებების გამოძენის გაადვილების მიზნით ზოგიერთი ქვეყნის სხვადასხვა ქურნალებში მოყვანილია სპეციალური კითხვარები. მათზე გაცემული პასუხების შინაარსის მიხედვით მოცემული პიროვნებისათვის შეიძლება შერჩეულ იქნეს მისი მსგავსი ადამიანები.¹

საყურადღებოა, რომ ყოველივე ზემოთ თქმული ეხება, არა მხოლოდ, ერთი და იგივე, სქესის ადამიანების, არამედ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლების დაახლოებასაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზემოთ აღნიშნული გზით ადამიანისათვის, მისთვის შესაფერი მეუღლის გამოძენა. როგორც ცნობილია, დასავლეთის ბევრ

¹ რაც შეეხება ისეთ შეხედულებას, რომ თითქოს სანინალმდგომარეობაში პიროვნებები იზიდავენ ერთმანეთს, მას არ გააჩნია მყარი საფუძველი. მეცნიერული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ისეთი ადამიანები მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ, რომლებიც ერთმანეთს ემსგავსებიან გარკვეულ ასპექტში (იხ. მაგალითად, Silverman R. E. N-Y, 1985, p.371). ტყუილად კი არ ამბობენ: „მითხარი ეინ არის შენი მეგობარი და მე გეტყვი ვინა ხარ შენ“.

ქვეყანაში უკვე დიდი ხანია რაც შექმნილია ისეთი დანესებულებები, რომლებიც უხმარებიან ადამიანებს მომავალი მეუღლის შერჩევაში. თუმცა ჩვენში ასეთი დანესებულებების საქმიანობას ბევრი ათვალწუნებით უყურებს, როგორც რალაც ხელოვნურსა და უჩვეულოს, რაც თითქოს ხელს უშლის ნამდვილი არჩევანის გაკეთებას. ამ უკანასკნელის ქვეშ ისინი გულისხმობენ კაცისა და ქალის ბუნებრივ დაახლოებას. მაგრამ სწორედ ასეთი „ხელოვნური“ არჩევანის დიაპაზონი უფრო ფართოა და რაციონალური, რადგან, არ არის გაპირობებული იმ სიტუაციური (ან ე.წ. რომანტიკული ფაქტორებით), რამაც შეიძლება „ბუნებრივი“ გზით წარმოშვას სიყვარული, ისეთ კაცსა და ქალს შორის, რომლებიც თავისი განათლებისა და კულტურის დონის, შეხედულებისა და ხასიათის მიხედვით ძალიან შორს იდგნენ ერთმანეთისაგან. და თუ მაინც დაქორწინდება ასეთი წყვილი, რომანტიკული გრძნობები სწრაფად გაივლის და ხელს შეგვრჩება მხოლოდ მათი განსხვავებული ხასიათები, რაც თავის მხრივ განაპირობებს მათ შორის დაუსრულებელ კონფლიქტებს. სწორედ ამასთან დაკავშირებით აქ შეგვეძლო მოგვეყვანა ცნობილი ფრანგი მწერლის სანტ-ევზიუპერის ნათქვამი: ნამდვილი სიყვარული ის კი არ არის, რომ შეყვარებულები ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ, არამედ ისინი ერთი მიმართულებით უნდა იყურებოდნენ.

რაც შეეხება ზოგიერთის შენიშვნას, იმის შესახებ, რომ ასეთი დანესებულებების საქმიანობაში არაფერი არ არის ახალი, რადგან, ეს ყველაფერი იგივეა, რასაც წინათ მაჭანკლობას უწოდებდნენ და რაც უკვე დიდი ხანია დაგმობილი იქნა როგორც პრიმიტიული და დრომოჭმული, ჩვენ შეგვიძლია ამ შენიშვნას შემდეგნაირად ვუპასუხოთ: „დიახ, ეს არის მაჭანკლობა, მაგრამ მაჭანკლობა არა პირველი, არამედ მესამე საფეხურის დონეზე: აქ თქვენ თქვენი გაცნობიერებისა და ნების გარეშე არავინ თავს არაფერს არ გახვევთ. სპეციალური პროცედურების შედეგად თქვენთვის შეირჩევა რამდენიმე პიროვნება თქვენი ინტერესების, შეხედულებებისა და ხასიათის გათვალისწინებით, შემდეგ კი, თქვენ თვითონ გააკეთებთ საბოლოო არჩევანს. როგორც, სტატისტიკოსები გვარწმუნებენ ასეთნაირი გზით დაქორწინებულთა შორის განქორწინებათა პროცენტი უფრო ნაკლებია, ვიდრე „ბუნებრივად“ დაქორწინებულთა შორის.

დაასარულ, იმათ საყურადღებოდ ვინც მაინც უპირატესობას ანიჭებს „ბუნებრივი“ დაახლოების გზას, შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს თუ რომანტიკული ფონი ხშირად როგორ დამლეპველ როლს ასრულებს სიყვარულის „ბუნებრივად“ წარმოშობაში. წარმოიდგინეთ შემდეგი სურათი. ახალგაზრდა ქალი ჩამოვიდა ერთ-ერთ ულამაზეს კურორტზე დასას-

ვენებლად. საღამოს მარტომ გაიხიერნა ამ კურორტის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. როდესაც ტბაში მოხიერნე კატარლაში ჯდებოდა, მოხდა ისე, რომ ფეხი დაუცურდა და წყალში ჩავარდა. ამ დროს საშველად გადმოხტა ვილაც ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დახრჩობას გადაარჩინა ქალი. ქალის მოსულიერების შემდეგ ახალგაზრდამ სახლში გააცილა ქალი. გზაში დააღამდათ, ცაზე ამოვიდა მთვარე და ასეთ რომანტიკულ ატმოსფეროში მოხვედრის შემდეგ სრულებით არ არის გასაკვირი, რომ ქალს შეუყვარდეს მისი გადამრჩენელი; თუმცა მას სხვა (ჩვეულებრივ) სიტუაციაში რომ ენახა ეს პიროვნება (მაგალითად, მასთან ერთად რომ ემუშავა სამსახურში რამდენიმე წლის განმავლობაში), შეიძლება სრულიადაც არ მიექცია მისთვის ყურადღება.

რელიგიის ფსიქოლოგია. რელიგიის ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ რელიგიური რწმენის თავისებურებებს, მის სტრუქტურასა და ფუნქციებს. რელიგიის ფსიქოლოგია წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და დააგროვა მნიშვნელოვანი მასალა რელიგიური ცნობიერების შესახებ, რომელიც მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ღმერთი, სული, სამოთხე, ჯოჯოხეთი, ცოდვა და სხვა.

რელიგიის ფსიქოლოგია რა თქმა უნდა, მიზნად არ ისახავს ღმერთის არსებობის რწმენის შემონახვას, რაც ფაქტიურად იქნებოდა იმის დადგენა, არსებობს ღმერთი თუ არა. მის ინტერესს შეადგენს მხოლოდ მორწმუნეთა ფსიქოლოგიური მხარის შესწავლა, კერძოდ იმის გამოკვლევა, თუ როგორ წარმოიშვება და რას ეყრდნობა ეს რწმენა: ხომ არ განაპირობა მისი წარმოშობა ადამიანის შიშმა და უძლურობამ ბუნების სტიქიური შეუცნობელი ძალების წინაშე, ეყრდნობა იგი ადამიანის ცოდნას (გამოცდილებას) თუ სურვილს (მაგალითად, რწმენა სიკვდილის შემდეგ გადარჩენის შესახებ შეიძლება ეყრდნობოდეს სწორედ ასეთი სახის სურვილს).

როდესაც ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ საბუთად მორწმუნეებს მოჰყავთ *გამოცხადების ფენომენი*, მაშინ საკითხი დგება იმის შესახებ, რომ ხომ არ არის ეს მოვლენა პალეოცინაცია ან ილუზია.

რელიგიის ფსიქოლოგია იკვლევს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის რელიგიურ რწმენაზე. დადგენილია, რომ რელიგიური რიტუალების შესრულება გარკვეულწილად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ამიტომაც ფსიქოლოგები იკვლევენ ადამიანების ემოციურ მდგომარეობას ლოცვის, აღსარებისა და სხვა რელიგიური ნეს-ჩვეულებების შესრულების დროს.

ფსიქოლოგებისათვის საყურადღებოა, ის გარემოებაც, რომ როდესაც ადამიანი ვარდება სასონარკვეთილებაში (რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ახლობელი ადამიანის სიკვდილით, ან მოსა-

ლოდნელი საფრთხით და სხვა). მაშინ მას ხშირად ეუფლება სწორედ რელიგიური განცდა (გრძნობა).

დაბოლოს, რელიგიის ფსიქოლოგიას ევალება შემდეგი ორი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა: 1. თანდაყოლილია თუ შეძენილი რელიგიური გრძნობა; 2. შეიძლება თუ არა, რომ ადამიანის ზნეობას საფუძვლად ედოს ეს რელიგიური გრძნობა, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ხომ არ არსებობს დადებითი კორელაცია ადამიანის ზნეობასა და რელიგიურ გრძნობას შორის.

პარაფსიქოლოგია. ამ სახელწოდებით აღინიშნება ისეთი უჩვეულო ფსიქიკური მოვლენების სფერო, რომლებსაც არ გააჩნიათ მკაცრი მეცნიერული საფუძველი. პარაფსიქოლოგიური კვლევების მიზანს არსებითად შეადგენს შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა: შეუძლია თუ არა ფსიქიკას მიიღოს ინფორმაცია ცნობილ შეგრძნების ორგანოთა გარეშე და შესწევს თუ არა მას იმის ძალა, იმოქმედოს მისგან დამორეზულ ფიზიკურ საგნებსა და მოვლენებზე. როგორც ვხედავთ, პირველი კითხვა ეხება ჩვენი ფსიქიკის შემეცნებით (ინფორმაციულ) ასპექტს, ხოლო მეორე კი - ენერგეტიკულს.

პირველი ასპექტი გულისხმობს ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ისეთი ფორმების შესწავლას, რომელთა ახსნა ვერ ხერხდება ცნობილ შეგრძნებათა ორგანოების მოქმედებით. და რადგანაც ასეთი მოვლენები შეგრძნების ორგანოთა მიღმაა, ამიტომაც, მათ *ექსტრასენსორულ* (არაგრძნობად) აღქმას უწოდებენ. მისი სახეებია:

ნათელხედვა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას გარე (ფიზიკურ) სამყაროში არსებულ საგნებისა და მოვლენების შესახებ, შეგრძნების ორგანოთა გამოყენების გარეშე.¹

ტელეპათია - ერთი ადამიანის მიერ, მეორის ნარმოდგენებისა და აზრების წვდომა ისეთ პირობებში და ისეთ მანძილებზე, სადაც ინფორმაციის გადაცემის ჩვეულებრივი არხები არ გამოიყენება.

პროსკოპია (წინასწარ ხედვა), რომელიც გულისხმობს მოვლენათა წინასწარმეტყველებას (წინასწარ განჭვრეტას) შესაბამისი ინფორმაციის გარეშე.

რაც შეეხება მეორე (ენერგეტიკულ) ასპექტს, იგი გულისხმობს ისეთ უჩვეულო ფენომენს, როგორიცაა *ფსიქოკინეზი* - ადამიანის გონებრივი ზემოქმედება ფიზიკურ საგნებსა და მოვლენებზე, მათთან უშუალო კონტაქტის გარეშე. მაგალითად, ადამიანისაგან გარკვეული მანძილით დაშორებული ფიზიკური საგნების ამოძრავება

¹ ნათელხედვის კლასიკურ მაგალითად ხშირად მოჰყავთ მე-18 საუკუნის შვედი მისტიკოსის იმანუელ სვედენბორგის მიერ 1769 წელს სტოკჰოლმში ხანძრის ხილვა ისეთი პუნქტიდან, რომელიც ამ ქალაქიდან დაშორებული იყო მრავალი კილომეტრით.

მხოლოდ მისი გონებრივი ძალისხმევის შედეგად.

მიუხედავად პარაფსიქოლოგიური მოვლენებისადმი დიდი ინტერესისა, როგორც ფსიქოლოგების ისე არაფსიქოლოგების მხრიდან, და მათი ინტენსიური კვლევისა, ფსიქოლოგთა უმრავლესობა მაინც სკეპტიკურად უყურებდა და უყურებს ამ მოვლენებს. თუმცა ისეთ დიდ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ შარკო, რიში, ჯემსი, ფროიდი და იუნგი, ყოველთვის სჯეროდათ ტელეპათიისა და მისი მსგავსი მოვლენების. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პარაფსიქოლოგიური მოვლენების, როგორც მეცნიერული ფაქტების აღიარება, სრულიადაც არ ნიშნავს ისეთი მისტიკური მოვლენების არსებობის აღიარებასაც, როგორიცაა ადამიანის გადარჩენა სიკვდილის შემდეგ (ე.ი. სულის უკვდავება), გარდაცვლილთა სულებთან კონტაქტის დამყარება (ე.ნ. სპირიტუზმი) და სხვა.

პარაფსიქოლოგიაში მეცნიერული კვლევის პიონერად ითვლება ამერიკელი ფსიქოლოგი ჯ. რაინი. მან ჯერ კიდევ 30-იან წლების დასაწყისში მკაცრ ექსპერიმენტულ ლიანდაგზე დააყენა პარაფსიქოლოგიური მოვლენების კვლევა, რაც სამი ათეულ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მიღებული იქნა ისეთი შედეგები, რომლებმაც ბევრ სკეპტიკოსს შეაცვლევინა აზრი. როგორც ა. კესტლერი მიუთითებს, საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ექსტრასენსორული აღქმა, გადანყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს და იგი უნდა შეიცვალოს საკითხით, თუ როგორ ხდება იგი.¹ აღსანიშნავია, რომ 1957 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა პარაფსიქოლოგიური ასოციაცია, რომელიც 1979 წელს აღიარებული იქნა მეცნიერების პროგრესისათვის ამერიკული ასოციაციის მიერ.

¹ ib. Koestler A. The Roots of Coincidence. Hutchinson of London, 1972, p.23.

6. ფსიქოლოგიის შესწავლის მნიშვნელობა

როდესაც ვლაპარაკობთ ფსიქოლოგიის შესწავლის მნიშვნელობაზე, ჩვენ ვგულისხმობთ, არა მისი პრაქტიკული გამოყენების დარგებს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, არამედ ადამიანის სულიერი სფეროს იმ ქმნადობას, რაც შეიძლება მოჰყვეს ფსიქოლოგიის შესწავლას.

როგორც ცნობილია, ცივილიზაცია გულისხმობს ადამიანის გონების ბატონობას, არა მხოლოდ ბუნების ძალებზე, არამედ თვით ადამიანის საკუთარ შეხედულებებსა, ემოციებსა და ქცევებზეც და ამდენად როგორც მატერიალურ გარემოს, ასევე ადამიანის შინაგანი სამყაროს გარდაქმნასაც. რადგანაც ადამიანის გონება უფრო მეტად გარე (ე.ი. გარე ფიზიკური სამყაროსაკენ) იყო მიმართული, ვიდრე შიგნით (ე.ი. საკუთარი შინაგანი სამყაროსაკენ), ამან ხელი შეუწყო ცივილიზაციის ზემოთაღნიშნული ორი მხარის არათანაბარ განვითარებას.

ჩვენი საუკუნის ისეთი ჰუმანისტის აზრით, როგორც იყო ალბერტ შვაიცერი,¹ ჩვენი ცივილიზაციის საბედისწერო შეცდომას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი მატერიალური მხარე ვაცილებით უფრო ძლიერად განვითარდა, ვიდრე სულიერი, რამაც განაპირობა მატერიალურ და სულიერ პროგრესს შორის ნონასწორობის მნიშვნელოვანი დარღვევა. მართლაც, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელი 200 წლის მანძილზე, ტექნიკის განვითარების შედეგად, ჩვენი მატერიალური გარემო ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა, ადამიანის შინაგანი სამყარო (მისი ზნეობრივი ასპექტი) თითქმის უცვლელი დარჩა. მაგალითად, თუ ამ 200 წლის წინ პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსვლას ერთ თვეზე მეტი სჭირდებოდა, დღეს იგივე

¹ ალბერტ შვაიცერი (1875-1965) - ჩვენი დროის უდიდესი ჰუმანისტი და მოაზროვნე, ფილოსოფიის, თეოლოგიისა და მედიცინის დოქტორი, აგრეთვე მუსიკათმცოდნე და ორღანისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 30 წლის ასაკში, როცა უკვე ცნობილ პიროვნებად ითვლებოდა ეროპაში, გადაწყვიტა წასულიყო აფრიკაში, არა როგორც უზრალო მისიონერი, რომელიც იქაურ მოსახლეობას სიკეთეს უქადაგებდა, არამედ როგორც ექიმი, რომელიც გარკვეულ რეალურ სარგებლობას მოუტანდა იქაურ გაჭირვებულ ხალხს. ამ მიზნით იგი 7 წელი სწავლობდა მედიცინას და 1913 წელს, მიიღო რა, მედიცინის დოქტორის წოდება, სამუდამოდ გადასახლდა აფრიკაში. იქ ერთ-ერთ მივარდნილ ადგილას (ჯუნგლებში) დააარსა საავადმყოფო, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თავგამოდეებით მკურნალობდა იქაურ ლატაკსა და გაჭირვებულ მცხოვრებლებს.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთში, ალბერტ შვაიცერს, ადარებენ შუქურას, რომლის მიხედვითაც ბევრი ახდენს კორექციას თავის ზნეობრივ განვითარებაში.

მანილს თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავი მხოლოდ 3 საათს თუ ანდომებს. განცვიფრებას იწვევს ადამიანის ხელით ნაკეთი ნაგებობანი, როგორც თავისი გრანდიოზულობით, ასევე კომფორტულობით. გიგანტური შენობები, უზარმაზარი გემები, კოსმოსური ხომალდები, რომელთა საშუალებითაც ადამიანმა მთვარეზეც კი მიაღწია. აქვე შეგვეძლო კიდევ დაგვესახელებინა ტექნიკის ისეთი მონაპოვარი, როგორიცაა რადიო და ტელევიზია, თანამედროვე სამედიცინო აპარატურა, რომელმაც განაპირობა უმნიშვნელოვანესი მიღწევები მედიცინის სფეროში.

მაგრამ რაც შეეხება თვითონ ადამიანს, მის სულიერ სამყაროს, ვერ ვიტყვით, რომ ისიც ასეთივე ხარისხით განვითარდა. თუ წინათ იყო ლოთობა, მექრთამეობა, უსამართლობა, კაცის კვლა, ტერორისტული აქტები, ეროვნებათა შორის შუღლი და მის საფუძველზე გამონეული უაზრო სისხლის ღვრა და ომები, სამწუხაროდ დღესაც დაახლოებით ისეთივე სიხშირით ვხვდებით ადამიანებს შორის ასეთ დანაშაულებრივ მოქმედებებს.

აი, რას ამბობს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი დროის გამოჩენილი ფიზიოლოგი ხოზე დელგადო: „ზოგიერთი პრბლემები წარმოიშობა იმის გამო, რომ არ არსებობს პარამონია მატერიალურსა და სულიერ განვითარებას შორის. მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებში ჩვენ ცივილიზებული ვართ, ხოლო ფსიქიკურ რეაქციათა სფეროში კი ვრჩებით ველურებად. გარკვეულ საზღვრებში ჩვენ შეგვიძლია ატომების, მცენარეებისა და ცხოველების მართვა, მაგრამ ვერა და ვერ გვისწავლია საკუთარი თავის მართვა“.¹

მართლაც, განა პარადოქსული არ არის, რომ ტელესკოპებისა და კოსმოსური ხომალდების წყალობით ადამიანები იღებენ ინფორმაციას მისგან მილიონი კილომეტრით დაშორებული ციური სხეულების შესახებ, მაგრამ ნაკლებად ერკვევიან მათთვის ყველაზე უფრო ახლობელ, ფსიქიკურ სამყაროში მიმდინარე პროცესებში. ადამიანი სარგებლობს რა ელექტრონული მიკროსკოპით, წვდება მიკროსამყაროს (მოლეკულების აგებულებასა და მოძრაობას), მაგრამ ვერ ჩასწვდომია თავის საკუთარ შინაგან (ფსიქიკურ) სამყაროს; ადამიანი მართავს გიგანტურ ხომალდებსა და თვითმფრინავებს, ატომურ ენერჯიას, მაგრამ არ შეუძლია საკუთარი თავის მართვა, ხშირად გამოდის ნონასწორობიდან და ჩადის გამოუსწორებელ დანაშაულს.²

¹ X. Дельгало. Мозг и сознание. Изд. "Мир", Москва, 1971, стр. 244.

² როგორც ყველასათვის კარგად ცნობილია, ფიზიკურ მეცნიერებათა წარმატებებმა ომი გადააქცია ისეთ დამანგრეველ ძალად, რომ პირველად ისტორიაში სახვებით შესაძლებელი გახდა ადამიანის მოდგმის მთლიანად ამოწყვეტა. რაკი ეს დამანგრეველი ძალა ადამიანის ხელშია, ამიტომ ისე

როგორც ალბერტ შვაიცერი მიუთითებს, მიღწევები მატერიალურ სფეროში ჯერ კიდევ არ არის ცივილიზაცია. ისინი იქცევიან ცივილიზაციად მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ხერხდება მათი ჩაყენება ინდივიდისა და საზოგადოების სრულყოფის იდეალების სამსახურში. ჩვენ კი გაბრუებული გრანდიოზული მატერიალური მიღწევებით, ვერც კი ვხვდებით, თუ როგორ სახიფათო გზას დავადევით სულიერი მხარის უგულვებელყოფით. ცივილიზაცია, რომელიც ანვითარებს მხოლოდ მატერიალურ მხარეს შესაბამისი სულიერი პროგრესის გარეშე, ალბერტ შვაიცერის აზრით, წააგავს იმ ხომალდს, რომელსაც არ გააჩნია რა საჭე, კარგავს მანევრირების უნარს და მიექანება გარდაუვალი კატასტროფისაკენ.¹

იმისათვის, რათა რაიმე პროცესი, იქნება იგი ფიზიკური თუ ფსიქიკური, არ მოქმედებდეს ჩვენს სანიინალმდებგოდ, უნდა შეგვეძლოს მისი მართვა. მართვისათვის კი აუცილებელია იმ კანონების ცოდნა, რომლებსაც ემორჩილებიან ეს პროცესები. მაგალითად, სითბურ და ელექტრულ მოვლენებს უბედურება მოჰქონდათ ადამიანებისათვის, სანამ მან საფუძვლიანად არ შეისწავლა ეს მოვლენები და მათი კანონზომიერებანი. სწორედ ამით მიალნია ადამიანმა ამ მოვლენების მართვას და ჩააყენა ისინი თავისი ინტერესების სამსახურში.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტექნიკის განვითარებასა და მის ესოდენ ნარმატივებს (ე.ი. მატერიალურ პროგრესს) საფუძვლად უდებს ფიზიკის შესწავლა, ალბათ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ადამიანის სულიერ განვითარებას საფუძვლად უნდა ედოს ფსიქოლოგიის შესწავლა.² მწვავე კონფლიქტები ადამიანებს შორის, მრავალი ამორალური საქციელი თუ საზოგადოებრივი დანაშაული,

არასოდეს, როგორც სწორედ დღეს, აუცილებელი ხდება ადამიანის ქცევის მეცნიერული შესწავლა.

¹ ეს შედარება თავის ერთ-ერთ გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ დიდი მატერიალური ძალა (მაგალითად ატომური ენერჯის ფლობა) შეიძლება მხოლოდ იმას მიეცეს, ვისაც ინტელექტისა და ზნეობის მაღალი დონე გააჩნია.

² ამასთან დაკავშირებით ძალიან ფართო გაგებით შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ ამ ქვეყნად მხოლოდ ორი ემპირიული მეცნიერება უნდა არსებობდეს: ფიზიკა და ფსიქოლოგია. ასეთი განცხადება არც უნდა ინვეუდეს გაკვირვებას, თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ ადამიანს მხოლოდ ორი სახის ემპირიული სინამდვილე ეძლევა. ერთი - ეს არის გარე (ფიზიკური) სამყარო, რომელსაც იგი წვდება თავისი გარე გრძნობის ორგანოების საშუალებით და რომელიც ფიზიკის შესწავლის საგანს შეადგენს და მეორე - მისი შინაგანი (ფსიქიკური) სამყარო, რომელსაც იგი უშუალოდ წვდება თავისი თვითდაკვირვების წყალობით და რომელსაც შეისწავლის ფსიქოლოგია.

ბშირად, იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანი არ იცნობს თავის შინაგან სამყაროს, მასში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებსა და მათ კანონზომიერებებს. ალბათ, სწორედ ამიტომაც იყო, რომ სოკრატე საკუთარი თავის შემეცნებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე გარე სამყაროს შესწავლას.

ასე რომ, ვინც გადაწყვეტს ფსიქოლოგიის შესწავლას, ჩვენი რჩევა იქნება, რომ მან იგი შეისწავლოს საფუძვლიანად. ბევრი ფიქრობს, რომ მან ყოველგვარი ნიგნის (სახელმძღვანელოს) გარეშეც, ძალიან კარგად იცის, თუ რა არის ალქმა, რა არის ყურადღება, რა არის ნარმოდგენა, მეხსიერება და ნებისყოფა და სხვა. მათი ამ ცნებებისადმი ასეთი ყოფითი დამოკიდებულება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამსუხაროდ, ფსიქოლოგიას სხვა ზუსტი მეცნიერებებისაგან განსხვავებით თავის საკუთარი ტერმინოლოგია არ გააჩნია და იმ სიტყვებს ხმარობს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იხმარება. მართალია ფსიქოლოგია თავისი სიზუსტით ფიზიკას ვერ შეედრება, მაგრამ იგი (ფსიქოლოგია) მაინც მეცნიერებაა და ყოველ შემთხვევაში აღნიშნულ ცნებაში საკვებით გარკვეულ შინაარსს სდებს. სწორედ ამის გამო, კაცმა თავის თავს უფლება არ უნდა მისცეს, რომ არ გაუწიოს ანგარიში ფსიქოლოგიის მეცნიერული ცნებების განსაზღვრებებს და ისე გამოიყენოს ისინი როგორც მოესურვება.

აღსანიშნავია, რომ ცნებებისადმი სწორედ ასეთი უდიერი დამოკიდებულება ბშირად იქცევა, უსაფუძვლო და დაუსრულებელი კამათის მიზეზად. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ადამიანები გაუთავებლად, ცხარედ, კამათობენ ამა თუ იმ საკითხზე და ვერ ხვდებიან, რომ ეს კამათი შეიძლება გამოწვეული იყოს უბრალოდ მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ერთსა და იმავე ცნებაში, მოკამათეები სხვადასხვა შინაარსს გულისხმობენ.



ჯემალ ყავილაშვილი ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი. დაიბადა 1933 წლის 6 ივნისს, თბილისში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1970 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე, მუშაობდა შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის (ამჟამად შრომის ფსიქოლოგიის) კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. ავტორია, კოგნიტიური ფსიქოლოგიის, ფსიქოლოგიაში გაზომვის

პრობლემისა და მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებში მიძღვნილი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა. სიცოცხლის ბოლო წლებში მისი მეცნიერული ინტერესების სფეროში მოექცა „რწმენისა და ცოდნის“ პრობლემის ფსიქოლოგიური საკითხები. გარდაიცვალა 1995 წლის 29 მარტს.

ჯემალ ყავილაშვილი ქართველ ფსიქოლოგთა თაობების აღმზრდელია. ფართოდაა ცნობილი მისი სახელმძღვანელო „მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში“ ტ.1 (1987წ.), ტ.2 (1990წ.).